დამოუკიდებელი და ზეპარტიული

WWW.ASAVALI.COM

# ასავალ დასავალი

2024 წლის 22 - 28 იანვარი

N 5 1523

ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

**გიორგი ანდრიაძე:**

## ვადასტურებ, რომ პატრიარქის სამუშაო კაბინეტში სტალინის პორტრეტი მართლაც ეკიდა!


2-3



**ლევან დოლიძე:**

დანამდვილებით ცნობილია, რომ წმინდა მატრონას სტალინი პირადად ეახლა და მოსკოვისთვის უმძიმეს დღეებში რჩევა ჰკითხა!

სწორედ სტალინის მმართველობის პირობებში მოხდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება!


15


13-14

## სტალინი მხოლოდ საბაბია, მთავარი მიზანი ეკლესიისა და მართლმადიდებლობის შეურაცხყოფა იყო!

## გუშინ, 100 წლის წინათ, 1924 წლის 21 იანვარს, ლენინი მოკვდა!

**ირაკლი გოგავა:**

## შესაძლოა, ბიძინა ივანიშვილი საქართველოს პრეზიდენტად ვიხილოთ!

5




8-9

**მაყვალა ბერიანიძე:**

სანამ საქართველო არ გაერთიანდება, პარლამენტში აფხაზეთისა და ცხინვალის დეპუტაციისთვის ცარიელი სავარძლები უნდა იდგეს!

## მაინტერესებს, რატომ არ არის საქართველოს პარლამენტში არცერთი დევნილი?



# „სამწუხაროდ, ეკლესიაში მოკალათებული არიან ნაცების ლობისტი სასულიერო პირები!“



გიორგი ანდრიაძე:

# სტალინი მხოლოდ საბაბია, მთავარი მიზანი ეკლესიისა და მართლმადიდებლობის შეურაცხყოფა იყო!



*ამ ეტაპზე ლიბერასტებმა პირწმინდად გაიმარჯვეს —* ***საზოგადოების საკმაოდ მძლავრი მხარდაჭერის მიუხედავად, საპატრიარქო აიძულეს, სამების ტაძრიდან გაეტანა წმინდა მატრონას ხატი, რომლის ფრაგმენტზეც წმინდანის სტალინთან შეხვედრა იყო გამოსახული.*** *ლიბერასტებს ხახვივით შერჩათ ტაძრისა და მრევლის შეურაცხყოფაც, რადგან 500-ლარიანი ჯარიმა მათ სასაცილოდ არ ყოფნით და ახლა* ***ნატა ფერაძის*** *გარშემო ჟრიამული აქვთ ატეხილი, ერთმანეთს გამარჯვებას ულოცავენ და ახალ-ახალ ავანტიურებს გეგმავენ. ფაქტია — წმინდა მატრონას ხატი დიდხანს იმყოფებოდა სამების საკათედრო ტაძარში და თუ იგი ხატწერის კანონიკის დარღვევით იყო შესრულებული, უპირველესად, მღვდელმსახურებს უნდა შეემჩნიათ და ზომებიც მიეღოთ! დღეს* ***„შესაბამისი ცვლილებების შეტანისთვის წმინდა მატრონას ხატი გადაბრძანებულია სამების ტაძრის დაცულ სივრცეში, სადაც ხატმწერს მიეცემა შესაძლებლობა, საპატრიარქოს შესაბამის სამსახურებთან შეთანხმებით, კანონიკური წესების დაცვით შეასწოროს ხატზე არსებული ხარვეზები“.*** *— გვიზიარებს საპატრიარქოს ასეთ პოზიციას* ***არქიმანდრიტი იოვანე მჭედლიშვილი*** *და ნათელი ხდება, რომ ლიბერასტული უმცირესობა კარნახობს საერო და საეკლესიო უმრავლესობას ცხოვრების წესებს!* ***„რაც ნატა ფერაძემ ჩაიდინა, საერთაშორისო სამართალში განმარტებულია, როგორც რელიგიური შუღლის გაღვივება, რელიგიური საკულტო დაწესებულების შეურაცხყოფა და იმავდროულად — კერძო საკუთრების დაზიანება, თანაც საკმაოდ მკაცრად ისჯება და პარადოქსია, რომ „წვრილმან ხულიგნობად“ შეაფასეს!“*** *— ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი საპატრიარქოს ყოფილმა საპარლამენტო მდივანმა, საპატრიარქოს ტელევიზიის ყოფილმა დირექტორმა, ქრისტიანული ანთროპოლოგიისა და ფსიქოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელმა, თეოლოგიის დოქტორმა, პროფესორმა* ***გიორგი ანდრიაძემ:***

— ორმაგი სტანდარტი ღუპავს ქვეყანას! ევროკავშირის დროშის დაწვის გამო **ლაშა შარუხიას** ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის ფარგლებში წაუყენეს და 6 წლამდე პატიმრობა ემუქრება, სამების საკათედრო ტაძარში **ნატა ფერაძის** შეჭრა და მელნის შესხმა კი ადმინისტრაციულ დარღვევად და 500 ლარად ფასდება! **წარმოიდგინეთ, რა მოხდება, ვინმე სინაგოგაში რომ შეიჭრას და სადმე მელანი შეასხას! ეჭვი მეპარება, ცოცხალი გადარჩეს! თუ გადარჩა — ანტისემიტის იარლიყი სამუდამოდ გარანტირებული ექნება და შეიძლება, საერთაშორისო სანქციებიც გამოიწვიოს!**

**ვთვლი, რომ ნატა ფერაძე შეურაცხადია. ამის გათვალისწინებით, სახელმწიფოსთვისაც საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა, ეს ადამიანი ფსიქიატრიულ ექსპერტიზაზე გაეყვანა და შესაბამისი სამედიცინო დასკვნის საფუძველზე გაეთავისუფლებინა დამსახურებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, ვიდრე ადმინისტრაციული წესით დაეჯარიმებინა და მთელი მორწმუნე ქართველი საზოგადოება აბუჩად აეგდო. მიმაჩნია, რომ ნატა ფერაძესთან ერთად პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს გატრუნულ ნაცლიბერალებს, რადგან სწორედ ისინი დგანან ამ დანაშაულის უკან!** წლების განმავლობაში ისინი თავად შეურაცხყოფდნენ და დასცინოდნენ პატრიარქს, მართლმადიდებლურ ღირებულებებს და ახლა ნატა ფერაძის მსგავსი სულიერად ავადმყოფების ხელით აგრძელებენ იმავეს. **მორიგი არეულობის მოსაწყობად მათ სჭირდებათ საკრალური მსხვერპლი და საამისოდ ნატა ფერაძე საუკეთესო კანდიდატურაა! შეიძლება, უახლოეს მომავალში თავად მოუსწრაფონ სიცოცხლე, რათა მართლმადიდებლობის დამცველებს გადააბრალონ და ავი განზრახვის შესრულება ამ საბაბით იწყონ.** ამიტომ აქცენტები ნატა ფერაძეზე კი არა, მის უკან მდგომ, წამქეზებელ ბანდაზე უნდა გაკეთდეს, რომელიც უკვე წლებია, ებრძვის ქართულ ეროვნულ და მართლმადიდებლურ ღირებულებებს!

**— რა მიზნით ებრძვიან?**

— ებრძვიან, რადგან, ერთადერთი ინსტიტუტი, რომელიც საქართველოში ზნეობასა და ეროვნულ ღირებულებებს იცავს, მართლმადიდებელი ეკლესიაა! რადგან ეკლესია ამხელს ნარკომანიას, თამაშდამოკიდებულებას, ცხოვრების უზნეო წესებს, რის დამკვიდრებასაც გამალებით ცდილობენ უცხოეთიდან წაქეზებული რეზიდენტული ბანდები! რადგან ეკლესიას, ჩვენდა საბედნიეროდ, უზარმაზარი გავლენა აქვს ქართველ ხალხზე — აკი, პატრიარქის მხოლოდ ერთ მოწოდებას შედეგად მოჰყვა 60 ათასზე მეტი ქართველი ბავშვის დაბადება! მზრუნველი ხელისუფლება ამას სათანადოდ უნდა გამოხმაურებოდა და ოჯახებისათვის, სადაც მესამე ბავშვი, პატრიარქის ნათლული დაიბადა — მცირე მატერიალური ხელშეწყობა განესაზღვრა.

ისიც მოგეხსენებათ, რომ მსოფლიოს ბნელ ძალებს მოსახლეობის შემცირების კურსი აქვთ აღებული, ხოლო ქართველები — მეზობელ ერებს შორის ერთადერთი ერი ვართ, რომელიც მცირდება; თუმცა, ჩვენ გარშემო ყველა ერი მრავლდება! აი, ამ ტენდენციასაც ეწინააღმდეგება ეკლესია და, ეს მცირე ჩამონათვალიც, საქართველოს მტრებისათვის, ვისაც ქართველი ერის განადგურება და გადაგვარება სურს — საკმარისია ჩვენი ეკლესიის მიზანში ამოსაღებად. სხვა მიზეზიც არის... **ლიბერასტები ქართულ ეკლესიას რუსეთთან დამაკავშირებელ მთავარ რგოლად განიხილავენ. ეკლესიაზე დარტყმის საბაბი არ გააჩნიათ და ამიტომ აიგივებენ „მტრის ხატთან“.** მათი ლოზუნგია „არა რუსულ სარწმუნოებას!“ თუმცა, საქართველოს

## „სწორედ სტალინის მმართველობის პირობებში მოხდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება, რომელსაც მანამდე არცერთი ადგილობრივი ეკლესია არ ცნობდა!“

### კვირგვინოსნები

**ირაკლი ღარიბაშვილი**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



დღეს რომ არჩევნები იყოს, **„ქართული ოცნება“ სულ მცირე 60 პროცენტს აიღებდა,** არ ვნერვიულობთ, თუმცა, ვემზადებით, რომ **მაქსიმალური შედეგი მივიღოთ, რაც სჭირდება ქვეყანას.**

„ინტერპრესნიუსი“

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



შეიძლება **ხაზარაძე** ნაცმოძრაობის წევრი არ იყო, მაგრამ **პირველი იყო, ვინც ბინძურ საქმეებს აკეთებდა და სააკაშვილის ხელისბიჭი იყო** — ყველაფერი გვახსოვს და არ დაგვიწყებია, **როგორ აუბედურებდით ხალხს, როგორ ართმევდით ბიზნესებს.**

„პირველი არხი“

**ირაკლი კობახიძე**
*პარლამენტარი*



**მამუკა ხაზარაძე** საკუთარი ამბიციების მსხვერპლი გახდა, ამიტომ **ივანიშვილის** მიმართ შურისძიებით არის გამსჭვალული, **მან ჯერ განვლილი გზა შეაფასოს, შემდეგ შეედაროს ივანიშვილს.**

„პირველი არხი“

**გიგლა ბარამიძე**
*პოლიტიკოსი, დიპლომატი, ადამიანის უფლებადამცველი*



არ არსებობს **ახალი ოპოზიცია,** არ არსებობს **ახალი ოპოზიციური პოლუსი!** ჯერ კიდევ შემორჩნენ გაბახებული ნაციონალები და დაემატა — **ნეონაცსექტა,** ანუ ყვინჩილა **ნეონაცები.**

ეკლესია რუსულზე ბევრად ხანდაზმულია. ამასთან, რუსეთის ეკლესია დღემდე რჩება ეკუმენურ საბჭოში; იქ გაცილებით მომძლავრებულია ლიბერალური სწავლებები, ხოლო ქართულ ეკლესიას, რუსულისგან განსხვავებით, გააჩნია მართლმადიდებლობის დაცვის საკუთარი, თვითნაბადი პრინციპები.

**— როგორც ჩანს, ლიბერასტმა მტრებმა რუსეთთან „დამაკავშირებელი“ სხვა რგოლიც იპოვეს — სტალინი! ნატა ფერაძის უკან მდგომი ბანდაც, წმინდა მატრონას ხატის „კანონიკურობის დარღვევაზე“ მეტად სტალინის სახების ეკლესიაში გამოჩენამ აღაშფოთა.**

— საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს სტალინის პიროვნებისადმი, მინიმუმ, ნეიტრალური, უფრო მეტად კი დადებითი განწყობა აქვს. ბევრ ქალაქსა და სოფელში დღემდე გვხვდება სტალინის ძეგლები, უფროსი თაობა კი სიმპათიებს საჯაროდაც გამოხატავს. **ლიბერასტები გულმოდგინედ ცდილობენ, სტალინი ეკლესიის მტრად წარმოაჩინონ, მაგრამ ვერსად გაექცევიან ფაქტს, რომ სწორედ სტალინის მმართველობის პირობებში მოხდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება, რომელსაც მანამდე არცერთი ადგილობრივი ეკლესია, მათ შორის, რუსეთის ეკლესიაც არ ცნობდა და იყო იზოლაციაში!**

შეიძლება, ბევრს არ ახსოვდეს სხვა ისტორიული ფაქტებიც — ის რომ, **იოსებ ჯუღაშვილი** იყო სემინარიელი და მისი ჯგუფელი ბრძანდებოდა **კალისტრატე ცინცაძე,** რომლის კათალიკოსობის პერიოდში, სტალინის უშუალო ხელშეწყობით, აღიარებულ იქნა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა (ავტოკეფალია)! ეს ასე მოხდა: *სტალინის ჩარევით, 1943 წლის 28 ოქტომბერს თბილისში ჩამოვიდა* ***რუსეთის პატრიარქ სერგის*** *მიერ ოფიციალურად გამოგზავნილი სტავროპოლისა და პიატიგორსკის მთავარეპისკოპოსი* ***ანტონი.*** *მოლაპარაკების შემდეგ რუსეთის ეკლესიამ პირველად ოფიციალურად და ფორმალურ-კანონიკურად ცნო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და ამის შესახებ აცნობა აღმოსავლეთის მართლმადიდებელ მწყემსმთავრებს, რითიც ქართულ ეკლესიას გზა გაეხსნა მსოფლიოს სხვა საპატრიარქოებთან ურთიერთობისთვისაც!*

სტალინის სახელს უკავშირდება 1948 წელს აღმოსავლეთის მართლმადიდებელი ეკლესიების მოსკოვში გამართული კრებაც. აქვე დავსძენ, რომ **ვატიკანი** (რომის კათოლიკური ეკლესია), როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი იმ სახით, რა სახითაც ამჟამად არსებობს, **ჰიტლერისა და მუსოლინის** თანამშრომლობით შედგა. დიახ, 1929 წელს მუსოლინის ხელმძღვანელობით ფაშისტურმა იტალიამ კათოლიკურ ეკლესიასთან კონკორდატი გააფორმა. ლიბერასტების „სამეთაურო პუნქტში“ ეს კარგად

# „ვადასტურებ, რომ პატრიარქის სამუშაო კაბინეტში სტალინის პორტრეტი მართლაც ეკიდა! თავად მინახავს!“


მარცხნიდან პირველი — კონსტანტინოპოლის პატრიარქი **ბართლომეოს პირველი** და **ათათურქის პორტრეტი მის კაბინეტში**



# „ამის გამო პატრიარქის განკითხვა არავინ გაბედოს! თუ მაინც დასცდებათ სიტყვა, ჯერ ის აგვიხსნან, კონსტანტინოპოლის ყოფილ პატრიარქებს, თუნდაც ამჟამინდელ მსოფლიო პატრიარქ ბართლომეოს პირველს კაბინეტში ათათურქის პორტრეტი რატომ უკიდია?!“

უწყიან, მაგრამ დუმილს ამჯობინებენ!

სტალინის მმართველობის დროს გაიხსნა მორწმუნეთათვის მანამდე დაკეტილი ეკლესიები, ხოლო მოსკოვში, კიევსა და ლენინგრადში ამოქმედდა სემინარიები და სასულიერო აკადემიები, რომლებიც მანამდე არ არსებობდა! სხვათაშორის, **კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის** კალამს ეკუთვნის სტატია თურქეთში მცხოვრები ქართველების უფლებების დაცვის შესახებ, რაც დროში ემთხვევა ტაო-კლარჯეთის საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნების სტალინისეული განზრახვის შესახებ ინფორმაციას. ასე რომ, **სტალინის ეკლესიასთან თანამშრომლობა უტყუარი ფაქტებით გამოიხატება.** მანამდე იყო აგრესიული, ლენინ-ტროცკისეული მიდგომა, რომელიც სტალინისეულმა მკაფიოდ გამორჩეულმა დამოკიდებულებამ შეცვალა.

**— მაგრამ სტალინის სახელს დღემდე უკავშირებენ მღვდელმსახურთა და საერო მოღვაწეთა რეპრესიებსა და ამოხოცვას. რა აზრის არის ამ საკითხზე მართლმადიდებელი ეკლესია?**

— ეკლესიასთან მიმართებაში ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ ლენინ-ტროცკის, სტალინის და ხრუშჩოვისეული **სამი ურთიერთგამომრიცხავი პერიოდი:**

**1.** რევოლუციიდან 1936 წლამდე, როდესაც დახვრიტეს და დაიჭირეს თითქმის ყველა რელიგიური და ანტიკომუნისტი მოღვაწე. გაითვალისწინეთ — მაშინ 16 კომისრიდან 13 ებრაელი იყო, ხოლო სტალინს იმ პერიოდში ნაციონალური საკითხები ებარა და არ ეხებოდა რეპრესიების განმახორციელებელი ძალოვნები. მხედველობაში ისიც მივიღოთ, რომ 1917 წლის რევოლუციიდან ამ დრომდე 20 წელია გასული და უკვე რახანია, ამოჟუჟულია ანტიკომუნისტები და სამღვდელოება!

**2.** სტალინი ძალაუფლებას სრულად იღებს 1936 წელს და იწყებს ტროცკისტების, ანუ საზოგადოების იმ ფენის რეპრესიებს, რომელმაც, თავის მხრივ, მღვდელმსახურთა რეპრესიები აწარმოა! 1937 წლიდან 1953 წლამდე, იშვიათი გამონაკლისების გარდა, იჭერენ და ხვრეტენ არა მღვდელმსახურებს, არამედ ტროცკისტებსა და ანტისტალინელებს! ამ რეპრესიებს ანტიტროცკისტული მიმართულება ჰქონდა და მას შემდეგ, რაც მექსიკაში გადახვეწილი **ტროცკი** 1940 წელს სტალინის შეკვეთით მოკლეს — ტროცკისტებმა სრული ფიასკოთი დაასრულეს არსებობა.

**3.** 1953-დან 1989 წლამდე, როდესაც მიმდინარეობდა ეკლესიისა და დისიდენტური მოძრაობის დევნა.



# „მიმაჩნია, რომ ნატა ფერაძესთან ერთად პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს გატრუნულ ნაცლიბერალებს, რადგან სწორედ ისინი დგანან ამ დანაშაულის უკან!“

**ნატა ფერაძეების** ეკლესიასთან დაპირისპირებული ბანდის წევრები — თანამედროვე ტროცკისტები არიან და ტროცკისეული მეთოდებითვე ცდილობენ ეკლესიის დაკნინება-შეურაცხყოფას.

**— ერთ-ერთმა ეპისკოპოსმა მითხრა — საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს კაბინეტში სტალინის პორტრეტი უკიდიაო. ეს მართალია?**

— **ვადასტურებ, რომ პატრიარქის სამუშაო კაბინეტში სტალინის პორტრეტი მართლაც ეკიდა! თავად მინახავს და ვისაც პატრიარქთან უშუალოდ ჰქონია კონტაქტი, ამის შესახებ კარგად მოეხსენება!** ჩვენი პატრიარქი სტალინს პატივს მიაგებს, რადგან საქართველოს ავტოკეფალიის აღიარებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა. **ამის გამო პატრიარქის განკითხვა არავინ გაბედოს!** თუ მაინც დასცდებათ სიტყვა, ჯერ ის აგვიხსნან, კონსტანტინოპოლის ყოფილ პატრიარქებს, თუნდაც ამჟამინდელ მსოფლიო **პატრიარქ ბართლომეოს პირველს** კაბინეტში ათათურქის პორტრეტი რატომ უკიდია?! გიჟ-პროვოკატორ **ნატა ფერაძეს** მელანი სტალინის ფრაგმენტისთვის კი არ შეუსხამს, არამედ წმინდანის გამოსახულებას შეასხა სამ სხვადასხვა ადგილზე, თუმცა, ძალიან კარგად იცოდა, სად იყო სტალინი გამოსახული, **ანუ სტალინის თემა აქ მხოლოდ საბაბია, მთავარი კი ხატის, ეკლესიის და მართლმადიდებლობის შეურაცხყოფა იყო!**

**— მაგრამ წმინდა მატრონას ის ხატი, საპატრიარქოს გადაწყვეტილებით, ტაძრიდან გაიტანეს. იყო თუ არა ხატწერაში რაიმე დარღვევა?**

— **ვისაც ხატწერაში დარღვევები გულწრფელად ედარდება, ჯობს, მართლაც არაკანონიკური ხატები გაიტანონ ზოგიერთი ეკლესიიდან** (მთავარ და უმეტეს ტაძრებს ეს არ ეხება), **რომლებიც ხატები კი არა, კათოლიკური, რენესანსული ნახატებია, ან თანამედროვე მხატვრების არაეკლესიური შემოქმედება.** რაც შეეხება წმინდა მატრონას იმ ხატს, რომელიც თანამედროვე ტროცკისტების სამიზნედ იქცა, კანონი-

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

## კვირგვინოსნები

**ზაზა დავითაია**
*ჟურნალისტი*



**შენ საფლავს
ქარი გადახვეტს ნაგავს,
გზას დაგილოცავს
წმინდა მატრონა...
არ დაახანო
სამყაროს დაგვა,
რომ დაგვიბრუნდე
კვლავაც პატრონად!**

**ირაკლი კობახიძე**
*პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*



წარმატების ვერავითარი შანსი ვერ ექნებათ პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც **პირდაპირ უპირისპირდებიან სახელმწიფოს და ქართულ ეკლესიას.** ჩვენ დამაჯერებლად მოვიგებთ საპარლამენტო არჩევნებს, **პარლამენტში გვექნება ძალიან მყარი უმრავლესობა.**

„აიპრესი“

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



**ქართულ ეკლესიას და პატრიარქს** შეუძლიათ თქვან, რომ, დიდწილად, სწორედ მათი დამსახურება იყო, რომ **ქართველი ხალხი საბჭოთა კავშირის დანგრევამდე აღმოჩნდა მზად დამოუკიდებლობისათვის** — ალბათ, ძალიან მტკივნეულია, როდესაც მათ ბრალად **პრორუსულობას** სდებენ.

„ინტერპრესნიუსი“

**გია ვოლსკი**
*პარლამენტის ვიცე-სპიკერი*



გაუგონარი სიცრუეა, **თითქოს სამებაში სტალინის ხატი გამოიკიდა,** ეკლესიაში შევარდნა და ხატის შეურაცხყოფა არის **ეკლესიაზე თავდასხმა.**

„პირველი არხი“

**დონალდ ტრამპი**
*აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი*



**ჯო ბაიდენი** ძალიან არაკომპეტენტურია, **ერთადერთი, რაც მან იცის, არჩევნებზე თაღლითობაა.**

„რეზონანსი“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

კას არა სტალინის გამოსახულებით, არამედ ერთადერთი სხვა პარამეტრით — ხატის სიდიდით არღვევდა, რადგან დაუშვებელია რომელიმე ხატი ეკლესიაში იმაზე დიდი ზომის იყოს, ვიდრე წმინდა სამების, მაცხოვრის ან ღვთისმშობლის ხატია. ამასთან, ხატი კი არ ეკიდა, არამედ, იდგა. მაგრამ ეს არის ეკლესიის შიდა, ეპისკოპოსის დონეზე გადასაწყვეტი საკითხი და არ შეიძლება იქცეს მათი განსჯის საგნად, ვინც თავს ეკლესიის წევრად არ მიიჩნევს! სტალინს იმ ხატზე წმინდანის შარავანდედი არ ჰქონია.

**სტალინის მმართველობის პერიოდში ყაზანის ხატი მართლაც შემოატარეს მოსკოვს; ეკლესიების გახსნაც ფაქტია, ასე რომ, არაფერია იმაში გასაკვირი, თუ სტალინი აისახება წმინდა მატრონას ხატზე, როგორც წმინდანის თანამედროვე პერსონა.**

**— მაგრამ ამბობენ, არ შეიძლება, რადგან წმინდა მატრონას სტალინთან შეხვედრა არ დასტურდებაო...**

— ასეთი განმარტება არასერიოზულია. უკიდურეს შემთხვევაში, თუ ლიბერასტების მიერ ხატის შეურაცხყოფა იმან განაპირობა, რომ წმინდა მატრონას სტალინთან შეხვედრა დადასტურებული ფაქტი არ არის (თუმცა, არც გამორიცხვა შეიძლება), მაშინ მათ არგუმენტი გამოეცლებოდათ, სტალინი წმინდა ილია მართლის ხატზე რომ ეხილათ! აკი, **საყოველთაოდ ცნობილია, რომ აწ უკვე წმინდანად აღიარებულ ილია ჭავჭავაძეს გაზეთში გამოსაქვეყნებლად რედაქციაში თავისი ლექსები მიუტანა სოსელომ, ჭაბუკმა იოსებ სტალინმა! ჰოდა, რა საბაბს მოიძებენ თანამედროვე ტროცკისტები, თუ რომელიმე ხატმწერი ილია მართლის ამ რეალურ ცხოვრებისეულ ეპიზოდს ხატზე ასახავს?!**

ჩვეულებრივი ადამიანი ყოველთვის შეიძლება კანონიკურ ხატზე აღმოჩნდეს, ოღონდ წმინდანისგან განსხვავებით — შარავანდედის გარეშე. ამგვარად, ხატებსა და ფრესკებზე გამოსახული არიან ქტიტორები (ტაძრის ამშენებლები), მაგალითად, საფარაში ხატზე გამოსახულია ქტიტორი ჯაყელების ოჯახი.

დიდი ქართველი პოეტი, უკვდავი „ვეფხისტყაოსნის" ავტორი **შოთა რუსთაველი** წმინდანი არ არის, მაგრამ იერუსალიმის ჯვრის ქართულ მონასტერში ფრესკაზეა გამოსახული!

ზოგადად, ხატზე შეიძლება გამოისახოს: 1. ნეგატიური პერსონა, მაგალითად, **წმინდა გიორგის მწამებელი დიოკლეტიანე,** თბილისში ასი ათასი მოწამის მკვლელები და ა.შ. 2. ნეიტრალური პერსონა, რომელიც წმინდანის კონკრეტულ ცხოვრებისეულ მომენტს უკავშირდება — ვთქვათ, პერსონა, რომელსაც წმინდანი კურნავს ან პერსონა, რომელიც ჭკუის საკითხავად მიდის წმინდანთან. ხატზე ასეთი პერსონის გამოსახვა ამ პერსონას კი არ განადიდებს, არამედ წმინდანს! **სტალინის და წმინდა მატრონას შეხვედრის ეპიზოდიც ამ კონტექსტში ჯდება!** 3. პოზიტიური პერსონა, რომელიც წმინდანს ღვთივსათნო საქმის აღსრულებაში ეხმარება.

**— ამ ლოგიკით, ვინ შეიძლება მოხვდეს, ვთქვათ, წმინდა გაბრიელ ბერის ხატზე?**

— მაგალითად,

**შეიძლება ხატზე აისახოს თანამედროვე საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი ეპიზოდი, როცა ბერი გაბრიელი წინ გადაუდგა შევარდნაძეს, რომელიც სვეტიცხოველში შესვლას აპირებდა! ხატზე შევარდნაძის ამგვარად ასახვა შევარდნაძეს სულაც არ წარმოაჩენს დადებითად, განსხვავებით წმინდა მატრონას სტალინთან შეხვედრის ხატზე ასახული ეპიზოდისგან!**



**— პირდაპირ გკითხავთ — რატომ წავიდა საპატრიარქო კაპიტულაციაზე, რატომ გაიტანა საკათედრო ტაძრიდან ხატი ან რატომ ელოლიავება ნატა ფერაძესა და მის დამკვეთებს?**

— მეც პირდაპირ გიპასუხებთ — იმიტომ რომ, სამწუხაროდ, ეკლესიაში მოკალათებული არიან ნაცების ლობისტი სასულიერო პირები! ისინი არ არიან ბევრნი, მაგრამ არიან „ტროას ცხენივით", ხელი მიუწვდებათ ნაცურ და ლიბერასტულ მედიაზე და ახერხებენ, მოვლენების ლიბერალური დღის წესრიგის ფარგლებში წარმართვას. **მთელი პასუხისმგებლობით გეუბნებით — ყოველი უზნეო მღვდელი და ეპისკოპოსი სააკაშვილის რეჟიმის შეგზავნილია, რომელმაც სცადა, ეკლესია საკუთარი ბინძური ინტერესებისთვის მოერგო.** „ტვ ფორმულაზე" გამოვიდა **მეუფე ნიკოლოზი (ფაჩუაშვილი)** და ზარების დარისხების ნაცვლად საუბარი იმაზე გადაიტანა, „ხატი უკანონოა და უნდა გადაიწეროსო!" რაც სამებაში მოხდა, ეს მარტო **ნატა ფერაძის** კი არა, მისი დამკვეთი **ანტიეკლესიური ძალების** პროვოკაციაა, რომელთაც ეკლესიის წიაღში შეხიზნული საკუთარი აგენტები ჰყავთ მოკავშირეებად. ასეთებს მისაღებად მიაჩნიათ, რასაც სააკაშვილი სჩადიოდა, როცა კლავდა, აუპატიურებდა და ძარცვავდა! **მეუფე ნიკოლოზმა** ზედმიწევნით ზუსტად ჩამოაყალიბა ნაცების მსოფლმხედველობა, ვისთვისაც სააკაშვილი აღმაშენებელია! მათ მარტო **ნატა ფერაძის** საქციელზე კი არა, ყველა თემასთან მიმართებაში უკუღმართი დამოკიდებულება ექნებათ! შედარებისთვის — საქართველოში უამრავი ფსიქოლოგია, მათ შორის, მართლმადიდებლებიც, რომელთაც მიაჩნიათ, რომ ლგბტ ცხოვრების წესი ფსიქოლოგიური ნორმაა. უფრო მეტიც, ამისთანა ფსიქოლოგებთან მკურნალობენ ადამიანები!

**სამწუხაროდ, ეკლესიაშიც მომრავლდნენ ისეთი სასულიერო პირებიც, რომლებსაც სააკაშვილი კეთილად მიაჩნიათ, არადა, მათთან აღსარებაზე და ზიარებისთვის, რჩევების მისაღებად მრევლი დაიარება!**

**— რანაირად შეიძლება, ასეთ ადამიანებთან თანაცხოვრების გაგრძელება?**

— პრობლემა მათშია — სამყაროს უკუღმა ხედავენ! თანაცხოვრება მოხერხდება, თუ ეს აგრესიული ბანდები აგრესიას შეელევიან, სხვა ადამიანების — უმრავლესობის ნების გათვალისწინებას შეეჩვევიან და თავიანთ საზღვრებში დარჩენას ისწავლიან! **არ უნდა შეიჭრან სხვის ტაძრებში, სხვისი უფლებების სფეროში!** და ამის მერე, თუ მაინც მოხდება რაიმე, მთელმა სალიბერასტეთმა ბოდიში უნდა იხადოს, დანაშაულის გამართლების ნაცვლად!

ადამიანის უფლებების ევროპული დეკლარაციის დიდი ნაწილი ქრისტიანულ პრინციპებზეა დაფუძნებული. კეთილი ინებონ და ეს პრინციპები ჩვენთან მიმართებაშიც დაიცვან. ამისთვის საჭიროა, საერო ხელისუფლებაში პატრიოტული და ეროვნული ძალების მოსვლა. ამის გარეშე ვერც ეკლესიაში მოხდება „რუის-ურბნისის" პროცესის მსგავსი გარდაქმნა და ქვაბ-ავაზაკთაგან ეკლესიის გაწმენდა.

## გიორგი ანდრიაძე:

# მთელი პასუხისმგებლობით გეუბნებით – ყოველი უზნეო მღვდელი და ეპისკოპოსი სააკაშვილის რეჟიმის შეგზავნილია, რომელმაც სცადა, ეკლესია საკუთარი ბინძური ინტერესებისთვის მოერგო!



ბენიტო მუსოლინი

> „1929 წელს მუსოლინის ხელმძღვანელობით ფაშისტურმა იტალიამ კათოლიკურ ეკლესიასთან კონკორდატი გააფორმა. ლიბერასტების „სამეთაურო პუნქტში" ეს კარგად უწყიან, მაგრამ დუმილს ამჯობინებენ!"

**„ქართულმა ოცნებამ" ბევრი კარგი ნაბიჯი გადადგა, მაგრამ ვერ შექმნა ისეთი სამართლებრივი ბაზის შექმნა, რომელიც ეკლესიაში შეჭრილ ფაშისტებს სათანადო სასჯელით დასჯის.**

არსებობს მონაცემები, რომლის მიხედვით მოსახლეობის დიდი ნაწილი არ უჭერს მხარს არც „ოცნებას" და არც ნაცებს, უბრალოდ, არ მონაწილეობს არჩევნებში და მოკლებულია თავის ხმას პარლამენტში. შედეგად, მართვის სადავეები ხელთ უპყრია უმცირესობას. **ჩვენ ვალდებულები ვართ, შევქმნათ მართვის ისეთი მოდელი, რომლის ფარგლებშიც უმცირესობასთან ერთად უმრავლესობის უფლებებიც მკაცრად დაცული იქნება და თანაცხოვრებაც ამის შემდეგ შედგება!**

ესაუბრა
***ზაზა დავითაია***

## კვირგვინოსნები

**ნატა ფერაძე**
*სამოქალაქო აქტივისტი*



**კატეგორიულად არ ვაპირებ ჩემი ქვეყნიდან გაქცევას. არაფერს ვნანობ, იმავეს ვიზამდი.**

„რეზონანსი"

**ნინო ქაქაბაძე**
*ჟურნალისტი*



**ნატა** მივიდა სამებაში და გააკეთა **ჩვენი, ყველას გასაკეთებელი საქმე.** როცა **ნატას** სახლთან ორკები მიუვარდნენ, ჩვენ უნდა წავსულიყავით და **მოსკოველი მატრონა სტალინთან ერთად კვლავ გადაგველეგა.** აფერუმ, შენს ქალობასა და ოჯახიშვილობას.

„საქართველოს რესპუბლიკა"

**ირმა ინაშვილი**
*„პატრიოტთა ალიანსის" ერთ-ერთი ლიდერი*



ნიუ-იორკისა და ვაშინგტონის მართლმადიდებლურ ტაძრებში პირადად ვნახე **სერგი რადონეჟელის, სერაფიმ საროველის, გერმანე ალიასკის განმანათლებლის, მატრონა მოსკოველის და მამა გაბრიელის ხატები** და ეს ამერიკელებს არ აბრაზებს. ამას იმიტომ ვწერ, რომ გითხრათ: **თქვენ აღარც ქართველები ხართ და ამერიკელებიც ვერ გახდით.** უბრალოდ, ძალიან გინდათ, რომ **უკანალში შეუძვრეთ დასავლეთს,** მაგრამ იმათ თქვენნაირი ბნელეები არ სჭირდებათ.

„ალია"

**ირაკლი ჩიქოვანი**
*პარლამენტარი*



ყველას უნდა ესმოდეს, **როცა იერიში მიაქვთ ეკლესიაზე, კონსტიტუციურ ინსტიტუტებზე, ამით ძირს უთხრიან სახელმწიფოებრიობას,** ეწინააღმდეგებიან ხალხის ნება-სურვილს.

„პირველი არხი"

**კოკა მორგოშია**
*ტელეარხ „ალტ-ინფოს" ხელმძღვანელი*



თუ მუხლს არ გადააკვალიფიცირებენ, **„ოცნება" თავისას მიიღებს და ნატა ფერაძე — თავისას.**

„რეზონანსი"

*საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესების შესახებ საქართველოს პარლამენტის ყოფილ წევრსა და უკრაინის მეოთხე პრეზიდენტის ვიქტორ იუშჩენკოს ყოფილ მრჩეველს, პოლიტოლოგ ირაკლი გოგავას ვესაუბრებით:*

# ირაკლი გოგავა:

# შესაძლოა, ბიძინა ივანიშვილი საქართველოს პრეზიდენტად ვიხილოთ!

— დღეს საქართველოს პოლიტიკურ ველზე არსებულ მდგომარეობას მთლად ჭაობს თუ არ დავარქმევთ, არც ისე შორს არის ჭაობისაგან. **ოპოზიცია გაჩანაგებულია და მისი კრებსითი რეიტინგი 12 პროცენტს არ აღემატება.** მასთან შედარებით „ქართული ოცნება" კარგად გამოიყურება, თუმცა, გარკვეული სტაგნაციის ნიშნები სახელისუფლო პარტიასაც ეტყობა. იქიდან გამომდინარე, რომ გაჯანსაღება-განახლება მმართველ ძალასაც სჭირდება და მთლიანად ქართულ პოლიტიკასაც, **ბიძინა ივანიშვილის დაბრუნება დადებითად უნდა შეფასდეს.**

საერთოდ, 2024 წელი მთელი მსოფლიოსათვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. დიდი ცვლილებების ეპოქაში გვიწევს ცხოვრება და სერიოზულ გეოპოლიტიკურ ტურბულენტობაში ვიმყოფებით. **მალე მსოფლიოს ამერიკის შეერთებული შტატების სახით ერთადერთი ჰეგემონი აღარ ეყოლება,** რადგან სხვა ძალებიც მოძლიერდნენ და ახალი წონასწორობის რეჟიმი ყალიბდება. ამ ფონზე ჩრდილში დგომა აღარ გამოვიდოდა და ამიტომაც მიიღო ივანიშვილმა პოლიტიკაში კვლავ შემოსვლის გადაწყვეტილება.

**— მაინც რას და როგორ შეცვლის ქართულ პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილის დაბრუნება?**

— დასავლეთს ძალიან უნდა, საქართველოში მოიყვანოს კოალიციური მთავრობა, სადაც მისი „მეხუთე კოლონის" წევრები იქნებიან წარმოდგენილი, მაგრამ პოლიტიკაში დაბრუნებულმა **ივანიშვილმა მკაფიოდ განაცხადა, რომ „ქართული ოცნება" არჩევნებში ხმების 60 პროცენტს აიღებს და პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობას მოიპოვებს.** ამდენად, გამორიცხული არ არის, 2024 წლის ბოლოს მნიშვნელოვანი საკონსტიტუციო ცვლილებებიც ვიხილოთ.

**— ივანიშვილის გარდა „ქართული ოცნების" სხვა ლიდერებიც აცხადებენ — არჩევნებში დამაჯერებლად გავიმარჯვებთ და საკონსტიტუციო უმრავლესობას მივიღებთო, მაგრამ აქვთ კი ამის რეალური რესურსი?**

— როცა „ქართული ოცნების" ლიდერები აცხადებენ — არჩევნებში ხმების 60 პროცენტს მივიღებთო, ვფიქრობ, იმაზე აკეთებენ გათვლას, რომ საქართველოში არჩევნებზე, ტრადიციულად, ამომრჩევლების ნახევარი დადის, ნახევარი კი სახლში რჩება. შესაბამისად, თუ პარტიის რეიტინგი, პირობითად, 30 პროცენტია, არჩევნებში მიიღებს 60 პროცენტს, რადგან საარჩევნო უბნებზე ამომრჩევლის საერთო რაოდენობის ნახევარი მივა. აქედან გამომდინარე, „ქართული ოცნების" მიერ საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვება და საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელება რეალობასთან ახლოსაა.

**— კონკრეტულად რა სახის საკონსტიტუციო ცვლილებებს შეიძლება, ველოდოთ?**

— არსებობს დიდი ალბათობა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთისაგან მიიღოს ულტიმატუმი ე.წ. უბლოკო სტატუსის ან ნეიტრალიტეტის გამოცხადებასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე,

**აბსოლუტურად შესაძლებელია, რუსეთის აგრესიისა და ომის თავიდან არიდების მიზნით, საქართველოს ხელისუფლებამ კონსტიტუციიდან ამოიღოს ჩანაწერი ევროატლანტიკური კურსის შესახებ.**

გავიხსენოთ, როგორ დაიწყო ომი უკრაინაში — რუსეთმა დასავლეთს წაუყენა ულტიმატუმი, რომ უკრაინას ნეიტრალური და დემილიტარიზებული სახელმწიფოს სტატუსი მიეღო, მაგრამ დასავლეთი და ზელენსკის ხელისუფლება ამას არ დათანხმდნენ, რამაც სამხედრო კონფლიქტი გამოიწვია.

**— საერთოდ, თავიდანვე რამდენად სწორი იყო კონსტიტუციაში იმის ჩაწერა, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკური ვექტორი ცალსახად ევროატლანტიკური სივრცისაკენ არის მიმართული?**

— როცა პატარა სახელმწიფო ხარ და მთელი შენი ისტორია იმას გასწავლის, რომ გადარჩენის გზა მხოლოდ ბალანსისა და წონასწორობის პოლიტიკაა, კონსტიტუციაში მსგავსი ჩანაწერის გაკეთებით ხელბორკილები არ უნდა დაიდო.





**„არ გამოვრიცხავ, ივანიშვილმა „ქართული ოცნების" გუნდი მნიშვნელოვნად განაახლოს!"**

**— პოლიტიკაში დაბრუნებული ივანიშვილის გამოსვლაში განსაკუთრებით საყურადღებო იყო, რომ მან ორჯერ მკაფიოდ და აქცენტირებულად განაცხადა — ტერიტორიული მთლიანობა უნდა აღვიდგინოთ და საქართველო გავაერთიანოთო, რასაც პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებაც მოჰყვა — ქვეყანა გასაერთიანებლად უნდა მოემზადოსო! რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?**

— ჩემი დაკვირვებითა და ანალიზით, **რუსულ პოლიტიკურ ელიტაში თანდათან მწიფდება აზრი, რომ რუსეთის პერიმეტრზე არსებული ყველა ტერიტორიული კონფლიქტი უნდა მოგვარდეს.** საქმე ის არის, რომ დღეს, მკვეთრად შეცვლილი გეოპოლიტიკური ვითარების ფონზე, რუსეთს თავის პერიმეტრზე პარტნიორები და მოკავშირეები ან, მინიმუმ, ნეიტრალური ქვეყნები უფრო სჭირდება, ვიდრე განაწყენებული თუ მტრულად განწყობილი სახელმწიფოები. ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებაც ამის ნათელი დადასტურებაა და **ნამდვილად არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კუთხითაც მნიშვნელოვანი ძვრები დაიწყოს.**

ცოტა ხნის წინათ „კარნეგის ცენტრმა" საქართველოში კვლევა ჩაატარა და მოსახლეობას დაუსვა კითხვა — **თუ ასარჩევად გექნებათ საქმე, ევროკავშირსა და ნატო-ში გაწევრიანება გირჩევნიათ თუ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა?** — 78-მა პროცენტმა მკაფიოდ უპასუხა — **ტერიტორიული მთლიანობა!**

არც ის არის ცარიელი სიტყვები, რომ **პრემიერმა ღარიბაშვილმა** აფხაზებს მიმართა და პირდაპირ თქვა — **საქართველოს გაერთიანების შემთხვევაში, აფხაზეთის განვითარებისათვის პირველ სამ წელიწადში 10 მილიარდ დოლარს დავხარჯავთ და შეიძლება, მეორე მონაკოდ ვაქციოთო!**

თუ რუსეთი ხელს არ შეუშლის ქართველებსა და აფხაზებს შორის პირდაპირ დიალოგს, კონფლიქტის მოგვარების შანსი გაცილებით დიდი იქნება, ვიდრე დღეს, როცა ასეთი დიალოგი, ფაქტობრივად, დაბლოკილია.

**— ბიძინა ივანიშვილის, როგორც მმართველი პარტიის საპატიო თავმჯდომარის, როლი და ფაქტორი როგორი შეიძლება, იყოს ამ პროცესში?**

— ივანიშვილი, როგორც თვითონ განაცხადა, ფაქტობრივი სანქციების ქვეშ იმყოფება და ისიც ცხადია, თუ რატომ დაასანქციერეს — დასავლეთიდან არნახული ზეწოლის მიუხედავად, არ დათანხმდა მეორე ფრონტის გახსნას და საქართველოს ომში ჩართვას. ვფიქრობ, ივანიშვილის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლა არამხოლოდ იმას უკავშირდება, რომ შეიძლება, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესი დაიძრას, არამედ კავშირშია მის პირად და, შესაბამისად, ქვეყნის უსაფრთხოებასთანაც. **თუ ტერიტორიული მთლიანობის საკითხი დაიძვრება, ივანიშვილს პარტიის საპატიო თავმჯდომარეობაზე უფრო მაღალი ოფიციალური სტატუსი დასჭირდება და შესაძლოა, საქართველოს პრეზიდენტად ვიხილოთ.**

არც იმას გამოვრიცხავ, რომ ივანიშვილმა „ქართული ოცნების" გუნდი მნიშვნელოვნად განაახლოს, რადგან ხელისუფლებაში ერთი და იგივე სახეების ყურება საზოგადოებისთვის ძალიან მოსაბეზრებელია.

**— ივანიშვილმა პოლიტიკაში დაბრუნების ერთ-ერთ მიზეზად მმართველ გუნდში კორუფციული რისკების დაზღვევა დაასახელა... როგორ ფიქრობთ, ამ მიმართულებით რაიმე ქმედით ნაბიჯებს უნდა ველოდოთ?**

— როცა სახელმწიფო სისტემა ერთსა და იმავე მონოტონურ რეჟიმში მუშაობს, ყოველთვის ხდება მისი დეგრადაცია. ისიც აშკარაა, რომ დღევანდელი ხელისუფლება კონკრეტულ საკითხებში დიდი ეფექტიანობით ვერ გამოირჩევა. მაგალითად, სოფლის მეურნეობის მიმართულებით ხელისუფლებას არავითარი პოლიტიკა არ გააჩნია და არც ეკონომიკაში არსებობს ერთიანი ხედვა. შესაბამისად, მმართველ გუნდს დროდადრო სჭირდება შეზანზარება და წმენდა, რასაც, ვფიქრობ, მალე ვიხილავთ.

**— როგორც ზემოთ ახსენეთ, 2024 წელს მსოფლიოში დიდი გეოპოლიტიკური ცვლილებები და გადაჯგუფებებია მოსალოდნელი... არსებობს შანსი, რომ ამ გლობალურ პროცესს პატარა საქართველო რაიმე სასიკეთოს გამორჩეს?**

— საქართველოსნაირი პატარა ქვეყნებისთვის ყველაზე ოპტიმალურია, როცა მსოფლიოში მეტ-ნაკლებად თანაბარძალიანი მრავალი პოლუსი არსებობს, რადგან ასეთ ვითარებაში ლავირების, ბალანსისა და საკუთარი ინტერესების დაცვის უფრო მეტი შესაძლებლობა გეძლევა. **დღეს ვხედავთ, რომ სწორედ რამდენიმე პოლუსი და ძალის ცენტრი იკვეთება — აშშ, ევროკავშირი, ჩინეთი, ინდოეთი, რუსეთი, აფრიკა და ლათინური ამერიკა.**

არსებობს ანგლოსაქსური გეგმა, რომლითაც კოლექტიური დასავლეთი ცდილობს, რუსეთი, ერთი მხრივ, მოკავშირედ გაიხადოს ჩინეთთან დაპირისპირებაში, ხოლო, მეორე მხრივ, იმავე რუსეთს დაუბლოკოს გასასვლელები გაუყინავ ზღვებზე და მხოლოდ ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანე დაუტოვოს. სწორედ ამ გეგმის ნაწილია ანგლოსაქსური სამყაროს მიერ უკრაინის ტორპედოდ გამოყენება რუსეთის წინააღმდეგ და იკვეთება, რომ კოლექტიური დასავლეთის შემდეგი სამიზნე იქნება თურქეთი, რომელმაც სუვერენული განვითარების გზა აირჩია.

გლობალისტური დასავლეთის მიზანია, როგორმე მოახერხოს რუსეთისათვის ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების გადაკეტვა, რისთვისაც ან თურქეთის დაშლა სჭირდება, ან — ერდოღანის ხელისუფლების შეცვლა მისთვის ხელსაყრელი მთავრობით.

**— დააყენებს თუ არა თავდაყირა ამ გეგმას აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში დონალდ ტრამპის გამარჯვება და რამდენად აქვს მას შანსი, კვლავ მოვიდეს ამერიკის სათავეში?**

— **ტრამპის** გამარჯვების შემთხვევაში ამერიკის საგარეო პოლიტიკა მთლიანად შეიცვლება, ხოლო, რაც შეეხება მის შანსებს, ყველა სოციოლოგიური კვლევა, რომლის უკანაც ლიბერალ-გლობალისტები არ დგანან, აჩვენებს, რომ **ტრამპი ბაიდენზე ბევრად წინ არის და არჩევნებში გამარჯვების დიდი შანსი აქვს.** ტრამპის პრეზიდენტობა ამერიკისთვისაც ძალიან კარგი იქნება და საქართველოსთვისაც, რადგან გაცილებით ადეკვატური საერთაშორისო ურთიერთობების გარემო შეიქმნება.

**— დაბოლოს, ემუქრება თუ არა რაიმე საფრთხე საქართველოში მართლაც კბილებით შენარჩუნებულ მშვიდობას და კვლავ არსებობს თუ არა ქვეყნის ომში ჩათრევის რისკი?**

— ასეთი რისკები ნამდვილად არსებობს და **სიფხიზლე გვმართებს!** კავკასიონის მთები ბუნებრივად გამორიცხავს საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთზე სატანკო არმიებით შეტევის ალბათობას, მაგრამ რუსეთისათვის პოტენციური საფრთხეა საქართველოს საზღვაო სანაპიროზე რომელიმე უცხო ქვეყნის სამხედრო ფლოტის განლაგება. შესაბამისად, როცა იცი, რა არის მიუღებელი შენი ოპონენტისა თუ მეზობლისათვის, შენი პოლიტიკაც ისე უნდა დაალაგო, რომ შუბლში დარტყმა არ მიიღო. მოკლედ, **ფრთხილად უნდა ვიყოთ** და ჭკვიანურად ვიმოქმედოთ!

*ესაუბრა **ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**დეკანოზი შალვა კეკელია**
*თბილისის ვაკის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ტაძრის წინამძღვარი*



თავიდანვე უნდა გარკვეულიყო და **არ უნდა მიეცათ უფლება, რომ ასეთი შინაარსის ხატი შემოეწირათ.** დიახ, ეს ჩვენი პრობლემაა და მეც ვაღიარებ. ის ქალბატონი ასეთი ურწმუნო როგორ იყო, რომ ეს გააკეთა, თან იღებდნენ ამას. ეს არის ბრძოლა ეკლესიის წინააღმდეგ, ამიტომაც **აუცილებელია, სახელმწიფომ კანონი მიიღოს რელიგიური შეურაცხყოფის გამო.**

„კვირის პალიტრა"

**გოგა ხაინდრავა**
*კინორეჟისორი*



რატომ არის საქართველო კვლავ ღარიბი ქვეყანა? — კითხულობს **მამუკა ხაზარაძე.** იმიტომ, რომ **შენ, ბადრი ჯაფარიძე და თქვენნაირი მევახშეები** მდიდრდებოდით ქართველი ხალხის გაჭირვების ხარჯზე! **ბიძინა ქართულ ციხეში ნაწამები კაცების ქონების გადმოფორმებით არ გამდიდრებულა შენსავით.**

„იმედინიუსი"

**დათო ლორთქიფანიძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



**ბიძინა ივანიშვილის** პოლიტიკაში დაბრუნება **ოპოზიციისთვის შოკი იყო.**

„ახალი თაობა"

**ლევან საღლობელაშვილი**
*სამოქალაქო აქტივისტი*



**ბიძინა ივანიშვილი** ძალიან კარგი საქმისთვის მობრუნდა. **დავით აღმაშენებლის მერე საქართველოში ერთიანობა არ ყოფილა.**

„ახალი თაობა"

# მო გელა ნდებით!

## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად



# ერთი მარშრუტკა ოპოზიცია



**თინა ძალომ** იგეთი ბრძნული რამე თქვა, **დათო ძიას** რო არ ჩაეწერა, ერი უთუოდ ბევრს დაჰკარგავდა — **ისაო, მადლობელი ვარ, რომე ბიძინა ივანიშვილი გამოვიდა სცენაზე, ეგეთ საახალწლო საჩუქარს სხვას ვერაფერს გააკეთებდა — ახლა ოპოზიცია უნდა დაჯდეს საჭესთან, მანქანის მართვა დაიწყოს, ხოლო „ქართული ოცნება“ მდევრის როლში იყოსო.**

☺

**თინა ძალოს** ამოცანა ეკითხება: **რომელი ოპოზიცია უნდა მიუჯდეს საჭეს და მართოს მანქანა? ან რომელ ოპოზიციას უნდა გამოეკიდოს „ქართული ოცნება“?**

პასუხი არის დიადი და ნათელი: **მანქანა უნდა მართოს იმ ოპოზიციამ, სადაც ამჟამად იმყოფება მისი სახელგანთქმული ქმარი.**

წინ **მამუკა ხაზარაძე** დაჯდება, ერთ მხარეს **უსუფა** მიუჯდება, მეორე მხარეს — **ბადრი,** ცოტა უკან დასხდებიან: **ავი ანა, კარტოფილა ბეგელია, ბუა საბაძე** და კიდე — ვიღაცები.

არადა, ისე **ესენი ერთ „მარშრუტკასაც“ ვერ ავსებენ** და მთავრობა რანაირად უნდა დააკომპლექტონ?

# ანიტა რაჭველიშვილის ცეკვა „ბარძაყული“

არ არის ეს **„ტანგო“**... ეს არის **საბედისწერო კუნტრუში,** რომელშიც ჩათრეულია **ბარძაყები, თეძოები, ძუძუები** და რაც მთავარია, **კურტუმი.**

წადი, შვილო, სარკეში ჩაიხედე, შენი ტორსი შეათვალიერე, დაფიქრდი — ხარ კი მზად, სცენაზე იცეკვო?

**გასაგებია, მაყურებელი არაფრად მიგაჩნია, საკუთარ თავს მაინც ეცი პატივი.**

☺

რაღა დაგიმალოთ და... მაგასაც ნიჭი უნდა, როცა ასეთ მძიმეწონოსანს შეუძლია, **კუნტრუში** ჩართოს როგორც **თეძოები,** ასევე **ბარძაყები** და **ძუძუნი.** აღარაფერს ვამბობ მენჯ-ბეჭებსა და ყელ-ყურზე!



# წმინდა მატრონას ხატზე სტალინი მარტო არ ყოფილა!

TV Pirveli • ტელეკომპ:
1 სთ •

👉 გამოსახეს თუ არა საკუთარი თავი ირმა ინაშვილმა და დავით თარხან მოურავმა მატრონა მოსკოველის ხატზე




YOUTUBE.COM

**ირმა ინაშვილი და დავით თარხან მოურავი მატრონა მოსკოველის ხატზე?**

**შაქმა ნოდარამ,** როგორც თვითონ იტყვის ხოლმე, ახალი სკანდალი გახეთქა — **წმინდა მატრონას ხატზე სტალინის გარდა ირმა ინაშვილი და დავით თარხან მოურავიც ამაიცნო.**

**თარხან-მოურავი** იძახის — **ეგ მე არა ვარ, 10 წლის წინათ გავმელოტდიო!**

**ირმა ინაშვილი** ამტკიცებს — **მე შავი თმა მაქვს, მაგ ხატზე როა, ყავისფერი აქვს, ხატია დეკანოიძეს უფრო ჰგავსო.**

ჰო, გასაგებია, მაგრამ რაკი **შაქმა ნოდარამ** ამოგიცნოთ და **ჭუტლექსამ** კვერი დაუკრა, ეგრეა, წვეთი არ გაუვა!

ეხლა თქვენ მაგათ ასწავლით?!

☺

**ისე კი, თქვენ გახარებას, იქნებ ვინმეს გაერკვია, ხონში ან გაჩიანში რა ხდება, ადგილები აქვთ?**



# ადე, იოსება პაპავ, ჩათლახები არ ისვენებენ!

საქართველოში ე.წ. ოპოზიცია მკვდარ სტალინს ებრძვის და თან ისე უნიჭოდ ებრძვის, იქით ითხრის სამარეს.

არადა, ერთხელ ცხონებულ **ბიჭი ბერიკაშვილს** ვკითხე — **რაზე ოცნებობ-მეთქი?**

რაზე და... ერთი **იოსება პაპა** მაჩვენა რუსთაველზე ჩამოვლილი, ეს ვირთხები როგორ დაფრთხებიან და როგორ გადაიკარგებიან, მაგასაც ვნახავთო.

ისე, ამას წინებზე პოლონეთის ელჩისაც წამოუარა — **სტალინის მუზეუმი გააუქმეთო.**

მე მივცემ ერთ კაი რჩევას მაგ არდასაბადებელს:

**ჯერ პოლონეთის მთავრობას მიმართოს იმ მიწების დაბრუნების თაობაზე, სტალინმა გერმანიას რომ ჩამოაჭრა და მაგათ მიაკუთვნა,** მეორეც — ჩვენ რას გავაუქმებთ და რას დავაარსებთ, არავისი ტანკის საქმე არ არი!

**სტალინის სახლ-მუზეუმს დღეს იმაზე მეტი შემოსავალი მოაქვს ჩვენი ქვეყნისთვის, ვიდრე კურკუმალ ვაითს, ჭიჭიკო ვაშაძეს, მამუკა ხაზარაძეს და მათნაირებს.** თუ სტალინის მუზეუმს უფრო გავაფართოვებთ და უკეთესად დავგეგმავთ, გაცილებით მეტს მოიტანს.

**ხედავთ?**

**მკვდარი სტალინი გაცილებით სჯობს ჩვენს ოპოზიციასაც და შმოპოზიციასაც!**

☺

თან რომ ცოფდებიან და ისტერიკაშიც ვარდებიან?

**შეიძლება, ვინმე მოგწონდეს ან არ მოგწონდეს და გეზიზღებოდეს კიდევაც, მაგრამ 70 წლის შემდეგ დორბლი რატომ უნდა ჩამოგდიოდეს?**



ხაზარაძე კალაძეს უჩივის

მეტი სახარხარო რა უნდა იყოს: **მამუკა ხაზარაძე კახა კალაძეს** სასამართლოში უჩივის — **თბილისის მერმა ხანდაზმული თაღლითი მიწოდა, ამით ჩემი პატივი და ღირსება შელახაო.**

კი მაგრამ, **კალაძემ** გაიმეორა ის, რაც ცოტა ხნის წინათ დაადასტურა და დაამტკიცა სასამართლომ.

გამოდის, რომ ახლა **სასამართლომ უკან უნდა წაიღოს თავისი გადაწყვეტილება და კალაძე გაამტყუნოს?** როგორც ჩანს, **ხაზარაძემ** ჯერ კიდევ ვერ გააცნობიერა, რა დამღა დაარტყა მის სახელსა და გვარს სასამართლომ, როცა **ხანდაზმულ თაღლითად** აღიარა.

**ეს დამღა არის საშვილთაშვილო და კასაციას არ ექვემდებარება.** ასე რომ, მის ადგილზე ნებისმიერი დაიმალებოდა და თავს გარეთ არ გამოყოფდა.

# ცინცხალი ანეკდოტი!




# მავანთა ტ(ყ)ვინის შესახებ

**შავმა ნოდარამ** ჭუტავიზიის მაყურებელი დიდი და პატარა კრეტინიზმით დააინფიცირა: **მაშინ, როცა უკრაინას დახმარება სჭირდება, საქართველოს პრემიერ-მინისტრი დავოსის ეკონომიკურ ფორუმზე სისხლში ტყვიის შემცველობაზე ლაპარაკობდაო... არცერთი განცხადება რუსეთზე და რუსულ საფრთხეებზეო.**

☺

უყურებთ, როგორ აყენებენ საკითხს მეთუთუნეები?

**ჯერ გვარწმუნებენ — უკრაინამ ომი უკვე მოიგო, რუსეთს ბომბები გაუთავდა და სანქციების დაწესებით ჩამოიშალაო, მერე იძახიან — უკრაინას უჭირს, დახმარება სჭირდებაო.**

უკრაინას რომ გაუჭირდებოდა, ჩვენ ომის დაწყებისთანავე ვიცოდით, მაგრამ **მეთუთუნეებმა და ხანდაზმულმა თაღლითებმა** დაიჯერეს?

როცა რუსეთთან ომს ისე იწყებენ, რომ არც ამ ქვეყნის ისტორიას სწავლობენ, არც გამოცდილებას ითვალისწინებენ და, საერთოდ, რუკაზეც არ ნახულობენ, ყოველთვის გაუჭირდებათ. ასე დაემართა **ნაპოლეონს,** ასე დაემართა **ჰიტლერს** და ასე ემართება **პატივცემულ ნატოს.**

☺

მეორეც, რატომ უნდა ილაპარაკოს **ირაკლი ღარიბაშვილმა** რუსეთსა და რუსულ საფრთხეებზე იქ, სადაც ამ თემაზე სასაუბროდ არ იწვევენ? განა, სააკაშვილივით აფრაკია, ყველგან პუტინი რომ ელანდებოდა და ტუალეტშიც კი ეძებდა, რათა მუხლები დაეკოცნა?

☺

არა, ის მაინც მაგარი იყო — **როცა უკრაინას უკიდურესად უჭირს, ახლა ორგანიზმში ტყვიის შემცველობაზე ლაპარაკის დროაო?**

არადა, თემა **ღარიბაშვილს** არ განუსაზღვრავს, ღონისძიებას თავისი ორგანიზატორები ჰყავდა და ყველაფერი წავიდა მათი განრიგით.

**ისე, ჭუტაანებში ყველას ტვინში ტყვიის მაღალი შემცველობა რომ აქვს, ეს არ არის პრობლემა?**






# გამოყენებულნი

***ვიქტორ ჰიუგოს რომანიდან ვიცით, ვინ არიან საბრალონი; თეოდორ დოსტოევსკის რომანიდან ვიცით, ვინ არიან ეშმაკნი; მარგარეტ მიჩელის რომანიდან და ვიქტორ ფლემინგის ფილმიდან ვიცით, ვინ არიან ქარწაღებულნი... ახლა კი, მოდით, ვნახოთ, ვინ არიან გამოყენებულნი?***

ქართული ჯარისა და ევროპელი პენსიონერების გამძარცველის, ქართული მართლმსაჯულების მიერ ძებნილი ოლიგარქისა და ბრიტანელი ჟურნალისტების მიერ „მისტერ ოფშორად" შერაცხილი **დავით კეზერაშვილის** ტელეჯიხურში რამდენიმე დღის წინათ გავიდა პოლიტიკური თოქ-შოუ „ღამის კომენტარი", რომელშიც სხვადასხვა ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები ჰყავდათ მიწვეული. გადაცემის მსვლელობისას **გიორგი გახარიას** პარტიის წევრმა, პარლამენტარმა **მიხეილ დაუშვილმა** ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლის, პარლამენტარ **ანა წითლიძისაკენ** გაიშვირა ხელი და განაცხადა *(სტილი აქ და ყველა ციტატაში დაცულია. რედ):*

> ***„ანა მეუბნება, რომ ჩვენო კოალიცია გვაქვსო. შეიძლება, მაგათ ჩვენთან აქვთ კოალიცია, ჩვენ მაგათთან არ გვაქვს".***

კი მაგრამ, თუ ნაცებს კოალიცია აქვთ გახარიას პარტიასთან, გახარიას პარტიას რანაირად არა აქვს კოალიცია ნაცებთან? ცალმხრივი სიყვარული გაგვიგია, ცალმხრივი მოძრაობაც გაგვიგია, ცალმხრივი სავიზო ან უვიზო რეჟიმიც გაგვიგია, მაგრამ ეს **ცალმხრივი კოალიცია** რაღა ჭირი და დარდუბალაა?

როგორც **ნიკანდრო ქილია** იტყოდა — გასაკვირს ვართ პირდაპირ!

ჩვენ კი არა, ნაციონალ **ანა წითლიძესაც** კი გაუკვირდა:

> ***„ბატონო?! ძაან არასერიოზული ხალხი ხართ, ხალხო! რანაირად? ახლა საქართველოს მოქალაქეები ხომ ისმენენ... მე მგონი, ხომ არ დასცინით საქართველოს მოქალაქეებს? აი, ერთი საკრებულო ავიღოთ, ზუგდიდის საკრებულოში ავირჩიეთ გახარიას ტიპი — ბატონი ფარულავა თავმჯდომარედ, ორი მოადგილე ჰყავს ნაცებიდან — ყოფილი ნაცები, ოთხი კომისია არის ჩვენი, ქოცები არიან აფსაიდში".***

და აი, სწორედ აქ **ნაციონალი წითლიძის** პასუხად თქვა **გახარიელმა დაუშვილმა** კიდევ უფრო საოცარი რამ, ვიდრე ცალმხრივი კოალიციაა:

> ***„დიდი ბოდიში, მაგრამ გამოგიყენეთ იმისათვის, რომ კონკრეტულ საკრებულოებში ჩვენი წევრები ყოფილიყვნენ თავმჯდომარეები. ბოდიში, რომ პირდაპირ ეთერში ამას გეუბნებით, მაპატიეთ!"***

**გახარიელი დაუშვილისადმი** ნაცი წითლიძის პასუხმაც არ დააყოვნა:

> *„ანუ ნაძირლები რომ ხართ, ეგ დიდი ხანია ვიცით!"*

**გამოგიყენეთო!**

**გამოყენებულები** ხართო!

ზოგადად, პოლიტიკა და, მეტადრე, ქართული პოლიტიკა პირუთვნელობის, მაღალი მორალისა და შეუვალი ღირსების ადგილი რომ არ არის, ეს ისედაც დიდი ხანია, ნათელია, მაგრამ ასეთი პოლიტიკური წუმპე და მორალური ჭაობი, რომელშიც ნაციონალმა წითლიძემ და გახარიელმა დაუშვილმა კეზერაშვილის ეთერში იფართხალეს, მეტისმეტი და ბრეტისბრეტია!

ჩვენ თქვენ **გამოგიყენეთ,** რათა ჩვენი ხალხი საკრებულოების თავმჯდომარეებად გაგვეყვანა! — ისე წარბშეუხრელად ეუბნება ერთი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი მეორე ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელს, რომ აშკარად ეტყობა, პოლიტიკური მიზნის მისაღწევად ყველაფრის კადრება და ყველაფერზე ხელის მოწერა მისთვის სულაც არ არის საჩოთირო.

არადა, ბევრს გულწრფელად უკვირდა — **გახარია, რომელსაც ნაცები „თვალთხარიას" ეძახდნენ და მიწაში დებდნენ, მაგათ როგორ გაურიგდა და მთელ რიგ საკრებულოებში სააკაშვილის სექტასთან კოალიცია როგორ შეკრაო!**

ბევრი იმასაც ამბობდა — **გახარია პატიოსანი პოლიტიკოსი რომ ყოფილიყო, არაფრის ფასად არ დაიჭერდა საქმეს იმ ძალასთან, რომელმაც მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმი შექმნაო!**

არაფრის ფასადო!

სინამდვილეში, როგორც **გახარიას** პარტიის წარმომადგენელი ამბობს, **გახარიას პარტიას მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის შემქმნელ ნაცებთან სულაც იმისათვის შეუკრავს პირი, რომ რამდენიმე რაიონის საკრებულოში თავმჯდომარის სკამი დაეთრია!**



## გახარიას პარტიის წარმომადგენლის განცხადება სხვას არაფერს ნიშნავს იმის გარდა, რომ გახარიამ და მისმა პარტიამ პოლიტიკური ღირსება,

შედეგად, **სისხლიან და დანაშაულებრივ ნაცმოძრაობას გახარიას პარტიასთან თანამშრომლობამ რამდენიმე რაიონისა თუ ქალაქის საკრებულოში კომიტეტების თავმჯდომარეების პოსტები მოუტანა, ხოლო გახარიას პარტიას — მკვლელების, მწამებლებისა და გამაუპატიურებლების ბანდასთან გარიგებულისა და შეხმატკბილებულის სახელი, რასაც რამდენიმე საკრებულოში თავმჯდომარის თანამდებობის მიღება ნამდვილად ვერ გადაწონის!**

ასე რომ, ნაცებმა უფრო **გამოიყენეს** გახარიელები, ვიდრე გახარიელებმა — ნაცები!

თუმცა, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან **ორივენი გამოყენებულები არიან!**



## ნაცებმა უფრო გამოიყენეს გახარიელები, ვიდრე გახარიელებმა – ნაცები!

## პოლიტიკური პრინციპები და პოლიტიკური პატიოსნება რამდენიმე რაიონის საკრებულოს თავმჯდომარეობაზე გაცვალეს!

და ახლა უტიფრად ამტკიცებენ — **ჩვენ ნაცებთან კოალიცია არ გვაქვს, იმათ აქვთ ჩვენთან კოალიციაო!**

და ახლა საქართველოს მოსახლეობასთან ერთად საკუთარი თავის მოტყუებასაც ცდილობენ — **ნაცები გამოვიყენეთო!**

ეს მართლა **გამოყენებულები!**

ისე კი, საკითხავია — **გახარიამ გამოიყენა ნაცები თუ ნაცებმა გამოიყენეს გახარია?**

ნაციონალურ მოძრაობას გახარიას პარტიასთან გარიგებით არავითარი ზიანი არ განუცდია, რადგან მის სისხლიან და დანაშაულებრივ იმიჯს მეტად ვეღარაფერი დააზიანებს, აი, გახარიამ და მისმა პარტიამ კი სისხლიან და დანაშაულებრივ ნაცმოძრაობასთან თანამშრომლობით გამოუსწორებელი რეპუტაციული ზიანი მიიყენეს!

## ნაცი წითლიძისა და გახარიელი დაუშვილის წაკამათებამ კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა ის სავალალო და სამარცხვინო მდგომარეობა, რომელშიც ქართული ოპოზიცია იმყოფება!

ამასთან, **ნაცი წითლიძისა** და **გახარიელი დაუშვილის** წაკამათებამ ქართველ საზოგადოებას კიდევ უფრო გაუმყარა წარმოდგენა იმის შესახებ, რომ პოლიტიკა ბინძური საქმეა, სადაც ყველაფრის კადრება მოსულა!

არადა, პოლიტიკა სულაც არ არის ბინძური საქმე, თუ მას სუფთა პოლიტიკოსები აკეთებენ და არა — **ნაცებისა და გახარიელების მსგავსი გამოყენებულნი!**

**ამდენი გამოყენებულის ხელში ქართული პოლიტიკა ყოველთვის ბინძური და ბანძური იქნება!**

***ჯაბა ხუბუა***

# ამდენი გამოყენებულის ხელში ქართული პოლიტიკა ყოველთვის ბინძური და ბანძური იქნება!

# «ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ



## ᲛᲐᲧᲕᲐᲚᲐ ᲑᲔᲠᲘᲐᲜᲘᲫᲔ:

# ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ, ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲘᲗ, ᲘᲛ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲔᲗ!

*ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ იხ. „ა-დ“. 2023 ᲬᲚᲘᲡ №54, 2024 ᲬᲚᲘᲡ №1-2, 3, 4*

***ჟურნალისტი ᲛᲐᲧᲕᲐᲚᲐ ᲑᲔᲠᲘᲐᲜᲘᲫᲔ აცხადებს, რომ აფხაზეთი დანარჩენ საქართველოს წლების წინათ პუტინის მიერ გაცხადებული გეგმით — „სინქრონულად“ უნდა დაუბრუნდეს! რუსეთმა ყირიმსა და აღმოსავლეთ უკრაინაში უკვე დაიწყო გადამწვარი ქალაქებისა და სოფლების აღდგენა მაშინ, როცა აფხაზეთში ერთი სახლიც არ აღუდგენიათ. ოჩამჩირე და ტყვარჩელი აჩრდილების ქალაქებს ჰგავს. ეს რაღაცას ნიშნავს და, უპირველეს ყოვლისა, იმას, რომ ქართველები უნდა გავაქტიურდეთ:***

— პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილის დაბრუნება პირადად მისი ინიციატივა იყო. აქედან გამომდინარე, რა ხდება ქართული პოლიტიკის კულუარებში და, ზოგადად, საერთაშორისო პოლიტიკაში, ამის შესახებ ბიძინამ ბევრად მეტი იცის, ვიდრე საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების სხვა ნებისმიერმა წარმომადგენელმა.

**ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜᲕᲔ ᲛᲘᲕᲛᲐᲠᲗᲐᲕ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲡ:** ბატონო ბიძინა, რაკი დაბრუნდით, კეთილი ინებეთ და დააბრუნეთ აფხაზეთის დაბრუნების ის გეგმა, რომელიც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე შეიქმნა! აფხაზეთი ვერასოდეს იქნება დამოუკიდებელი, რადგან მის ხელში ჩასაგდებად ორი პოლიტიკური დინოზავრი — **ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲔᲑᲘ** ერთმანეთს საუკუნეების განმავლობაში ებრძვის.

მე-19 საუკუნის 30-იან წლებში როცა ჯერ კიდევ აჭარაც არ გვქონდა დაბრუნებული, ამ ორ პოლიტიკურ დინოზავრს დაემატა მესამე — **ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐ,** რომელიც თავისი აგენტურის მეშვეობით დიდ კავკასიურ ომში ჩაბმულ რუსეთს ძირის გამოთხრას უპირებდა, როცა ე.წ. „ჩერქეზეთის შეერთებული შტატების“ პროექტის განხორციელებას გეგმავდა და ფარულად აფინანსებდა და აქეზებდა **ᲘᲛᲐᲛ ᲨᲐᲛᲘᲚᲡ.** სწორედ ინგლისელებმა გააქეზეს საცოდავი უბიხები რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ, რაც ამ მცირერიცხოვანი და ავტოქტონი ერის ტრაგედიითა და განადგურებით დასრულდა.

1860-იან წლებში, კერძოდ, 1864 წლის მაისში, უბიხები, რომლებიც ოდითგანვე სოჭსა და მის შემოგარენში ცხოვრობდნენ, გაქრნენ. ცნობილია, რომ თურქეთში უბიხურ ენაზე მოლაპარაკე უკანასკნელი კაცი 1992 წელს გარდაიცვალა.

გლობალური დასავლეთის მიერ ჯერ საქართველოს და მერე უკრაინის რუსეთისთვის საჯიჯგნად მიგდება შემთხვევით არ მომხდარა. ეს ყველაფერი მიზნად ისახავდა რუსეთისთვის შავ ზღვაზე გასასვლელის მოსპობას. დააკვირდით, რა განცხადებები კეთდება დასავლეთში დღეს — **ᲕᲘᲜᲪ ᲧᲘᲠᲘᲛᲡ ᲨᲔᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲡ, ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲝᲛᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲪ ᲛᲐᲡ ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲐᲝ!** როგორ ფიქრობთ, რუსეთი ყირიმს დათმობს? გამორიცხულია! ათეულათასობით ჯარისკაცს გაწირავს, მიწაში ჩააწვენს, მაგრამ ყირიმს არ დათმობს! რატომ არ იღებენ ხმას და არ ლაპარაკობენ იმის შესახებ, რაც სააკაშვილმა პუტინს აფხაზეთის შესახებ შესთავაზა?

**— სააკაშვილი პუტინს ათას რამეს ჰპირდებოდა, თქვენ რას გულისხმობთ?**

— 2004 წლის მარტში, როცა სააკაშვილი პუტინს შეხვდა, **ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲝᲠᲐᲓ ᲒᲐᲧᲝᲤᲐ** შესთავაზა. ეს არ იყო სააკაშვილის იდეა, სააკაშვილს ამ გეგმის გახმაურება პატრონებმა დაავალეს.

**— მაინც ვინ დაავალა და რას ითვალისწინებდა აფხაზეთის ორად გაყოფის გეგმა?**



— ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად გაგახსენებთ 1998 წელს ჩატარებულ აქტივის კრებას, როცა **ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔᲛ,** ფაქტობრივად, იგივე რამ განაცხადა — იაპონელებმა ამ საქმეში დიდი ფული ჩადეს და სოხუმი, ოჩამჩირე და გალი აინტერესებთ თავისი პორტებითო! **ᲐᲜᲣ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔ ᲡᲐᲣᲑᲠᲝᲑᲓᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲠᲝᲛ ᲡᲝᲮᲣᲛᲡ ᲘᲥᲘᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲔᲗᲛᲝ...** ეს ის აქტივის კრება იყო, როცა მეხუთე რიგში მჯდომმა ცნობილმა **ᲒᲣᲠᲐᲛ ᲨᲐᲠᲐᲫᲔᲛ** მამუკა ხაზარაძეს სულ „სამშობლოს მოღალატე“ ეძახა... ახლაც თვალწინ მიდგას ცნობილი **ᲒᲣᲠᲐᲛ ᲨᲐᲠᲐᲫᲔ,** რომელიც „თიბისი ბანკის“ გადარიცხვის ფურცლებს აფრიალებდა და **ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲮᲐᲖᲐᲠᲐᲫᲔᲡ** „უსინდისოსა“ და „მოღალატეს“ ეძახდა! ბატონი **ᲒᲣᲠᲐᲛ ᲨᲐᲠᲐᲫᲔ** ნერვიულობისგან კანკალებდა და შევარდნაძეს უყვიროდა — **ᲒᲐᲛᲐᲒᲔᲑᲘᲜᲔ, ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲔᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲦᲐᲚᲐᲢᲔ ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲮᲐᲖᲐᲠᲐᲫᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ 1 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ ᲩᲐᲣᲠᲘᲪᲮᲔᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲘᲔᲦᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ ᲒᲔᲛᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲛᲝᲘᲢᲐᲜᲐᲝ!**

სწორედ იმ აქტივის კრებაზე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს **ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲛᲐᲛᲐᲚᲐᲫᲔ.** ეს ის აქტივის კრება გახლდათ, როცა **ᲖᲣᲠᲐᲑ ᲟᲕᲐᲜᲘᲐ** გამოვიდა და თქვა — **ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲐᲬᲘᲠᲕᲐ ᲘᲒᲔᲒᲛᲔᲑᲐᲝ!** მახსოვს, შევარდნაძემ ბატონ გურამს შენიშვნა მისცა — **ᲓᲐᲬᲧᲜᲐᲠᲓᲘᲗ, ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲒᲣᲠᲐᲛ, ᲮᲛᲐᲛᲐᲦᲚᲐ ᲡᲐᲣᲑᲠᲝᲑᲗᲝ!** — ხმამაღლა ვსაუბრობ კი არა, ნუ დააქციეთ საქართველო. 1 მილიონი დოლარი იეღოველებისთვის გადმოურიცხეს ხაზარაძის ბანკს, სადა ხარ ხაზარაძევ, **ᲡᲐᲓ ᲘᲛᲐᲚᲔᲑᲘ, ᲨᲔ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲛᲝᲦᲐᲚᲐᲢᲔ!** — არ ცხრებოდა, ბატონი გურამი.

სხვათაშორის, როგორც კი სააკაშვილი პრეზიდენტი გახდა, რუსეთში, პუტინთან ვიზიტის შემდეგ სწორედ იაპონიაში წავიდა, სადაც ბებიამისიც წაიყვანა. პუტინმა მაშინ სააკაშვილს აფხაზეთის გაყოფაზე უარი უთხრა — მე აფხაზეთის არც გაყოფა მინდა და არც შეერთებაო! ამის პასუხად სააკაშვილმა საქართველოს პარლამენტში აფხაზეთის დეპუტაციას უფლებამოსილება შეუწყვიტა. ეს მოხდა 2004 წლის 8 აგვისტოს, ხოლო ხუთ დღეში, როცა **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲑᲐᲠᲐᲛᲘᲫᲔ** მოსკოვიდან ჩამოვიდა, სამაჩაბლოში ომი დაიწყო და ჩვენი ბიჭები ცხინვალში დააჩოქეს! როგორც კი სააკაშვილმა პარლამენტში აფხაზეთის დეპუტაციას მანდატები გაუუქმა, სოხუმის ხელისუფლებას ლეგიტიმაციის ხარისხი მაშინვე გაეზარდა...

**— თქვენ რას ითხოვთ, საქართველოს პარლამენტში აფხაზეთის დეპუტაციისთვის ადგილების აღდგენას?**

— დიახ, **ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲪᲘᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲦᲓᲒᲔᲡ!** ათი სავარძელი იქნება თუ ოცი, აფხაზებმა უნდა დაინახონ, რომ საქართველოს პარლამენტში მათი ადგილები ხელუხლებელია



**„სანამ საქართველო არ გაერთიანდება, პარლამენტში აფხაზეთისა და ცხინვალის დეპუტაციისთვის ცარიელი სავარძლები უნდა იდგეს!“**

# «ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲑᲡ

## ᲙᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ

**ᲖᲐᲖᲐ ᲨᲐᲗᲘᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ**
*ფილოსოფოსი*



**კანდიდატის სტატუსის მონიჭება რას ნიშნავს?** — ჩვენს საქმეებში პირდაპირ ვეღარ ჩაერევიან, **მაიდანს ვეღარ მოგვიწყობენ,** მაგრამ ყველაზე დიდი რისკი ისევ და ისევ არის **არჩევნების მეორე დღე, როცა შეიძლება შედეგები არ აღიარონ.** ასეთ შემთხვევაში, ყველა დესტრუქციულ ძალას ხელ-ფეხი გაეხსნება.

„ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ“

**ᲛᲐᲘᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ**
*სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი*



თუ ევროპა იმიტომ მოგვწონდა, რომ იქ უსაფრთხო, უზრუნველი ცხოვრებაა, **იქ კი არ უნდა გავიქცეთ, იგივე თავად ჩვენს ქვეყანაში უნდა შევქმნათ.** ჩვენ, როგორც ერი ვიზრდებით, **საღად, პრაგმატულად აზროვნებას ვიწყებთ.**

„ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ“

**ᲤᲘᲥᲠᲘᲐ ᲩᲘᲮᲠᲐᲫᲔ**
*„ლელოს“ წევრი*



ევროკავშირი ითხოვდა **ოლიგარქიული მმართველობის დასრულებას — ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ** მიხვდა, რომ ამ წნეხს ვერ გაუძლებდა და **„ᲓᲔᲑᲘᲫᲘᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ“** ნაცვლად **„ᲠᲔᲑᲘᲫᲘᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ“** მოხდა.

„ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐᲜᲘᲣᲡᲘ“

**ᲗᲐᲛᲐᲠ ᲩᲘᲑᲣᲠᲓᲐᲜᲘᲫᲔ**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



ნაცმოძრაობისა და მათი „ენჯეოების“ **„ულმრთოთა კავშირი“ ეკლესიაზე ახალი შტურმისთვის ემზადება,** საქართველოს ბურჯი უნდათ გამოაცალონ.

„ᲘᲛᲔᲓᲘᲜᲘᲣᲡᲘ“

**ᲘᲐᲒᲝ ᲮᲕᲘᲩᲘᲐ**
*„გირჩის“ წევრი, პარლამენტარი*



**ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ** კი თქვა, **ოპოზიცია საშინელ მდგომარეობაშიაო,** მაგრამ მე მაქვს კითხვა, **საერთოდ არის თუ არა ოპოზიცია?**

„ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲠᲮᲘ“

# „პარლამენტში არცერთი დევნილი?»

და თბილისში მათ ელიან! იგივე ეხება ცხინვალის რეგიონსაც... **სანამ საქართველო არ გაერთიანდება, მანამ საქართველოს 150-კაციან პარლამენტში აფხაზეთისა და ცხინვალის დეპუტაციისთვის ცარიელი სავარძლები უნდა იდგეს!** დიახ,

**გაგრის, სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირის, ტყვარჩელის, გალის, ჯავისა და ცხინვალის დეპუტატებისთვის საქართველოს პარლამენტში ცარიელი სავარძლები უნდა დაიდგას და მთელმა მსოფლიომ დაინახოს, რომ საქართველო აფხაზებსა და ოსებს ელის!**

ისიც მაინტერესებს, რატომ არ არის საქართველოს პარლამენტში არცერთი დევნილი?

**— თქვენ აფხაზებისა და ქართველების თანაცხოვრების პირობად წამოაყენეთ აფხაზეთის სტატუსის უგულებელყოფა — დასაწყისში ამ საკითხს საერთოდ არ შევეხოთო! ხომ იცით, რომ აფხაზეთში რუსულ ენას სახელმწიფო სტატუსი აქვს? ამ საკითხს რა ეშველება?**

— რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში კატასტროფული სიტუაციაა. პირველ და მესამე კლასებშია მხოლოდ აფხაზური წიგნები, თორემ მერე სწავლება სულ რუსულ ენაზე მიდის. აფხაზებმა აფხაზური აღარ იციან. სასკოლო ატესტატებში აფხაზ ბავშვებს უწერიათ, რომ მათი მშობლიური ენა არის „რუსული“... ხოლო ერთი პერიოდი აფხაზურ სასკოლო ჟურნალებს „სტავროპოლსკი კრაი“ ეწერა... ეს ჟურნალები მერე **ვახტანგ ყოლბაიამ** ჟენევაში წაიღო და აფხაზებს ცხვირწინ აუფრიალა — გაგიჟდით, ამისთვის გვეომებოდითო? აფხაზებმა ხმა ვერ ამოიღეს...

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ, როგორც 1920 წლის 16 ოქტომბერს განიხილა აფხაზთა სახალხო საბჭომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი და ამ საკითხზე სამუშაოდ საქართველოს დამფუძნებელ კრებაში თავისი ცხრა წარმომადგენელი გაგზავნა, სწორედ ისე, ჩვენც უნდა მოვახერხოთ შეთანხმება და იმის გათვალისწინებით, რომ აფხაზები მშობლიურ ენაზე განათლებას ვერ ღებულობენ, **აფხაზეთში აფხაზურთან ერთად რუსულ ენასაც მიენიჭოს სახელმწიფო სტატუსი!** სხვა გამოსავალი ამ ეტაპზე საქართველოს არა აქვს. ვისაც როგორც უნდა, ისე გამიგოს, მაგრამ აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთ გზად **ქართველების „სინქრონულად დაბრუნების პროცესი“** მიმაჩნია. ეს პროექტი ეკუთვნის **პუტინს...** სწორედ მისი პოლიტიკით მოხდა გალში დევნილების დაბრუნება. **იცით, გალში ქართველებს რატომ არ ავიწროებენ? იმიტომ, რომ აფხაზეთის ე.წ. ბიუჯეტის 85 პროცენტი რუსეთის მიერ ფინანსდება, ხოლო დარჩენილი 15 პროცენტიდან 13 პროცენტი სწორედ გალის რაიონზე მოდის, სადაც ქართველები ცხოვრობენ. მხოლოდ 2 პროცენტია აფხაზებზე...**

**— კი მაგრამ, აფხაზეთში სომხები უკვე უმრავლესობაში არიან და დავიჯეროთ, ფულს არ აკეთებენ? სად მიდის ეს ფული?**

— საქმეც ის არის, რომ **ადრე ქართველები და აფხაზები ერთმანეთს ფულს აკეთებინებდნენ, მაგრამ სომხები აფხაზებს ფულს არ აკეთებინებენ და იმ ჭკუაზე არ არიან, აფხაზეთის ბიუჯეტში ფული შეიტანონ.** ვაზგენის დროს სომხეთის საპატრიარქო სომხებს, რომლებიც აფხაზეთში დასახლებას გადაწყვეტდნენ, ფულს აძლევდა. ეს ხდებოდა იმიტომ, რომ სომხებს ზღვაზე გასასვლელი უნდოდათ. სწორედ ამიტომ იყო **ბაგრამიანის სომხური ბატალიონი** ასე შეუბრალებელი და სასტიკი როგორც ქართველების, ისე აფხაზების მიმართ.

მოკლედ, ქართველებსა და აფხაზებს ერთმანეთი გვყავს გადასარჩენი. ყურადღება მიაქციეთ ერთ ფაქტს — **რუსეთმა ყირიმსა და აღმოსავლეთ უკრაინაში უკვე დაიწყო გადამწვარი ქალაქებისა და სოფლების აღდგენა მაშინ, როცა აფხაზეთში ერთი სახლიც არ აღუდგენიათ.** ოჩამჩირე და ტყვარჩელი აჩრდილების ქალაქებს ჰგავს. ეს რაღაცას ნიშნავს და, უპირველეს ყოვლისა, იმას, რომ ქართველები უნდა გავაქტიურდეთ! ბევრი რამ ვიცი და სათქმელიც ბევრი მაქვს, მაგრამ არის საკითხები, რომელზეც ჯერ ვერ ვილაპარაკებ! ერთი რამის თქმა შემიძლია:

**როგორც ჩანს, უკრაინის ტერიტორიული მთლიანობა ვერასოდეს აღდგება, მაგრამ 2024 წლის არჩევნების შემდეგ აფხაზეთის მიმართულებით პროცესები გააქტიურდება!**

**— მერედა, 2008 წლის 26 აგვისტოს აღიარებას პუტინი უკან წაიღებს?**

— 2024 წლის მარტში რუსეთის პრეზიდენტი გახდება **ვლადიმერ პუტინი.** აფხაზეთისა და ცხინვალის „დამოუკიდებლობა“ პუტინს არ უღიარებია, ოფიციალურად **მედვედევმა** აღიარა. **დიმიტრი მედვედევი და სერგეი ლავროვი** თბილისელი სომხები არიან და პუტინმა ეს ძალიან კარგად იცის... ამიტომ **პუტინი რას მოიმოქმედებს და უკან წაიღებს თუ არა მედვედევის 2008 წლის 26 აგვისტოს აღიარებას, მოდით, ამაზე ნუ ვიმკითხავებთ და ეს საკითხი დაე, პუტინმა გადაწყვიტოს!**

კიდევ ერთხელ ვიმეორებ: საქართველო ვერ და არ იყენებს იმ ბრწყინვალე ურთიერთობებს, რომელიც აჭარაში ქართველებსა და აფხაზებს შორის არსებობს. საქართველოს ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა შექმნას ისეთი სტრუქტურა, რომელიც ამ რესურსის მაქსიმალურად გამოყენებას ხელს შეუწყობს.

დაბოლოს, კიდევ ერთხელ მინდა მივმართო **ბიძინა ივანიშვილს:** ბატონო ბიძინა, რისთვისაც დაბრუნდით, იმ საქმეს მიხედეთ!

**— მაინც რისთვის დაბრუნდა ივანიშვილი?**

— ვიცი, მაგრამ არ გეტყვით! *(იცინის)*





**„ბატონი გურამ შარაძე ნერვიულობისგან კანკალებდა და შევარდნაძეს უყვიროდა — გამაგებინე, ვინ არის ეს საქართველოს მოღალატე მამუკა ხაზარაძე, რომელსაც 1 მილიონი დოლარი ჩაურიცხეს და საქართველოში იეღოველების ლიტერატურა გემებით შემოიტანაო!“**



**„დიმიტრი მედვედევი და სერგეი ლავროვი თბილისელი სომხები არიან და პუტინმა ეს ძალიან კარგად იცის!“**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

# ერთმანეთი გვყავს გადასარჩენი!»

## კვირგვინოსნები

**რამაზ საყვარელიძე**
*ანალიტიკოსი*



ვფიქრობ, **ივანიშვილი მესამე ძალის ჩამოყალიბებას აპირებს,** ამიტომაც დაბრუნდა პოლიტიკაში.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**დიმიტრი ლორთქიფანიძე**
*დამოუკიდებელი უფლებადამცველი*



საბოლოო სურათს, თუ **არ სურს ივანიშვილს,** აპრილ-მაისის თვეებში, დავინახავთ. **იმედია, ნაცებთან გარიგება არ მოხდება.**

„საერთო გაზეთი“

**პაატა ზაქარეიშვილი**
*პოლიტოლოგი*



ვფიქრობ, **„ქართულ ოცნებაში“** აპრილის ჩათვლით უნდა მოხდეს **„ვიღაცის“ თავების გაგორება.**

„რეზონანსი“

**დავით ბერძენიშვილი**
*რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი*



ცვლილებები იქნება... **დაველოდოთ, ვისი „თავი გაგორდება“.**

„ახალი თაობა“

**ნიკა გვარამია**
*„მთავარი არხის“ დამფუძნებელი*



მე ვარ მომხრე **ფართო გაერთიანების,** რომელიც იბრძოლებს გამარჯვებისთვის — **„მიზნების მისაღწევად ვის ველაპარაკები ან დაველაპარაკები?“** გპასუხობთ: **ყველას.**

„ინტერპრესნიუსი“

**ხატია დეკანოიძე**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



როგორც ვიცი, **ნიკა მელია ახალი პარტიით უახლოეს პერიოდში წარდგება,** საინტერესო კონფიგურაციაზე საუბრობენ მისი წარმომადგენლები, ვფიქრობ, **ცხელი გაზაფხული გველოდება.**

„პირველი არხი“

**გოგი დოლიძე**

# შენიშვნები მსოფლიო მოგზაურის ჩანაწერებზე



***ბატონი ჯუმბერ ლეჟავა არამარტო ჩემი თაობის, არამედ მთელი საქართველოს მარადიული სიამაყეა. ნამდვილად გამიმართლა, რომ მასთან უახლოესი, ოჯახურ-მეგობრული ურთიერთობა მქონდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 2005 წელს უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის საგანგებო დავალებით, წილად მხვდა ბედნიერება, ჩამომეყალიბებინა ჩოხოსან რაინდთა დასი.***

*ასეთი საპატიო დავალება, ცხადია, მოულოდნელი იყო ჩემთვის თუნდაც იმიტომ, რომ უკვე 70 წელს გადაბიჯებული გახლდით და, საერთოდ, არ ვიცოდი, მიცნობდა თუ არა პატრიარქი...*

*და აი, 2005 წლის ერთ მშვენიერ დილით პატრიარქის მდივანი მირეკავს და მეუბნება — უნეტარესმა თქვენი ნახვა ინებაო...*

*ცხადია, უმალ მივატოვე ყველაფერი და გავვარდი საპატრიარქოში. უპირველესად იმან გამაოცა, რომ უნეტარესი ისე ჩვეულებრივ შემხვდა, თითქოს ძველისძველი მეგობრები ვიყავით. არავითარი ცერემონიალი — როგორც კი დავჯექი, ჩამკიდა ხელი და მითხრა — გოგი, შენ უნდა ჩამოაყალიბო ჩოხოსან რაინდთა დასი და გამიღიმა — ცხადია, ჩემი რეაქცია აინტერესებდა.*

*მართალი გითხრათ, დავიბენი, არ ვიცოდი, რა ხდებოდა ჩემს თავს ... უნეტარესი ყველაფერს მიმიხვდა, მაგრამ მხოლოდ მიღიმოდა და არაფერს ამბობდა...*

*ბოლოს, როცა ნახა, რომ ხმას ვერ ვიღებდი, მისთვის ჩვეული სიმშვიდით მითხრა — ვიცი, რასაც ფიქრობ ახლა — რაინდი, ხმალი, დასი და ა.შ. ერთი რამ დაიმახსოვრე, გოგი, ძვირფასო — რაინდი არის ადამიანი, რომელიც ზრუნავს მეორე ადამიანზე, ზრუნავს სხვაზე... ასე რომ, მოიარე მთელი საქართველო, ჩადი ყველა რაიონში, ყველა სოფელში და ჩამოაყალიბე ჩოხოსან რაინდთა დასი...*

***ცხადია, დადგა საკითხი, ვისთან ერთად უნდა შემომევლო მთელი ქვეყანა? რაღა თქმა უნდა, ჯუმბერ ლეჟავაზე უკეთეს პარტნიორს ვერც ვინატრებდი...***

*ასე შემოვიარე ჯუმბერთან ერთად საქართველო 2005 წლის ზაფხულში მისი, საკმაოდ არაკომფორტული მანქანით და შეიქმნა კიდეც* **ჩოხოსან რაინდთა დასი,** *რომელსაც მალე საქართველოს ეროვნული გმირის — ლეგენდარული* **ქაქუცა ჩოლოყაშვილის** *უკვდავი სახელი ეწოდა...*

***ყოველივე ამის გახსენებით იმის თქმაც მინდოდა, რომ ამ ერთთვიან მოგზაურობაში კიდევ უფრო ახლოს გავიცანი ჯუმბერ ლეჟავა, როგორც მოგზაური, მისი დღის წესრიგი, გამთენიას რომ დგებოდა ყოველ დილით და წერდა და წერდა გაუთავებლად...***

*მადლობა გამომცემლობა* ***„არტანუჯს“,*** *რომ ეს ნაწერები, მართალია, არასრულად, მაგრამ მაინც გამოსცა. ახლა კი საკითხი ასე დგას —* ***დაწყებულ საქმეს ბოლომდე უნდა მიყვანა და, იმედია, „არტანუჯი“ მალე გაგვახარებს ჩვენი სახელოვანი თანამემამულის ჩანაწერების სრული ვარიანტის გამოცემითაც.*** *დიახ, დიახ, ამ საგამომცემლო ჯგუფმა აუცილებლად უნდა გააგრძელოს მუშაობა ამ მხრივ, მაგრამ ისიც ამთავითვე უნდა მიეთითოს, რომ საჭიროა მეტი ყურადღება, ურომლისობა, სამწუხაროდ, ნამდვილად ეტყობა ტექსტის წარმოდგენილ ვარიანტს,*

*ნებისმიერი ტექსტის რედაქტირება ნიშნავს მის მოწესრიგებას, რაც თავის თავში გულისხმობს ხელნაწერის გასწორებას, ლიტერატურულ დახვეწას და მომზადებას დასაბეჭდად.*

***რა მდგომარეობაშია ამ მხრივ უკვე გამოქვეყნებული ვარიანტი?***

*ილფისა და პეტროვის ერთი ბრძნული შეგონებისა არ იყოს,* ***სისუფთავის დასაცავად პროპაგანდა კი არ შველის საქმეს, არამედ საჭიროაო — „Подметать“, ანუ ცოცხი უნდა აიღო ხელშიო, ცოცხი!***

*სწორედ ამ თვალსაზრისით, თქვენი მონა-მორჩილი სულაც არ აპირებს არაფრის მთქმელი, ზოგადთეორიული*




*აზრების ფრქვევას რედაქტირების ტრადიციულ პრობლემატიკაზე —* ***ჩემთვის მთავარია უამრავი ციტატის ამოწერა იმის გასარკვევად, თუ რატომ არის ტექსტში ამდენი, სხვადასხვა სახის, შეცდომა თუ ლაფსუსი, როცა წიგნს 4 რედაქტორი ჰყავს — იგულისხმება, რომ ოთხივენი გამომცემლობის მუშაკები არიან და ნამდვილი პროფესიონალები.***

*მეტი თვალსაჩინოებისთვის, წარმოდგენილი შენიშვნები ბლოკებად იქნება დაყოფილი:*

## I. აქა ამბავი პირველი სუბიექტური პირის ნიშნისა – „ვ“

სულო ცოდვილო, კი მინდოდა ათ-ათი მაგალითი მაინც ამომეწერა, მაგრამ რაკი 4 რედაქტორს ვესაუბრები, ოთხს ამოვწერ მხოლოდ და დანარჩენზე გვერდებს მივუთითებ:

1. „**მიუყვები (ხაზი ჩემია — გ.დ.)** აღმართს და დროდადრო ვიყურები უკან“ (გვ. 170);

2. „ჯერ მინდა მივიდე სათორნის ქუჩაზე, სადაც არის რუსეთის ფედერაციის საელჩო, შემდეგ **დაურეკავ (ხაზი ჩემია — გ.დ.)** დათოს სამსახურში და შევხვდები“ (გვ. 218);

3. „...გამეცნო ქალბატონი მენი... **გადაუღე (ხაზი ჩემია — გ.დ.)** სურათი იონს“ (გვ. 221);

4. „დამთავრდა ტბის... ულამაზესი ბუნება და **შეუყევი (ხაზი ჩემია — გ.დ.)** მთებს“ (გვ. 300);

დანარჩენი თავად იხილეთ **(ეს პირდაპირი მიმართვაცაა რედაქტორებისადმი და ერთგვარი ტესტიც!)** — გვ. 221, 227, 251 (თანაც 2), 256, 257, 261, 275, 283, 303, 322, 325, 357, 394, 472, 474, 490, 532...

როგორც ვხედავთ, ოთხივე ხაზგასმულ სიტყვას აკლია ე.წ. **პირველი სუბიექტური პირის ნიშანი — „ვ“.** ანუ უნდა იყოს არა — **„მიუყვები აღმართს“,** არამედ — **„მივუყვები აღმართს“, „დაურეკავ დათოს“** კი არა, არამედ — **„დავურეკავ დათოს“,** ასევე — **„გადაუღე სურათი“** კი არა — **„გადავუღე სურათი“** და ბარემ მეოთხეც — **„შეუყევი მთებს“** კი არა — **„შევუყევი მთებს“...**

დანარჩენი ნიმუშები, ვიმეორებ, თავად უნდა ამოიწერონ ჩემმა ძვირფასმა ახალგაზრდა კოლეგებმა და გადაამოწმონ, ჯერ კიდევ საშუალო სკოლაში ნასწავლი ელემენტარული საკითხები...

## II. „წინ“ თუ „წინათ“?

ძალიან სამწუხაროა, რომ წიგნის რედაქტორებს ეს სიტყვები სინონიმები ჰგონიათ:

1. „ვუთხარი, რომ ბირმაში ორთვე-ნახევრის **წინ (ხაზი ჩემია — გ.დ.)** მივეცი შეკვეთა და ხანოიში — **(უნდა იყოს — ჰანოიში — გ. დ.)** ერთი თვის **წინ (ხაზი ისევ ჩემია — გ.დ.),** გვ. 214, რაც იმას ნიშნავს, ორივეგან უნდა იყოს არა **„წინ“,** არამედ — **„წინათ“;** იგივე ითქმის ქვემოთ მოხმობილ სხვა მაგალითებზეც:

2. „მაევსკები მალაიზიაში ჩამოვიდნენ ერთი წლის **წინ“ (ხაზი ჩემია — გ.დ.),** გვ.235;

3. „ძირითადი ნაწილი რამდენიმე წლის **წინ (ხაზი ჩემია — გ.დ.)** მიაშენეს“, გვ. 285;

4. „...იგი შეიქმნა... 300 წლის **წინ“ (ხაზი ჩემია — გ.დ.)**, გვ. 366;

5. „ჰოლანდიიდან 50 წლის **წინ (ხაზი ჩემია — გ.დ.)** გამოსულან“ (გვ. 391);

6. „...უცხოელი, რომელმაც რამდენიმე საათის **წინ (ხაზი ჩემია — გ.დ.)** გამიცნო“ (გვ. 400);

7. „ბატონი ალესანდრო სამი დღის **წინ (ხაზი ჩემია — გ.დ.)** მელოდებოდა“ (გვ. 408).

## III. „თავისი“ თუ „თავიანთი“?

1. „...შენობები **თავისი (ხაზი ჩემია — გ.დ.)** აივნებით, კორიდორებით თუ ტრიუმფალური თაღებით“ (157); ცხადია, აქაც და ქვემოთაც, ყველგან უნდა იყოს **„თავიანთი“.**

2. „...უნდა ნახოთ... რა სიჩქარით გავარდება ამდენი მოტოციკლეტისტი **თავისი (ხაზი ჩემია — გ.დ.)** მგზავრებით“ (გვ.192);

3. „...ფირმებისათვის ბევრი ქარხანაა, რომლებსაც აქვთ **თავისი (ხაზი ჩემია — გ.დ.)** მუშებისთვის საერთო საცხოვრებელი“ (გვ.227);

4. „გამოვიხედე და ორი პატარა კენგურუ ბალახს აცმაცუნებდა. ჩავახველე, ერთხელ შემომხედეს და **„თავისი“ (ხაზი ჩემია — გ.დ.)** საქმე გააგრძელეს“ (გვ. 273);

5. „მომეწონა... სახლები **თავისი (ხაზი ჩემია — გ.დ.)** დაკიდებული ქუჩებით...“ (გვ.337);

6. „...მათ... ვალი მოიხადეს **თავისი (ხაზი ჩემია — გ.დ.)** სამშობლოს წინაშე“ (გვ. 354);

7. „ისინი **თავის (ხაზი ჩემია — გ.დ.)** ქალაქს უნარჩუნებენ სუფთა ჰაერს“ (გვ. 536).

## IV. „ოლაგე“ თუ „ალაგე“?

გვ. 168: “...გზაში გადავიღე ბუნებაც, ჩვენი გურიის მსგავსი ეზოებიც, ჭიშკრითა და **ოლაგეთი (ხაზი ჩემია — გ.დ.)** — **„ოლაგე“** კი არა, გურიაში ამას ჰქვია — **„ალაგე“: „ალაგე“** (ალაგესი) ღობეზე გადასასვლელი ადგილი — „გადასაბიჯი“ (იმერეთში) — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ერთტომეული), თბ., 1986, გვ.23, სვეტი I.

## V. მძიმე „რომ“-ის წინ

პუნქტუაციას შეგნებულად არ ვეხები, ძალიან ბევრ დროს წაიღებდა, მაგრამ პროფანებისგან გაგიგიათ, ალბათ, მძიმე „რომ“-ის წინ იწერებაო... აქაც არ წავაწყდი ამის ნიმუშებს:

1. „შემდეგ, რომ გავაკეთე ანალიზი...“ (გვ.153);

2. „დილით, რომ გამეღვიძა“ (გვ. 161);

3. „...მე, რომ არ გამომერთმია რწმუნების სიგელი“ (გვ. 168);

4. „...წყალი, რომ მოვუშვა, ყველაფერი დამისველდება“ (გვ. 231);

5. „არ გაგიკვირდეთ ამას, რომ ვწერ“ (გვ. 248).

## VI. „არა მარტო“ და ძმანი მისნი

ახლა გავიხსენოთ ჩვენი ენის სალიტერატურო მეტყველების ე. წ. ძირითადი მარაგის სიტყვები, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა ცალ-ცალკე უწერიათ, ერთობ გამონაკლის შემთხვევაში კი, თქვენ წარმოიდგინეთ, სწორად ანუ ერთად:

1. **„არა მარტო“** (33, 40, 71, 72, 76, 91, 117, 130, 174, 211, 216, 247, 266, 271, 324, 404, 410, 429, 459, 461, 466, 572, 589, 618, 622, 627). **ამავე დროს, როგორც უკვე მივანიშნე, ერთადაც ანუ სწორად** (130, 511, 603).

2. **„არა მხოლოდ“** (32, 35, 38, 107, 318, 360, 404, 618), **ერთად კი** — გვ. 637.

3. **„არა თუ“** (3, 152, 278, 421, 537, 602);

4. **„მით უმეტეს“** (277, 348, 371, 382, 445, 557, 558), **ერთად კი** — გვ. 441.

## VII. ე. წ. დაკუტებული წინადადება

ეს გამოთქმა ეკუთვნის **მიხეილ ჯავახიშვილს,** რომელმაც ერთ ცნობილ პოეტს ასე ჩაუსწორა ფრაზა **(„კავშირის გაბმისათვის ჩავედით“): „გაბმისათვის“** კი არა — **„გასაბმელად“...**

1. გვ. 111: „დაიწყო... ბრძოლა... ქართული სახელმწიფოებრიობის **გადარჩენისათვის... (ხაზი ჩემია — გ.დ.)** — უნდა იყოს: **„...გადასარჩენად“;**

2. გვ. 195: „ახლა აქ **ფეხისმოკიდებისათვის“ (ხაზი ჩემია — გ.დ.)** იბრძვის იაპონია“ —- უნდა იყოს: **„ფეხის მოსაკიდებლად“;**

3. გვ. 215: „ახლანდელი... რეჟიმის **დამკვიდრებისათვის (ხაზი ჩემია — გ.დ.)** — უნდა იყოს **„დასამკვიდრებლად“;**

4. გვ. 238: „ეს ერთი კვირა გამოვიყენოთ, როგორც ვიზის **გაგრძელებისთვის,** ასევე შოუს მოწყობის **ორგანიზებისათვის (ხაზი ჩემია — გ.დ.)** — უნდა იყოს: **„ეს ერთი კვირა გამოვიყენოთ, როგორც ვიზის გასაგრძელებლად, ისე შოუს მოსაწყობად“;**

5. გვ. 246: „სინგაპურში წასვლამდე თავისუფალი დრო გამოვიყენე **ვარჯიშისათვის (ხაზი ჩემია — გ.დ.)** — უნდა იყოს: **...სავარჯიშოდ“;**

6. გვ. 290: „მთელი დღე ვათვალიერებდი ქალაქს და რადგანაც **მასთან გაცნობისათვის (ხაზი ჩემია — გ.დ.)** ეს ერთი დღე საკმარისი იყო...“ — უნდა იყოს **„მის გასაცნობად“;**

7. გვ. 486: „პარიზის **დათვალიერებისათვის (ხაზი ჩემია — გ.დ.)** თვეებიც არ იქნება საკმარისი“ — **„...დასათვალიერებლად“;**

## VIII. ე. წ. სხვათა სიტყვების გადმოცემა

1. გვ. 29: **„... დედას დაურეკა... კოლია ლეჟავამ და სთხოვა სასწრაფოდ გამოენახა დრო და მასთან მისულიყო“** — ეს არ არის ქართული კონსტრუქცია. ვინც ქართულ სკოლაში სწავლობდა და არ ცუღლუტობდა, ამ წინადადებას ასე დაწერდა (ცხადია, ვარიანტს გთავაზობთ): **„დედას დაურეკა კოლია ლეჟავამ და სთხოვა სასწრაფოდ გამონახე დრო და ჩემთან მოდიო“;**

2. გვ. 144: **„..მომიახლოვდა და მკითხა არაბულად, თუ ვინ**

ვიყავი“ — ვარიანტი: **„...მოვიახლოვდა და მკითხა არაბულად, ვინ ბრძანდებითო“;**

3. გვ. 151: **„...დაუძახა შემსრულებელს და უთხრა, რომ დაერეკა დამასკოში... და ეკითხა ნებართვის შესახებ“** — ვარიანტი:... **„დაუძახა შემსრულებელს და უთხრა, დამასკოში დარეკე და იკითხე ნებართვის თაობაზეო“;**

4. გვ. 212: **„მოვიდა საშა... და მითხრა, რომ გავყოლოდი“** — ვარიანტი: **„მოვიდა საშა... და მითხრა, გამომყევიო“;**

5. გვ. 236: **„...შემომთავაზა, სანამ პასუხს მივიღებდით, წავსულიყავით მის ფერმაში“** — ვარიანტი: **„...შემომთავაზა, სანამ პასუხი მოვა, ჩემს ფერმაში წავიდეთო“;**

6.გვ. 237: **„როგორც კი ვუთხარი ჩემი პრობლემის შესახებ, მითხრა, რომ შეეცდება გააკეთოს მაქსიმუმი“** — ვარიანტი: **„როგორც კი ჩემს პრობლემებზე ვუამბე, მითხრა, რომ შევეცდები, მაქსიმუმი გავაკეთოო“;**

7. გვ. 237: **„მითხრა, რომ უკან დავბრუნებულიყავი“** — ვარიანტი: **„მითხრა, უკან გაბრუნდიო“.**

## IX. „მის გარეშე“ თუ „უმისოდ“?

1. გვ. 3: „ჩემი მხრივ, წიგნი ეძღვნება... ბებიაჩემს... ვის გარეშეც (**ხაზი ჩემია — გ.დ.**) **არათუ (ხაზი ისევ ჩემია — გ.დ.)** წიგნს, ზოგადად ბევრ რამეს ვერ მოვახერხებდი ცხოვრებაში“ — უნდა იყოს: **„ურომლისოდაც“, „არათუ“** კი იწერება ერთად;

2. „36 საათი შემიძლია **ვიზისგარეშე“ (ხაზი ჩემია — გ.დ.)** შესვლა სინგაპურში (გვ. 232) — თუ **„უვიზოდ?“;**

3. „ქალბატონმა ელაინმა არაფრით არ გამიშვა **„საუზმისგარეშე“** (გვ. 540) — თუ **„უსაუზმოდ“?**

**ალბათ, გამიგრძელდა კიდეც ციტირება, მაგრამ უამისობა ნამდვილად არ იქნებოდა. იმასაც გეტყვით, რომ შეგნებულად არ ვეხები ორთოგრაფიისა თუ პუნქტუაციის მწვავე საკითხებს, არც ე. წ. კორექტურით თუ უამრავი ტექნიკური წუნით მინდა მოგაბეზროთ თავი, მაგრამ მთელ წიგნში ნაცვალსახელების ისეთი კორიანტელია, რომ ილია ჭავჭავაძის ცნობილი შეძახილი გამახსენდა: „ვიშ ამ ნაცვალსახელების სიმრავლეს!“** „თბილისიდან მე 13 აგვისტოს გამოვედი“) გვ. 146; „რადგანაც მე პირველად მოვხვდი ამ დასახლებაში“, გვ. 148; „მე ავუხსენი, რომ მე რუსი არ ვარ“ (გვ. 152) და ა.შ. და ა.შ.

აქვე, ორად-ორი ფრაზაც უნდა შემოგთავაზოთ განსასჯელად *(ცხადია, იმ 4 რედაქტორს ვგულისხმობ)* — შეიძლება ადამიანმა ასეთი რამ ნახოს ტექსტში და ყურადღება არ მიაქციოს?!

1. **„მსაჯები... ამოწმებენ და რწმუნდებიან მკლავების ჩემ მიერ მოხრის კუთხის ზუსტ დაცვაში“,** გვ. 94 და მეორეც: **„მადა ჭამაში მოდისო, უთქვამს ქართველ კაცს“** (გვ. 98).

## P.S.

ძვირფასო მეგობრებო, ერთხელაც შეგახსენებთ, რომ ახლა უკვე ვალდებულიც ხართ, გააგრძელოთ ეს საქმე და სრულ გამოცემაზეც შეუდგეთ მუშაობას, მაგრამ იცოდეთ, რომ მეტი ყურადღება იქნება საჭირო და ვინმე, უფროსი კოლეგის მოწვევაც. **დავიჯერო, რომ თქვენთან თუ არა, მანდვე, ახლოს, „ინტელექტში“ არავინაა ისეთი გამოცდილი პოლიგრაფისტი, რომ სათავეში ჩაუდგეს თქვენს ჯგუფს? ასეთ კეთილშობილურ საქმეში ვინ გეტყვით უარს?!**

უფროს კოლეგებს თუ მიმართავთ დასახმარებლად, ეს არავითარ შემთხვევაში არ იქნება თქვენი ღირსების შებღალვა. პირიქით, სულიერადაც ამაღლდებით და დამშვიდდებით კიდეც. მთავარია, ნათლად გააცნობიეროთ, რა არის რედაქტირების არსი, რამდენად შეგიძლიათ ხელნაწერის ლიტერატურული დახვეწა-დამუშავება და გამოსაქვეყნებლად მომზადება. **ასე რომ, ვუსმინოთ გამოცდილ უფროს კოლეგებს და ყველაფერი კარგად იქნება!**

ხარი ეგებ ისეც დაბერდეს, რომ მისმა რქებმა უკვე ვეღარ მოხნან, მაგრამ ლოცვა ხომ შეეძლება **(ჩუმად, თავისთვის, მშობლიურად?!)**. აი, ასე გლოცავთ და გისურვებთ წარმატებას, ოღონდ ახლა მაინც გვითხარით — **რა პრინციპით და რა დოზით მოხდა მსოფლიო მოგზაურის ჩანაწერების სრული ვარიანტის გადაკეთება არასრულ ვარიანტად?** ისიც საკითხავია, რატომ არ აწერია ამ ვეებერთელა წიგნს გამომცემლობის მისამართი და ტელეფონი — **მკითხველის აზრი არ გაინტერესებთ?**

*მარად თქვენი* **გოგი დოლიძე**

## ანტონ ჩეხოვი:



# თქვენ... ფრაზაზე არ მუშაობთ, ქალბატონო,

# მას კეთება უნდა, ამაშია მთელი ხელოვნება!



# გამყრელიძემ გაუყარა!

## გამყრელიძემ მოღალატეები ტექნიკურად „ჩაუშვა“!

***ხათუნა სამნიძისა და ხატია დეკანოიძის შემდეგ „ევროპელი დემოკრატების“ გენერალური მდივანი და ყოფილი დიპლომატი მამუკა გამყრელიძე მესამე „პოლიტრიკოსია“, რომელმაც სააკაშვილის ტელეკანალიზაციის პირდაპირ ეთერში აღიარა, რომ მოღალატე ქართველები ბრიუსელში დაეთრეოდნენ, საკუთარ სამშობლოს მტრობდნენ და თავიანთ პატრონებს ემუდარებოდნენ — საქართველოს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი არ მისცეთო!***

ტელესაროსკიპო „მთავარი არხის“ ეთერში **მამუკა გამყრელიძემ** საქართველოს მოღალატეებს გულ-მუცელში პირდაპირ ხანჯალი გაუყარა და განაცხადა — **„ნურც ის გაგიკვირდებათ, ვიღაც-ვიღაცები დადიოდნენ და იძახდნენ, არ მისცეთ სტატუსიო, ესეც იყო, ესეც კარგად ვიცი, რადგან იქ ვიყავი! ეს ასე იყო. რეალურად, ძალიან ბევრ რამეს ვაფუჭებთ ჩვენ თავად. ხელისუფლებამ გააკეთა ყველაზე ცუდი რამ, გააკეთა ის, რომ მიიღო სტატუსი დაუმსახურებლად და ამით ამომრჩეველს აჩვენა, რომ მე შემიძლია, არაფერი გავაკეთო და სტატუსი მაინც მივიღო! ძალიან ცუდია, მაგრამ, მეორე მხრივ, ქვეყნისთვის ეს აუცილებელი იყო. რეალურად, ჩვენ რომ ამას არ ვიმსახურებთ, ფაქტია!“**

ამ განცხადებით **მამუკა გამყრელიძემ** მოღალატეები ტექნიკურად „ჩაუშვა“, მაგრამ უკუღმართად ლაპარაკი და მოქმედება მაინც არ მოიშალა და ესეც გვითხრა — **„მოღალატეებთან ერთად ბრიუსელში მეც დავდიოდი, რადგან საქართველო კანდიდატის სტატუსს არ იმსახურებდა, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, ქვეყნისთვის არ მიღალატია!“**

როგორც კი **მამუკა გამყრელიძე** ქართველი „პოლიტრიკოსების“ ღალატის შესახებ ალაპარაკდა, მაშინვე გამოხტა ჭიჭე-ვაშაძის „სტრატეგია აღმაშენებლის“ საპარლამენტო აღმატებულება **პაატა მანჯგალაძე** და განაცხადა — **გამყრელიძე სისულელეს ლაპარაკობსო!** დანარჩენმა „ჟოპოებმაც“ ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს — **მსგავსი არაფერი მომხდარა, ყველაფერი ტყუილიაო!**

სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ **გამყრელიძეს** ტყუილი არ უთქვამს — **ამ სკანდალური აღიარების შემდეგ ჩვენ შეგვიძლია, თითქმის ასპროცენტიანი სიზუსტით ვივარაუდოთ, თუ ვინ დაეთრეოდა ბრიუსელში და ვინ ეხვეწებოდა ევროპარლამენტარებსა თუ მათ ამერიკელ ზედამხედველებს — საქართველოს კვანტი დაუდეთ და ჩვენს ქვეყანას ევროსტატუსი არ მიანიჭოთ, თორემ ამ ხელისუფლებას მერე ვეღარ მოვიშორებთო!**

სავარაუდოდ, **ხათუნა სამნიძე, ხატია დეკანოიძე და მამუკა გამყრელიძე** ამ ტიპის მოღალატეები არ უნდა იყვნენ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ სხვა ღალატში არ ედებათ ბრალი. მაგალითად, **საქვეყნოდ ცნობილი ფაქტია, რომ ხატია დეკანოიძე საქართველოს პუტინის მოკავშირედ აცხადებდა და ამერიკელებს ქვეყნის ხელისუფლების დასამხობად აგულიანებდა — აქაოდა, „შავი ხვრელებიდან“ „ქართული ოცნება“ რუსეთს იარაღს აწვდისო!**

ამ ამბავმა ამერიკელები ისე შეაფიქრიანა, ვაშინგტონის საყაენოდან საქმის შესასწავლად საგანგებო მსტოვრები და ნოინები მოავლინეს, რომლებიც **„შავ ხვრელს“** ყველგან დაეძებდნენ, მაგრამ აღმოჩნდა, **რომ ხატიას „შავი ხვრელი“** საიმედოდ დაცული და ამოქოლილი იყო!

**მაშ, ვინღა დაგვრჩა და, სავარაუდოდ, ვინ არის ყორღანასძისა და შადიმანის გზას დამდგარი?**

დიდი ალბათობით, ყველა სხვა უბედურებასთან ერთად საქართველოს მოღალატეები უნდა იყვნენ **ხაზარ-ფაშა მამუკა, სალომეანდრა სამადაშვილი, ანა ამირანოვნა ნაცვლიშვილი,** ქვეყნის სტაჟიანი მტერი **სალომე ზურაბიშვილი,** წარბებგადასკვნილი ყორღანასძე **გიორგი კანდელაკი,** „სტრატეგია დაღმაშენებლის“ ვართაპეტი **ჭიჭევაშაძე,** მისი ხელისმომკიდე **პაატა მანჯგალაძე, თამარ ჯუსტანოვნა კორძაია, ელენე ხოშტარია კოსიგინისა, თინა ბოკუჩავა** და „ცერეუს“ სტაჟიანი მგალობლები — **დავით უსუფაშვილი და ბათუ ქუთელია.**

მას შემდეგ, რაც **მამუკა გამყრელიძემ** ოპოზიციას გაუყარა და განაცხადა, რომ „ვიღაც-ვიღაცები“ დადიოდნენ და იძახდნენ, **არ მივცეთ სტატუსიო! — წესით, საქართველოს გენერალური პროკურატურა ამ საკითხით უნდა დაინტერესდეს და სამშობლოს ღალატის მუხლით გამოძიება დაიწყოს!** მოკლედ, ყველა წესის დაცვით **მამუკა გამყრელიძე** უნდა დაიბარონ, დაკითხონ და რაკი ამბობს, მეც იქ ვიყავიო! — ათქმევინონ, **თუ ვინ იყვნენ მის მიერ ხსენებული „ვიღაც-ვიღაცები“...** აი, ასე შეიძლება მოღალატეების გამოაშკარავება და ლუსტრაცია, **მაგრამ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში სამშობლოს ღალატის მუხლი გაუქმებულია, რადგან ოცდაათ წელზე მეტია, ქართველებს სამშობლო გაუქმებული გვაქვს.** მოკლედ, **საქართველოში სამშობლოს** მოღალატის გარდა შესაძლებელია ყველას დაჭერა და გასამართლება!

იმედია, **მამუკა გამყრელიძის** მიერ გაყრილ ოპოზიციას ქართველი **ხალხიც გაუყრის** და 2024 წელს საქართველოში სამშობლოს მოღალატეთა პარპაში ერთხელ და სამუდამოდ დასრულდება!

**დიტო ჩუბინიძე**


მამუკა გამყრელიძე


ნაცები თავიანთ ოფისში ზეიმობენ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს. 2023 წლის 15 დეკემბერი

**იმედია, მამუკა გამყრელიძის მიერ გაყრილ ოპოზიციას ქართველი ხალხიც გაუყრის და 2024 წელს საქართველოში სამშობლოს მოღალატეთა პარპაში ერთხელ და სამუდამოდ დასრულდება!**

# ხრონიკული მომჩივანი ამჯერად კახა კალაძეს უჩივის!

***რახანია, მამუკა ხაზარაძე ქრონიკულ მომჩივნად ჩამოყალიბდა... უფრო სწორად, როგორც „ასავალ-დასავალის“ ფურცლებზე ცოტა ხნის წინათ ვწერდით, მამუკა ხაზარაძე ჩამოყალიბდა ხრონიკულ მომჩივნად, რომელსაც ჰყავს ხრონიკული ვექილი ზვიად კორძაძე და იმას სასამართლოს კარი აქვს ატალახებული — შეაქვს და შეაქვს სარჩელები თავისი ხრონიკული კლიენტის სახელით!***

საკმარისია, **ხაზარაძის** რომელიმე ოპონენტმა მისი შავბნელი წარსულიდან რომელიმე ფრაგმენტი გაიხსენოს, **ხრონიკული მომჩივნის ხრონიკული ვექილი** უკვე სასამართლოს კანცელარიაშია დარჭობილი საქაღალდით ხელში — **აქაოდა, ჩემს კლიენტს ცილი დასწამეს, მისი პატივი და ღირსება უნდა დავიცვაო!**

მე თქვენ გეტყვით, **ხაზარაძის ხრონიკულ ვექილ კორძაძეს** ახალ-ახალი სარჩელების შესადგენად დიდი ჯაფა და წვალება სჭირდება... **ადრინდელ სარჩელში მარტო მოპასუხის გვარ-სახელს შეცვლის და ეგ არის!**

მაგალითად, ახლა **ხრონიკული მომჩივნის** სარჩელში **„ირაკლი კობახიძე“** შეიცვლება **„კახა კალაძით“**, რადგან **ხაზარაძე,** რომელმაც სამი თვის წინათ **კობახიძეს** უჩივლა, ამჯერად **კალაძეს** უჩივის — **ღირსება, პატივი და საქმიანი რეპუტაცია შემილახაო!**

**კი მაგრამ, რა ქნა ისეთი კახა კალაძემ, ხაზარაძე ეგრევე სასამართლოში რომ გავარდა?**

არაფერი განსაკუთრებული! **დედაქალაქის მერმაც იგივე გააკეთა, რაც „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ — ხაზარაძეს სააკაშვილის რეჟიმის ხელისბიჭი უწოდა და განაცხადა, რომ ბიზნესმენების გატყავებაში მონაწილეობდა თავისი ბანკის მეშვეობით!**

აი, **კალაძის** განცხადება:

> *„შეიძლება, **ბატონი ხაზარაძე** ნაციონალური მოძრაობის წევრი არ იყო, მაგრამ პირველი იყო, **ვინც იმ ბინძურ საქმეებს აკეთებდა და სააკაშვილის ხელისბიჭი იყო.** არ ახსოვს საზოგადოებას ეს ყველაფერი? ყველაფერი გვახსოვს და არაფერი დაგვიწყებია, **როგორ აუბედურებდით ხალხს, როგორ ართმევდით ბიზნესებს შენ და შენი ბანკის კონკრეტული წარმომადგენლები**“.*

**მოკლედ, კალაძემ ხაზარაძის შესახებ თქვა ის, რასაც ბევრი ამბობს, რაც ბევრმა იცის და რის შესახებაც კონკრეტული ისტორიები არსებობს კონკრეტული დაზარალებულებით, რომელთა გასაკუთრებლად სააკაშვილის რეჟიმმა ხაზარაძე და მისი „თიბისი ბანკი“ გამოიყენა.**

**სააკაშვილ-ადეიშვილის რეჟიმის** მიერ ქართველ ბიზნესმენთა დატერორების დანაშაულებრივ სქემაში ხაზარაძის ბანკის მონაწილეობის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო მაგალითია **ბანკ „კონსტანტას“** საქმე, რომელიც საქართველოს გენერალურ პროკურატურას დღემდე არ გამოუძიებია, არადა, დაზარალებული ბიზნესმენები წლებია, სამართლიანობის აღდგენას ითხოვენ.

საქმე ის არის, რომ **„კონსტანტას“** აღმასრულებელი დირექტორი **ლევან ლებანიძე „უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების“ შეთითხნილი ბრალდებით 2011 წლის 18 მარტს დააპატიმრეს და თავისუფლების სანაცვლოდ მოსთხოვეს, სახელმწიფო ხაზინაში 12 მილიონი ლარი გადაეხადა.** დაკავებული ბიზნესმენი **ადეიშვილის პროკურორებმა** ღამის საათებში „თიბისი ბანკის“ ცენტრალურ ოფისში მიიყვანეს და „კონსტანტას“ აქციები, რომელთა ღირებულებაც იმ დროისათვის **27 მილიონი ლარი** იყო, **12 მილიონ ლარად** დააგირავებინეს, მოკლე ხანში კი **ბანკი „კონსტანტა“** ხაზარაძის **„თიბისი ბანკის“** მფლობელობაში აღმოჩნდა.

ცხადია, **ადეიშვილის პროკურორები** ხელბორკილდადებულ **ბიზნესმენ ლევან ლებანიძეს** გვიან ღამით „თიბისი ბანკის“ ცენტრალურ ოფისში ისე ვერ მიიყვანდნენ, **მამუკა ხაზარაძე,** სულ ცოტა, საქმის კურსში რომ არ ყოფილიყო!

ცხადია, **ხაზარაძის ბანკი დაპატიმრებული ბიზნესმენისაგან 12 მილიონი ლარის ღირებულების აქციებს ისე არ დაიგირავებდა, რომ ხაზარაძეს არაფერი სცოდნოდა!**

ცხადია, არცერთი პატიოსანი ბიზნესმენი და კეთილსინდისიერი კომპანია არ იკადრებდა იმას, რაც **ხაზარაძემ და მისმა ბანკმა** ჩაიდინეს, როცა რეჟიმის კლანჭებში ჩავარდნილი კაცის ქონება დაიგირავეს, მერე კი მის საკუთრებას დაეპატრონნენ!

პირდაპირ თუ ვიტყვით,

### სააკაშვილის რეჟიმის დროს ხაზარაძის „თიბისი ბანკი“ არაფრით განსხვავდებოდა ადეიშვილის ღამის ნოტარიუსის – ნუნუ გინტურის კანტორისაგან, სადაც ნაცრეჟიმის მიერ დატყვევებული ბიზნესმენები გვიან ღამით მიჰყავდათ და ქონებას იძულებით ათმობინებდნენ!

იმის გათვალისწინებით, რომ ადეიშვილის **ღამის ნოტარიუსი გინტური** თაღლითობის ბრალდებით უკვე მეორედ არის დაპატიმრებული, ხოლო **ხაზარაძე** სასამართლოს მიერ **ხანდაზმულ თაღლითად** გახლავთ აღიარებული, თამამად შეიძლება, ითქვას: **მამუკა ხაზარაძე შარვლიანი ნუნუ გინტურია, ხოლო ნუნუ გინტური — კაბიანი მამუკა ხაზარაძე!**

ასე რომ, „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე **ირაკლი კობახიძემ** ძალიან კარგად იცოდა, რასაც ლაპარაკობდა, როცა განაცხადა — **მამუკა ხაზარაძე იყო ერთ-ერთი მონაწილე ბიზნესის რეკეტის სქემაში, რომელიც წინა ხელისუფლებას ჰქონდა დანერგილიო!**

თბილისის მერმა და „ქართული ოცნების“ გენერალურმა მდივანმა **კახა კალაძემაც** ძალიან კარგად იცის, რასაც ამბობს, როცა აცხადებს — **ხაზარაძე სააკაშვილის ხელისბიჭი იყო და ის და მისი ბანკი ხალხს ბიზნესებსართმევდნენო!**

თანაც, ამას მარტო **კალაძე და კობახიძე** კი არა, ლამის მთელი საქართველო ლაპარაკობს ბიზნესმენ **ანზორ ქოქოლაძისა** და ბიზნესმენ **ჯემალ ლეონიძის** ჩათვლით, რომელთაგან ერთი ამტკიცებს, რომ **მამუკა ხაზარაძემ და „თიბისი ბანკმა“, ნაცრეჟიმის ხელშეწყობით, კომპანია „ელიტ-ელექტრონიქსი“ წაართვეს, ხოლო მეორე იმავე ხაზარაძესა და მის ბანკს ნავთობკომპანია „მაგნატის“ წართმევაში ადანაშაულებს!**

კიდევ ბევრი ლაპარაკობს და კიდევ ბევრი ადებს ხელს ხაზარაძესა და მის ბანკს!

კი, მთელმა საქართველომ იცის, ვინ არის **ხაზარაძე** და რით იყო დაკავებული არამხოლოდ ნაცების, არამედ კომუნისტური რეჟიმის დროს, როცა კომკავშირის კომიტეტის მდივნის ამპლუაში ეროვნული მოძრაობის მიტინგებს არბევდა და, როგორც არაერთი თვითმხილველი ამტკიცებს, **მერაბ კოსტავაზე ხელის აღმართვასაც კი ბედავდა!**



### ამ ყველაფრის გამომზეურების გამო, ხრონიკულმა მომჩივანმა ხაზარაძემ 10 წლის წინათ „ასავალ-დასავალს“ სასამართლოში უჩივლა, მაგრამ ველარ უჩივლებს ნახევარზე მეტ საქართველოს, რომელიც მას დღეს სწორედ ზონდერ-კომკავშირელსა და მერაბ კოსტავაზე ხელის ამწევს ეძახის!

**ეძახის** ყაჩაღ-ბანკირსაც!

**ეძახის** ხანდაზმულ თაღლითსაც!

**ეძახის** „ტუალეტის მჯღაბნელთა“ უსტაბაშსაც!

ჰოდა, რამდენს უნდა უჩივლოს?

**რომელი სასამართლო უნდა აუვიდეს ხრონიკული მომჩივნის ამდენ საჩივარს და რამდენი ხრონიკული ვექილი უნდა ეყოს ხაზარაძის ყველა მამხილებლის წინააღმდეგ სარჩელის შედგენას?**

როგორი **ხრონიკული მომჩივანიც** არ უნდა იყოს, ხაზარაძე მთელი საქართველოს წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელს ვერ შეიტანს და **ხრონიკული ვექილი კორძაძე** მას ვერაფრით დაიცავს ქართველი ხალხისაგან, რომლის დიდი ნაწილის თვალში ხაზარაძის პატივი, ღირსება და რეპუტაცია მისივე პარტია „ლელოს“ 1-პროცენტიანი რეიტინგის ეკვივალენტურია!

***ჯაბა ხუბუა***


ხრონიკული მომჩივანი
ხანდაზმული თაღლითი ხაზარაძე ამჯერად ირაკლი კობახიძეს უჩივის!
მამუკა ხაზარაძის „თიბისი ბანკი“, სადაც ადეიშვილის პროკურორებმა დააპატიმრებული ბიზნესმენი ლევან ლებანიძე ღამით მიიყვანეს და 12 მილიონი ლარის აქციები დააგირავებინეს, არაფრით განსხვავდება ადეიშვილის...
ირაკლი კ...
მამუკა ხ... ერთ-... მონაწილ... ბიზნესის... სქემაში, ... წინა ხელი... მიერ... დანერ...
...მომჩივან ხაზარაძეს, რომელსაც თავისი ხელოვნურად შეკოწიწებული რეპუტაცია „ასავალ-დასავალთან“ ჭიდილში სულ ერთიანად ჩამოენგრა, ირაკლი კობახიძის წინააღმდეგ სასამართლოში ჩივილი შეიძლება, კიდევ უფრო ძვირად დაუჯდეს!
ხაზარაძე კობახიძის წინ...
ზვიად კორძაძე
მამუკა ხაზარაძის ადვოკატი
160 000 ლარს ითხოვდა ჩვენგან და სასამართლო სხდომებზე იმეორებოდა - ეგენი მალე გაკოტრდებიან. „ასავალ-დასავალი“ გაქრებაო... დიდ გულზე იყო... მისი ქმაკაცი გიორგი კვირიკაშვილი იმხანად საქართველოს პრემიერ-...
ზვიად კორძაძე ხრონიკული მომჩივნის ხრონიკულ ვექილად ჩამო-...
ხაზარაძის ძმა... კვირიკაშვილ... საქართველო... პრემიერ-მინის... სკამიდან დიდი ხ... ჩამოვარდა, რა... თავისი არცთუ მ... წვლილი „ასავა... დასავალსაც... მიუძღვის!

„ასავალ-დასავალი“. 2023 წლის №45




## მამუკა ხაზარაძე შარვლიანი ნუნუ გინტურია, ხოლო ნუნუ გინტური – კაბიანი მამუკა ხაზარაძე!



# გენერალისიმუსი

№5-6 (241-242) ★ 2024 წლის 22 იანვარი ★ გამოდის 2003 წლიდან


***ზუსტად 100 წლის წინათ, 1924 წლის 21 იანვარს, მოსკოვის ოლქის დაბა გორკში ნეიროსიფილისით გარდაიცვალა პროლეტარიატის დიდი ბელადი ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვი, იგივე ლენინი.***

# გუშინ, 100 წლის წინათ,

# ლენინი მოკვდა!



ერთი საუკუნის და ერთი დღის წინათ

დასაბამიდან ამგვარად ხდება:
ადამიანი როდესაც კვდება,
ორი თარიღი დარჩება საფლავს:
ერთი აღნიშნავს
მის დაბადებას
და მეორე კი —
სიკვდილის ამბავს.
შენ კი სიცოცხლის
დიად თავდებად
ერთი თარიღი
გარგუნა ბედმა,
რადგან სიკვდილი
შენს დაბადებას
გვერდით დადგომას
ვერ გაუბედავს.

***ხუტა ბერულავა***



## ლენინს საფლავი და ეპიტაფია არ ეღირსა, მაგრამ ხუტა ბერულავას სტრიქონები მართლაც ეპიტაფიასავით არის ალბეჭდილი ქართველ ნაცლიბერალთა გულისფიცარზე, სადაც ლენინის დაბადებას ლენინის სიკვდილი გვერდით დადგომას ვერ უბედავს!

ცნობილი ქართველი პოეტი **ხუტა ბერულავა** დღეს ცოცხალი რომ იყოს, ლენინის გარდაცვალების თარიღზე საუბრის გამო, ალბათ, გაგვიჯავრდებოდა, რადგან ბატონი ხუტას ერთი ცნობილი ლექსის თანახმად, **პროლეტარიატის დიდ ბელადს ბედმა მხოლოდ ერთი — დაბადების თარიღი არგუნა, რომელსაც მისი სიკვდილის თარიღი „გვერდით დადგომას ვერ გაუბედავს“.**

ლენინი მიწაში რომ დაემარხათ, **ხუტა ბერულავასეული მეტაფორა** იქნებ რეალობად ქცეულიყო და პროლეტარიატის ბელადის საფლავზე მართლაც მხოლოდ დაბადების თარიღი მიეწერათ, **აქაოდა — მისმა სიკვდილმა მის დაბადებას გვერდით დადგომა ვერ გაუბედაო!** მაგრამ, მოგეხსენებათ, ლენინის გვამს მიწა არ ეღირსა და დღემდე კრემლის მავზოლეუმში გახლავთ დასვენებული, რაც, ალბათ, ლოგიკურიც არის, რადგან **ვლადიმერ ილიჩს** სულაც არ სწამდა იმის, რომ ადამიანი მიწისაგან შეიქმნა და მიწადვე მიიქცევა.

აბა, ტყუილად კი არ წერდა პროლეტარიატის დიდი ბელადი — **ყოველი რელიგიური იდეა ყოველგვარი ღმერთუკას შესახებ ყველაზე საშიში სისაძაგლე და ენით აღუწერელი საზიზღრობა არისო!**

ჰოდა, ცხონებულ **ხუტა ბერულავასთან** ბოდიში მოგვითხოვია, მაგრამ **გუშინ, 100 წლის წინათ, 1924 წლის 21 იანვარს, ლენინი მოკვდა!**

**ლენინი მოკვდა, მაგრამ არ მომკვდარა ლენინიზმი!**

არ მომკვდარა კი არა, შესაძლოა, **ლენინიზმი** თვით **ლენინის** ზეობის ხანაშიც კი არ ყოფილა ისეთი ძალმოსილი და ფართომასშტაბიანი, როგორიც დღეს, თანამედროვე მსოფლიოშია!

**ლენინიზმი სიცოცხლეს აგრძელებს თანამედროვე ლიბერალიზმში, რომელიც მსოფლიოზე გაბატონებული იდეოლოგია გახლავთ და რომლის სულისკვეთება პირდაპირ გამოიხატება ლენინურ თეზისში — „ყოველი რელიგიური იდეა ყოველგვარი ღმერთუკას შესახებ ყველაზე საშიში სისაძაგლე და ენით აღუწერელი საზიზღრობაა!“**

დღევანდელი **ლიბერალიზმი,** ფაქტობრივად, დღევანდელი **ლენინიზმია** და ზუსტად ისე, როგორც ადრე პარტიაში იგულისხმებოდა **ლენინი,** დღეს ნეოლიბერალიზმში იგულისხმება **ნეოლენინიზმი!**

თუნდაც მარტო დღევანდელი საქართველო ავიღოთ — **ლიბერალიზმის ქურქში გახვეულ ამდენ ნეოლენინელს, ეროვნულობისა და სარწმუნოების, ეკლესიისა და ჯვარ-ხატების წინააღმდეგ ასე გულმოდგინედ დაგეშილ აქტივისტებს თვით სილიბისტრო თოდრიაც კი ინატრებდა, რომელიც გასული საუკუნის 20-იან წლებში საქართველოში „მებრძოლ ულმერთოთა კავშირს“ ხელმძღვანელობდა.**

**ლენინი და ლენინიზმი** დღემდე ცოცხალია არაერთ ქართველ პოლიტიკოსში, რომელიც თავს ლიბერალობასა და პროდასავლურობაზე დებს, მაგრამ პირდაპირ **ლენინური თეზისებით** ოპერირებს და 21-ე საუკუნეში იმავე რიტორიკას იყენებს, რომელსაც ლენინი მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში თავის ნაშრომებში ავითარებდა.



ლენინის აკლდამა კრემლის მავზოლეუმში

მაგალითად, ნაშრომში **„სოციალიზმი და რელიგია“** ლენინი წერს — ***„არავითარი სახელმწიფო თანხა არ უნდა ეძლეოდეს ეკლესიას, არავითარი სახელმწიფო თანხა არ უნდა ეძლეოდეს საეკლესიო და რელიგიურ საზოგადოებებს“,*** ხოლო რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე, პარლამენტარი **ხათუნა სამნიძე** აცხადებს — **„პირველ რიგში საპატრიარქოს უნდა შეუწყდეს საბიუჯეტო დაფინანსება!“**

**ლენინი წერდა — *„სახელმწიფოს არავითარი საქმე არ უნდა ჰქონდეს რელიგიასთან, რელიგიური საზოგადოებანი არ უნდა იყვნენ დაკავშირებული სახელმწიფო ხელისუფლებასთან“,*** ხოლო **„ევროპული საქართველოს“** ლიდერი **ბიზა ბოკერია**


***გაგრძელება „გენერალისიმუსის“ მე-2 გვერდზე***

*დასაწყისი „გენერალისიმუსის“ პირველ გვერდზე*

აცხადებს — ***„მომხრე ვარ მოდელის, სადაც მკაცრი გაყოფაა სახელმწიფოსა და ნებისმიერ საეკლესიო ჯგუფს შორის“.***

კიდევ რომელი ერთ მაგალითი მოვიყვანოთ იმის საილუსტრაციოდ, რომ **ლენინის სიკვდილიდან 100 წლის შემდეგაც კი ლენინიზმი ცოცხალია და საქართველოში, განსაკუთრებით კი ლიბერალურ პოლიტიკურ სპექტრში, ადეპტების სიმცირეს არ უჩივის!**

გნებავთ, ნეოლიბერალურ პროპაგანდას შევხედოთ, რომელიც საქართველოში დიდი ხანია, დიდი სიმძლავრით მუშაობს და თავს არ ზოგავს მართლმადიდებლობასთან, ქართულ ეკლესიასთან, ზოგადად, ქრისტიანულ ფასეულობებსა და სულიერებასთან ბრძოლაში... **საქართველოში მოქმედი ე.წ. მეინსტრიმული ტელევიზიები და მათ უკან მდგომი პოლიტიკური პარტიები თუ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთა დეკლარირებული ამოცანაც „ბნელი ქართველების“ გაკეთილშობილება და „ნათელ მხარეზე“, ანუ პროდასავლური ღირებულებებისა და ლიბერალური დემოკრატიის რელსებზე გადაყვანაა, თითქოს პირდაპირ ხელმძღვანელობენ ლენინის ნაშრომით „მებრძოლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ“, რომელშიც ვკითხულობთ:** *„მასებს უნდა მივაწოდოთ ათეისტური პროპაგანდის უაღრესად მრავალფეროვანი მასალა, გავაცნოთ მათ ცხოვრების სულ სხვადასხვა სფეროს ფაქტები, მივუდგეთ მათ ასეც და ისეც, რათა დავაინტერესოთ, გამოვაღვიძოთ ისინი რელიგიური ბანგისაგან, შევანჯღრიოთ სულ სხვადასხვა მხრივ, სულ სხვადასხვაგვარი საშუალებით“.*

# გუშინ, 100 წლის წინათ,

# ლენინი მოკვდა!

## როგორც ადრე პარტიაში იგულისხმებოდა ლენინი, დღეს ნეოლიბერალიზმში იგულისხმება ნეოლენინიზმი!



ვლადიმერ ლენინი და ნადეჟდა კრუპსკაია

**არადა, კიდევ ერთხელ დიდი ბოდიში ხუტა ბერულავასთან, ლენინი 100 წლის წინათ, 1924 წლის 21 იანვარს მოკვდა!**

**მაგრამ არ მომკვდარა ლენინიზმი!**

თანამედროვე საქართველოში **ლენინიზმი** სიცოცხლეს რომ აგრძელებს, ამის მორიგი მკაფიო დადასტურება გახლავთ **თანამედროვე მებრძოლ ულმერთოთა ამქრის** წარმომადგენლის **ნატა ფერაძის** მიერ წმინდა მატრონას ხატის დემონსტრაციული შებილწვა სამების საკათედრო ტაძარში!

**თუ არა ლენინიზმის ცოცხალი განსახიერება, აბა, სხვა რა არის ლიბერალი აქტივისტი ნატა ფერაძე, რომელიც წმინდა ტაძარში პულვერიზატორით შევარდა და წმინდანის ხატს საღებავი შეასხა?!**

თუ არა **ლენინიზმის თანამედროვე რეინკარნაცია**, აბა, სხვა რა არის ქართული ლიბერალური სექტის ერთ-ერთი სახე **ნინია კაკაბაძე**, რომელიც აცხადებს — **აფერუმ ნატა ფერაძის ქალობასა და ოჯახიშვილობას, მან ყველა ჩვენგანის გასაკეთებელი გააკეთაო!**


ნატა ფერაძე



ლენინის მავზოლეუმი


ნინია კაკაბაძე

## თუ ლენინის ბალზამირებული გვამი კრემლის მავზოლეუმში ასვენია, ლენინიზმი კოლექტიური ნატაფერაძეებისა და ნინიაკაკაბაძეების ტვინებშია დავანებული!

ლენინს საფლავი და ეპიტაფია არ ეღირსა, მაგრამ **ხუტა ბერულავას** სტრიქონები მართლაც ეპიტაფიასავით არის აღბეჭდილი ქართველ ნაცლიბერალთა გულისფიცარზე, სადაც ლენინის დაბადებას ლენინის სიკვდილი გვერდით დადგომას ვერ უბედავს!

არადა, **ლენინის სიკვდილიდან ერთი საუკუნე გავიდა, უფრო ზუსტად — ერთი საუკუნე და ერთი დღე!**

**ნეტავი, კიდევ რამდენი საუკუნე და რამდენი დღე დასჭირდება ლენინიზმის სიკვდილს?!**

*ჯაბა ხუბუა*

# დღევანდელი ლიბერალიზმი დღევანდელი ლენინიზმია!



**ფრაგმენტი ნაცაქტივისტ ნატა ფერაძის მიერ შებილწული ხატიდან – სტალინის სტუმრობა წმინდა მატრონასთან**



# ლევან დოლიძე:

# დანამდვილებით ცნობილია, რომ წმინდა მატრონას სტალინი პირადად ეახლა და მოსკოვისთვის უმძიმეს დღეებში რჩევა ჰკითხა!

*დასაწყისი იხ. „გენერალისიმუსი“. 2024 წლის № 3–4*

***ცნობილი ჟურნალისტი, მწერალი და საქართველოს გენერალიტეტის მემატიანე ლევან დოლიძე წინამდებარე საგაზეთო ინტერვიუში სტალინის, როგორც მართლმორწმუნე ქრისტიანისა და ეკლესიის მფარველის შესახებ საუბარს ასრულებს და აცხადებს, რომ ბელადმა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის მომავალ პატრიარქს, მიტროპოლიტ სერგის აბსოლუტურად ყველა თხოვნა შეუსრულა:***

— **სტალინის** პირადი მცველი **იური სოლოვიოვი** თავის მოგონებებში წერს, რომ ბელადი კრემლის ეკლესიაში, რომელიც კინოდარბაზისკენ მიმავალ გზაზე მდებარეობდა, ხშირად ლოცულობდა. საქვეყნოდ ცნობილია, თუ როგორ უყვარდა სტალინს კინო, თუ დრო ჰქონდა, ხანდახან დღეში ორ ფილმსაც კი ნახულობდა. **როგორც სოლოვიოვი იგონებს, მცირე ეკლესიის სარკმლიდან მას არაერთხელ უნახავს იქ მლოცველი სტალინი.**

ბელადი რომ ხშირად ლოცულობდა და გულმხურვალე ქრისტიანი იყო, ამას ადასტურებს მისი შვილობილი, არმიის გენერალ-მაიორი, საბჭოთა კავშირის სარაკეტო-საზენიტო ძალების ერთ-ერთი ფუძემდებელი **არტიომ სერგეევი.** ამასვე იხსენებდა სტალინის შვილიშვილი, იაკობის ქალიშვილი **გალინა ჯუღაშვილიც.** სტალინის, როგორც ღრმადმორწმუნე მართლმადიდებელი ქრისტიანის, შესახებ ბევრს მელაპარაკა **ვასილი სტალინის** უერთგულესი მეუღლე **კაპიტოლინა ვასილევა** — 19 წლის მოსკოველი ჩემპიონი ცურვაში, რომელიც ვასილის ყაზანშიც კი გაჰყვა. ეს დიდებული ქალბატონი თავის საცხოვრებელ სახლში ვინახულე და მისგან ბევრი რამ შევიტყვე.

**— როგორი ურთიერთობა ჰქონდა სტალინს რუსეთის პატრიარქებთან?**

— სხვადასხვა წყაროთი დასტურდება სტალინის ახლო ურთიერთობა **პატრიარქ სერგისთან და პატრიარქ ალექსეი პირველთან.** სტალინი მათ ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში სტუმრობდა. 1943 წლის 4 სექტემბერს სტალინმა მიიღო პატრიარქის მონაცვლე **მიტროპოლიტი სერგი** და ლენინგრადის **მიტროპოლიტი ალექსი.** სერგიმ ბელადს ეპარქიული ბიბლიური კურსების გახსნა სთხოვა, რაზეც სტალინმა უპასუხა — **საჭირო და აუცილებელია, გაიხსნას არა უბრალოდ ბიბლიური კურსები, არამედ სასულიერო სემინარიები და აკადემიები!**

მიტროპოლიტმა სერგიმ სტალინს მოახსენა, რომ სასურველი იყო მღვდელმთავართა კრების მოწვევაც, რომელიც აირჩევდა რუსეთის პატრიარქს. მოგეხსენებათ, რუსეთი პატრიარქის გარეშე იყო დარჩენილი... **ტროცკიმ და მისმა ხროვამ** სულ მოსპეს და გაანადგურეს რუსეთის ეკლესია და საპატრიარქო. **მიტროპოლიტმა სერგიმ** სტალინს ისიც უთხრა, რომ შესაბამისი ნებართვის შემთხვევაში, მღვდელმთავართა კრების, ანუ წმინდა სინოდის მოწვევა და ახალი პატრიარქის არჩევა, დაახლოებით ერთ თვეში შესაძლებელი იქნებოდა! სტალინს ამაზე გაეღიმა და **მიტროპოლიტ სერგის** ჰკითხა — განა სამ-ოთხ დღეში ამ კრების მოწვევა და პატრიარქის არჩევა არ შეიძლება? სტალინმა **მიტროპოლიტ სერგის** აბსოლუტურად ყველა თხოვნა შეუსრულა და რუსეთის საპატრიარქოს განკარგულებაში გადასცა კეთილმოწყობილი, სამსართულიანი შენობა, რომელიც ადრე საბჭოთა კავშირში ფაშისტური გერმანიის ელჩს **ფრიდრიხ ვერნერ შულენბურგს** ეკავა! ბელადმა **მიტროპოლიტ სერგის** სთხოვა, გაერკვია რუსეთისა და საქართველოს ეკლესიების ურთიერთობის საკითხი... არ დაგვავიწყდეს, რომ ეს ყველაფერი ხდება გაგანია ომის დროს, როცა სტალინგრადის ჯოჯოხეთი ახალი დამთავრებულია და **ჰიტლერი** კურსკთან ცდილობს რევანშის აღებას, მაგრამ, როგორც ცნობილია, ფაშისტებმა კურსკთანაც კისერი მოიტეხეს.

ზემოხსენებული შეხვედრიდან უმოკლეს დროში **მიტროპოლიტმა სერგიმ** სტალინს აცნობა, რომ რუსეთისა და საქართველოს ეკლესიებს შორის ევქარისტული კავშირი აღდგა და რამდენიმე დღეში რუსეთის ეკლესია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას აღიარებდა. 1943 წლის 9 სექტემბერს ჩატარდა რუსეთის ეკლესიის მღვდელმთავართა კრება, რომელმაც მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქად ერთხმად აირჩია **მიტროპოლიტი სერგი.** 1944 წელს ის გარდაიცვალა... პატრიარქი სერგი თავისი ხანმოკლე საპატრიარქო ცხოვრების განმავლობაში **სტალინის** გულმხურვალე მხარდამჭერი და სათნო თაყვანისმცემელი გახლდათ. **პატრიარქი სერგი** სტალინს ლოცვებში ყოველთვის მოიხსენიებდა და ამბობდა, რომ ის **„რუსეთისთვის ბოძებული ბელადი“** იყო. სერგის გარდაცვალების შემდეგ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი გახდა **ალექსეი პირველი.** მან რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სტალინისადმი პატივისცემის ტრადიცია კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა. რუსეთის ახალი **პატრიარქი ალექსეი პირველი,** განსვენებულ **პატრიარქ სერგის** მსგავსად, სტალინს „ღვთივბოძებულ ბელადს“ უწოდებდა და ხშირად თავის ეპისტოლეებში მოიხსენიებდა!

**— ცნობილია, რომ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე სტალინს აღმერთებდა!**

— **კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე,** რომელიც საქართველოს ეკლესიას 1932 წლიდან ჩაუდგა სათავეში, სტალინზე ცამეტი წლით უფროსი იყო და 1952 წელს გარდაიცვალა. მისი უწმინდესობა ძალზე ამაყობდა სტალინთან პირადი ნაცნობობით და თავის ქადაგებებში არაერთხელ მოუხსენიებია. კინოარქივს დღემდე შემორჩა **კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის** საჯარო გამოსვლა, სადაც ის პირდაპირ აცხადებს — **„დიდი სტალინი!“** მახსოვს, ბავშვი ვიყავი, როცა კათალიკოს-პატრიარქმა მანქანით ჩამოიარა და თვალი მოვკარი. ეს იყო უწმინდესი კაცი — ულამაზესი და წარმოსადეგი. ბელადმა მას თავისი მანქანა — **„ზისი“** აჩუქა. ასეთი მანქანა საქართველოში სხვას არავის ჰყავდა. ამიტომ თბილისის ქუჩებში **„ზისი“** რომ გამოჩნდებოდა, ყველამ იცოდა, რომ პატრიარქი მოდიოდა და მის უწმინდესობას ყველა ხელს უქნევდა. 1941 წლის ზაფხულიდან საბჭოთა კავშირში ანტიეკლესიური პროპაგანდა შეწყდა და როცა მოსკოვს ძალიან უჭირდა, მღვდლები წითელარმიელებს ლოცავდნენ. ბევრმა არ იცის, რომ მდინარე ვოლგის მარჯვენა ნაპირზე, სტალინგრადის ბრძოლის წინ, სტალინის თხოვნით, **მიტროპოლიტმა ნიკოლოზ იარუშევიჩმა** საგანგებო ლოცვა აღავლინა და ღმერთს ფაშისტებზე საბჭოთა არმიის გამარჯვება შესთხოვა. სხვათაშორის, იმ ადგილზე, სადაც სტალინგრადი, ანუ დღევანდელი ვოლგოგრადია, საუკუნეების წინათ იუდეველი ხაზარების დედაქალაქი იყო.

**— მავანი ამტკიცებს, რომ წმინდა მატრონა მოსკოველს სტალინი არ შეხვედრია და მითია ის ამბავი, თითქოს სტალინმა მისი რჩევით მოსკოვს ყაზანის ღვთისმშობლის ხატი შემოატარა.**

— კიდევ ერთხელ ვიმეორებ: **დანამდვილებით ცნობილია, რომ წმინდა მატრონას სტალინი პირადად ეახლა და მოსკოვისთვის უმძიმეს დღეებში რჩევა ჰკითხა.** მატრონამ სტალინს უთხრა, რომ მტერი მოსკოვში ვერ შემოვიდოდა! მატრონა ბრმა იყო, მაგრამ დიდ წინასწარმეტყველსა და წმინდანს ოთახში შემოსული სტალინის ცნობა არ გასჭირვებია. მან ბელადს პატივისცემის ნიშნად თავი დაუკრა. ეს ფაქტი წმინდანის ოფიციალური ბიოგრაფიიდან ამოღებულია, რასაც თავისი მიზეზები აქვს.

**თუ რუსეთის ეკლესიამ სტალინისა და წმინდა მატრონა**

*გაგრძელება „გენერალისიმუსის“ მე–4 გვერდზე*




**მკვლევარის სიტყვა ★**

# ლევან დოლიძე: როცა ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი იდგა, სტალინი თავის მარშლებსა და მხედართმთავრებს ასე მიმართავდა – «ბოგ ს ვამი!»



დასაწყისი „გენერალისიმუსის" მე-3 გვერდზე



## „ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ სტალინის ერთადერთი მოკავშირე ღმერთი იყო!"

## მკვლევარის სიტყვა ★

**ნიკონოვას შეხვედრის ფაქტი დაადასტურა, მაშინ რუსეთის სახელმწიფოს მოუწევს სტალინის თავიდან ბოლომდე რეაბილიტაცია**

**და იმ შეურაცხყოფისა და ლანძღვა-გინების გაქარწყლება, რაც ნაძირალა ხრუშჩოვმა და მისმა ხროვამ მთელი ამ ხნის განმავლობაში ბელადის მისამართით აბსოლუტურად დაუმსახურებლად აფრქვიეს.**

ცნობილია, რომ დიდი სამამულო ომის უმძიმეს და კრიტიკულ დღეებში, როცა ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა, სტალინი თავის მარშლებსა და მხედართმთავრებს ასე მიმართავდა — **„ბოგ ს ვამი!"** არაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირის მარშალს და საბჭოთა კავშირის ორგზის გმირს **ალექსანდრე ვასილევსკის,** რომელსაც, ოფიციალური მონაცემებით, მეორე მსოფლიო ომის დროს არცერთი დამარცხება არ განუცდია, მამა მღვდელი ჰყავდა. ამის გამო **მარშალ ვასილევსკის** სტალინის ეშინოდა და მამას, ფაქტობრივად, არ ნახულობდა. როცა ომი დასრულდა, აღმოჩნდა, რომ მღვდელ მიხეილ ვასილევსკის დიდი სტალინი ყოველთვიურად თავისი დანაზოგიდან უგზავნიდა თანხას, რათა არაფერი გასჭირვებოდა. სტალინი ამას აკეთებდა ინკოგნიტოდ. როცა **მარშალი ალექსანდრე ვასილევსკი** მამას შეხვდა, მოხუცმა შვილს მადლობა გადაუხადა — შვილო, ძალიან მეხმარებოდი, სისტემატურად ფულს რომ მიგზავნიდი, მადლობელი ვარო! ვასილევსკი დაიბნა და შერცხვენილმა მამას უთხრა — **მე შენთვის არაფერი გამომიგზავნიაო!** საბოლოოდ გაირკვა, რომ **მღვდელ მიხეილ ვასილევსკის,** რომელიც საეკლესიო გუნდის რეგენტი და მეფსალმუნე იყო, მთელი ამ ხნის განმავლობაში ფულს ყოველთვიურად უგზავნიდა და ეხმარებოდა დიდი სტალინი!

სტალინისადმი პატივისცემა და თაყვანისცემა არ ცხრება და კიდევ უფრო ძლიერდება ჩინეთში, ინდოეთში, ლათინური ამერიკის ქვეყნებში, კორეაში, ვიეტნამში, მონღოლეთში. ბელადი რომ გარდაიცვალა, უდიდესმა ჰუმანისტმა და **ინდირა განდის** მამამ, ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა **ჯავაჰარლალ ნერუმ** ძალიან ემოციური წერილი გამოაგზავნა საბჭოთა კავშირში. ნერუ სტალინზე გიჟდებოდა, იმდენად უყვარდა... **ლენინისა და ტროცკისგან განსხვავებით, სტალინს მსოფლიო ფინანსური მაფია მხარს არ უჭერდა. ბელადს არც ძლიერი მოკავშირეები ჰყოლია მაშინდელი ზესახელმწიფოების — დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების სახით.** ესენი უფრო ჩასაფრებული იყვნენ და ამის მაგალითია 1946 წლის 5 მარტს **ჩერჩილის** გამოსვლა ფულტონში, სადაც მან დასავლეთს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ჯვაროსნული ომისკენ მოუწოდა. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ სტალინის ერთადერთი მოკავშირე ღმერთი იყო. არავის დაავიწყდეს ის ფაქტი, რომ **ლავრენტი ბერიას** ინიციატივით, დაკრალვის წინა ღამით, დაახლოებით 2 საათზე, იმ უზარმაზარ სვეტებიან დარბაზში, სადაც სტალინი იყო დასვენებული, შეიყვანეს თავად სტალინის მიერ წინასწარ შერჩეული ახალგაზრდა მღვდელი, რომელმაც ბელადს ქრისტიანული, მართლმადიდებლური ტრადიციის დაცვით წესი აუგო.

სტალინმა იცხოვრა, როგორც ნამდვილმა ქრისტიანმა. მას არაფერი მოუხვეჭავს და შეუძენია. სტალინი რომ გარდაიცვალა, მისი დაცვა და მომსახურე პერსონალი ბელადის ახალ ტანისამოსსა და ფეხსაცმელს ეძებდნენ, მაგრამ ნახმარი კიტელის, შარვლისა და გაცვეთილი ჩექმების გარდა ვერსად ვერაფერი ნახეს. ბელადის გარდაცვალება რუსმა მღვდელმსახურებმა და მაღალმა სასულიერო იერარქებმა ასეთი სიტყვებით აღნიშნეს — **„ზაკატილას ნაშა სოლნუშკა!"** *(რუს. „ჩაესვენა ჩვენი მზე!").*

**— ფაქტია, რომ სტალინის გარდაცვალების შემდეგ ათეიზმის პროპაგანდამ საბჭოთა კავშირში ახალი ძალით იფეთქა.**

— რა თქმა უნდა! **1941 წლიდან, სტალინის ბრძანებით, ეკლესიაზე აუგს ვერავინ იტყოდა. ლენინისა და ტროცკის მიერ ამოტეხილი ბინძური ანტიეკლესიური ქარიშხალი თითქოსდა შეწყდა, მაგრამ ნიკიტა ხრუშჩოვმა ახალი ძალით გააჩაღა ეს უბედურება.** სტალინის მკვლელობის ერთ-ერთი სავარაუდო მონაწილე — უშიშროების მინისტრი **ივან სეროვი,** ხრუშჩოვის დავალებით, ეკლესიაში უშიშროების აგენტებს ნერგავდა. მღვდლები საჯაროდ გამოდიოდნენ, კინოკამერების წინ ანაფორას იხდიდნენ, ჯვარს იხსნიდნენ და ხმამაღლა „აღიარებდნენ" — **„ჩვენ ყველაფერი შევიგნეთ, სინამდვილეში ღმერთი არ არსებობს, რელიგია მღვდლებმა გამოვიგონეთ ხალხის გასასულელებლად!"** მაშინ კომკავშირელი ვიყავი და კარგად მახსოვს, რას ავალებდნენ ხრუშჩოვის დროს კომკავშირელებს, რომლებიც სასულიერო პირებს დასდევდნენ, სურათებს უღებდნენ, მრევლს სახლებში უვარდებოდნენ და პროვოკაციებს უწყობდნენ. ეკლესია ამაზე ხმას არ იღებს და სტალინს რა სიბინძურე დააბრალონ და ჩირქი მოსცხონ, მხოლოდ იმაზე არიან მომართული... სტალინი დიდი იყო თავისი უბრალოებით და უბრალო თავისი სიდიადით. **სტალინზე უფრო დიდი სამხედრო-პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე კაცობრიობის ისტორიამ არ იცის. ამიტომაც ვერ ივიწყებს და არც დაივიწყებს მას მსოფლიო.** 71 წელია, სტალინი ცოცხალი აღარ არის, ტაიფუნის ძალით ებრძვიან მის სახელს, მაგრამ ვერაფერს აკლებენ და ვერც დააკლებენ.

1953 წლის მარტში, როცა ბელადი მოკლეს, სრულიად რუსეთის პატრიარქმა **ალექსეი პირველმა** სტალინის მისამართით ასეთი სიტყვები წარმოთქვა — *„გაქრა დიდი საზოგადოებრივ-ზნეობრივი ძალა, რომლისგანაც ჩვენი ხალხი საკუთარ ძლიერებას გრძნობდა, რომლითაც თავის შემოქმედებაში ხელმძღვანელობდა და რომლითაც ნუგეშისცემული იყო მრავალი წლის მანძილზე. არ მოიძებნება დარგი, სადაც არ სწვდებოდა დიდი ბელადის უძირო მზერა. როგორც გენიალური ადამიანი, იგი ყველაფრის საქმის კურსში იყო და ყველაფერში აღმოაჩენდა იმას, რაც სხვებისთვის, ჩვეულებრივი ადამიანისთვის უხილავი და მიუწვდომელი ჩანდა!"*

**სტალინის გარდაცვალების შემდეგ ალექსეი პირველმა კიდევ ჩვიდმეტი წელი იცხოვრა და მიუხედავად პარტნომენკლატურისა და პირადად ხრუშჩოვის საშინელი წნეხისა, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქს სტალინისადმი წარმოთქმული ზემოხსენებული სიტყვები უკან არასოდეს წაუღია!**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***



საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე

## „კინოარქივს დღემდე შემორჩა კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის საჯარო გამოსვლა, სადაც ის პირდაპირ აცხადებს – „დიდი სტალინი!"



მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი სერგი



მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი ალექსეი პირველი

## „რუსეთის ახალი პატრიარქი ალექსეი პირველი, განსვენებული პატრიარქ სერგის მსგავსად, სტალინს „ღვთივგზოძებულ ბელადს" უწოდებდა და ხშირად თავის ეპისტოლეებში მოიხსენიებდა!"

# სვიმონ მასხარაშვილი:

# ვერმახტში მომსახურე ქართველებმა ყველაფერი იღონეს, რათა არცერთი საბრძოლო მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე არ ჩატარებულიყო!



**ისტორიკოსის თვალით** ★

***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი აცხადებს, რომ 1942 წლის ზაფხულში კავკასიონის კარები, ფაქტობრივად, გახსნილი იყო, მაგრამ ვერმახტის სამსახურში მყოფმა ქართველებმა ყველაფერი იღონეს, რათა არცერთი საბრძოლო მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე არ ჩატარებულიყო, კავკასიონს ბოლომდე არ შემოუტიეს და უამრავი ქართველის სიცოცხლე გადაარჩინეს:***

— 1942 წელს დუშეთში **ალექსანდრე ცომაიასთან** და ხუთკაციან რაზმთან ერთად შემოსული **შოთა გედევანიშვილი,** რომელმაც საქართველოდან უვნებლად გააღწია, 1944 წელს საბჭოთა სამხედრო კონტრდაზვერვამ, ანუ იმავე „სმერშმა“ ყირიმში დახვრიტა. **შოთა გედევანიშვილს** დარჩა მცირეწლოვანი ბიჭი **შოთა გედევანიშვილი,** რომელიც ფრანგმა მამინაცვალმა ღირსეულად გაზარდა. ეს ფრანგი ანტიჰიტლერული მოძრაობის წევრი, პარტიზანი იყო, მაგრამ 15 წლის შოთას, რომელსაც ფრანგული სახელი და გვარი ჰქონდა, თავის ნამდვილ მამაზე ყველაფერი უამბო და უთხრა — მიუხედავად იმისა, რომ უფროსი **შოთა გედევანიშვილი** ფაშისტურ ვერმახტში მსახურობდა, ღირსეული კაცი იყო და ძალიან უყვარდა თავისი სამშობლო საქართველო.

გავიდა წლები, **შოთა გედევანიშვილი** გახდა საფრანგეთის რამდენიმე პრეზიდენტის, მათ შორის, **ფრანსუა მიტერანის** მრჩეველი, ჩამოვიდა საქართველოში და დაიწყო მამის მეგობრებისა და ახლო ნათესავების მოძებნა. ასე გაიცნო მან **ჯანო ბაგრატიონი და მე,** რადგან ბაბუაჩემი, **სვიმონ მასხარაშვილი** და მამამისი **შოთა გედევანიშვილი** ძმადნაფიცები იყვნენ. მთელი დღე გავატარე შოთა გედევანიშვილთან ერთად მცხეთაში, რომელმაც მითხრა — **სანამ საბჭოთა კავშირი დაიშლებოდა, თურქეთში ჩამოვდიოდი, სარფთან დავდგებოდი და ვტიროდით...** 1995 წელს, როცა საფრანგეთში ლარი დაიბეჭდა, ეს ყველაფერი საქართველოს, ფაქტობრივად, უსასყიდლოდ გაუკეთა სწორედ **შოთა გედევანიშვილმა.**

**— შოთა გედევანიშვილმა ქართული იცოდა?**

— არა, ქართული არ იცოდა, ფრანგულად და ინგლისურად საუბრობდა. ეს ამბავი იმიტომ გავიხსენე, რომ ნაცისტების სამსახურში მყოფ ქართველებს ევროპაში ცუდი სახელი არ ჰქონდათ და მათ ფაშისტებად არავინ მიიჩნევდა. სწორედ ამის ნათელი მაგალითია უმცროსი **შოთა გედევანიშვილის** გამზრდელი ფრანგი მამინაცვალი, რომელიც პარტიზანი იყო და ნაცისტებს ებრძოდა, მაგრამ არ ფიქრობდა, რომ ვერმახტის ოფიცერი **შოთა გედევანიშვილი** ცუდი კაცი იყო და ხალხს აწამებდა.

**— რას იტყვით ქართველი „ბერგმანელების“ შესახებ, რომლებიც 1942 წელს კავკასიონიდან საქართველოში შემოჭრას ცდილობდნენ?**

— ფაშისტურ ვერმახტში სადაზვერვო დაჯგუფება **„ბერგმანის“** გარდა არაერთი ქართული ბატალიონი იყო. 1921 წელს რუსეთ-საქართველოს ომში მონაწილე ქართველებისგან ფაშისტურ ვერმახტში შეიქმნა დაახლოებით 30-ათასკაციანი „ქართული ლეგიონი“, რომლის ხელმძღვანელები იყვნენ გენერალი **შალვა მაღლაკელიძე და ფრიდონ წულუკიძე.** „ქართულ ლეგიონში“ შვიდი ბატალიონი იყო გაერთიანებული. 797-ე ბატალიონს ერქვა **„გიორგი სააკაძე“,** 798-ეს — **„ერეკლე მეორე“,** 799-ეს — **„დავით აღმაშენებელი“,** 822-ეს — **„თამარ მეფე“,** 823-ეს — **„შოთა რუსთაველი“,** 824-ეს — **„ილია ჭავჭავაძე“.**



ქართველები ვერმახტის არმიაში

„ბერგმანის“ №1 სადაზვერვო ბატალიონი იბრძოდა ჩრდილოეთ კავკასიასა და ყირიმში. გარდა ამისა, ფაშისტურ ვერმახტში არსებობდა ქართველებისგან დაკომპლექტებული დივერსიული რაზმები — **„თამარი I“ და „თამარი II“.** ეს ქართული რაზმები ჰიტლერის დროშის ქვეშ ყველგან იბრძოდნენ — ლა-მანშთან, კურსკთან, ყირიმში, იტალიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ჩრდილოეთ კავკასიაში... რაც შეეხება ქართველ „ბერგმანელებს“, ეს ჯგუფი გააქტიურდა 1942 წელს, როცა ქერჩში ათეულ ათასობით ქართველი უკვე გაჟუჟეს და მოსკოვის ოპერაციაც დასრულებული იყო.

# «ფაშისტურ ვერმახტში არაერთი ქართული ბატალიონი და დივერსიული რაზმი იყო!»

ცხადია, ფაშისტური გერმანიის გენშტაბში კარგად იცოდნენ, რომ საბჭოთა კავშირის უმაღლესი მთავარსარდალი სტალინი და „ენკავედეს“ შეფი ლავრენტი ბერია ქართველები იყვნენ. გერმანელებმა ისიც იცოდნენ, 1942 წელს ახალქალაქში უკანასკნელი ქართული დივიზია რომ იყო დარჩენილი, რადგან ქართველები სულ რუსეთის, ბელორუსიისა და უკრაინის ფრონტებზე იყო გაყვანილი მტრის შესაკავებლად. **ყველამ და, მათ შორის, ფაშისტებმა ისიც კარგად უწყოდნენ, რომ ეს უკანასკნელი ქართული დივიზია მტერს შეაკავებდა, არცერთი ქართველი ცოცხალი არ დარჩებოდა, მაგრამ არ დანებდებოდა.**

სწორედ ასეთ სიტუაციაში, როცა საბჭოთა კავშირის ბედი ბეწვზე ეკიდა, კავკასიონის მიმართულებით დაიძრნენ ფაშისტების მხარდამხარ მებრძოლი ქართველები და, უპირველეს ყოვლისა, **„ბერგმანის“** დაჯგუფება, რომელსაც გენერალი **შალვა მაღლაკელიძე** ხელმძღვანელობდა. საბჭოთა არმიის გენერალი **სერგეი შტემენკო,** რომელიც ერთხანს გენშტაბის მთავარ ოპერატიულ სამსახურს ხელმძღვანელობდა, თავის მოგონებებში აღწერს, რომ 1942 წლის აგვისტოში, როცა კავკასიონზე უმძიმესი მდგომარეობა იყო, სტალინმა ასეთი რამ განაცხადა — **ჩერჩილი** კატეგორიულად მთხოვს, საქართველოსა და აზერბაიჯანში დიდი ბრიტანეთის სამხედრო ნაწილების შემოყვანას! **თუ უახლოეს ორ**



შალვა მაღლაკელიძე



შოთა გედევანიშვილი

***გაგრძელება „გენერალისიმუსის“ მე-6 გვერდზე***



# სვიმონ მასხარაშვილი: მაქვს ეჭვი, რომ საქართველოში ფაშისტების ინტერვენცია გერმანელების სამსახურში მყოფმა ქართველმა პატრიოტებმა შეაკავეს!

*დასაწყისი „გენერალისიმუსის“ მე-5 გვერდზე*

**კვირაში კავკასიის ფრონტზე შემოტრიალება არ მოხდება და ინიციატივა ჩვენს ხელში არ გადმოვა, იძულებული გავხდები, ჩერჩილის მოთხოვნას დავთანხმდე, რაც იმას ნიშნავს, რომ მერე ინგლისელებს კავკასიიდან ვერასოდეს გავაგდებთ!**

**— სტალინის დავალებით, სწორედ ამას მოჰყვა 1942 წლის 18 აგვისტოს 18-კაციანი ჯგუფის გამოფრენა სტალინის თვითმფრინავით მოსკოვიდან თბილისში, რომელსაც ლავრენტი ბერია ხელმძღვანელობდა!**

— დიახ, რა თქმა უნდა! სტალინის ეს საუბარი **შტემენკოსთან და ალექსანდრე ვასილევსკისთან,** რომელიც მაშინ გენშტაბის უფროსი იყო, სავარაუდოდ, 1942 წლის 16 ან 17 აგვისტოს უნდა გამართულიყო, რადგან 18 აგვისტოს, გამთენიისას, **ბერია** და მისი გუნდი უკვე თბილისისკენ გამოფრინდნენ. **სტალინი** არ ცდებოდა, როცა ამბობდა, რომ ომის ბედი კავკასიაში წყდებოდა... ფაშისტების გეგმით, ოპერაცია **„ედელვაისი“** მიზნად ისახავდა კავკასიონზე გაჭრას, საქართველოში შემოსვლას და მერე აზერბაიჯანში შესვლას. ჰიტლერის მთავარი სამიზნე იყო ბაქოს ნავთობი. კავკასიონის დასაცავად საბჭოთა არმიის მთავარი პრობლემა იყო ხალხი. ჯარისკაცი აღარ იყო დარჩენილი საქართველოში, რომელიც მამისონის, ქლუხორის, მარუხისა და ბეჩოს უღელტეხილებს დაიცავდა, რადგან მთელი ქართული დივიზიები მოსკოვის მისადგომებთან, ყირიმსა და უკრაინაში შეალეწეს მტერს.

აი, ასეთ ვითარებში ჰიტლერი იქცევა ძალიან ეშმაკურად და კავკასიონის ქართველ დამცველებს გერმანელებს კი არ უპირისპირებს, არამედ წინა ხაზზე ვერმახტის სამსახურში მყოფ ქართველებს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი „ბერგმანელებს“ აგზავნის. ისინი გერმანულ სვასტიკებს არ ატარებდნენ და მათ უნიფორმაზე შვინდისფერი ქართული დროშა და წრე იყო გამოსახული. ამით ვერმახტი ცდილობდა ქართველთა წინააღმდეგობის მუხტის დაცემას და იმედოვნებდა, რომ კავკასიონის დამცველები მომხვდურებს განიხილავდნენ არა დამპყრობლებად, არამედ, სამშობლოს პატრიოტებად, რომლებიც ქვეყნის თავისუფლებისთვის იბრძოდნენ. **ალექსანდრე ცომაია,** რომელიც 1942 წელს **შოთა ბედევანიშვილთან** და ხუთ ქართველთან ერთად შემოვიდა დუშეთში, თავის თავს „ილიისტს“ უწოდებდა. ცომაიას ომის შემდეგ, 50-იან წლებში, ნიუ-იორკში მანქანა დააჯახეს და მოკლეს. არსებობს სერიოზული ეჭვი, რომ ეს „კაგებემ“ ჩაიდინა. **ბედევანიშვილ-ცომაიას ჯგუფის** საქართველოში შემოსვლა და აქედან უვნებლად გასვლა, დიდი ალბათობით, ჰიტლერის სამსახურში მყოფი ქართველებისთვის იყო განგაშის სიგნალი.

**— რას გულისხმობთ?**

— ამ ჯგუფმა, რომელმაც ადგილობრივ მოსახლეობასთან, საკუთარი ოჯახის წევრებთან ვერ დაამყარა კავშირი, დადო დასკვნა, რომლის თანახმადაც საქართველოში გერმანული სამხედრო ნაწილების შემოსვლა გამოიწვევდა დიდ სისხლისღვრას. ამიტომ კავკასიის ბრძოლის დროს წინამბრძოლობა მიზანმიმართულად იტვირთეს ჰიტლერის სამსახურში მყოფმა ქართველებმა და მიუხედავად იმისა, რომ მათ საქართველოში შემოსვლა შეეძლოთ, საქართველოში არ შემოვიდნენ!

**— შეეძლოთ კი შემოსვლა?**

— ცხადია, შეეძლოთ! იყო პერიოდები და დღეები, როცა ქართველი „ბერგმანელები“ თავისუფლად ახერხებდნენ მამისონის გადმოკვეთას, სოხუმამდე და დუშეთამდე ჩამოსვლას, სვანეთში შესვლას. **პავლე სუდოპლატოვის** მოგონებების თანახმად, 1942 წლის აგვისტოში საქართველოს ხელისუფლება ევაკუაციას აპირებდა და თბილისში პრეზიდენტად **ვინმე მაჭავარიანის** დატოვებას გეგმავდა. ასეთ სიტუაციაში ისმის ერთადერთი კითხვა — **რატომ მეტი ძალისხმევა არ გამოიჩინეს ქართულმა შენაერთებმა და არ შემოვიდნენ საქართველოში? კავკასიონის კარები, ფაქტობრივად, გახსნილი იყო და რატომ არ მოაწვნენ მთელი ძალით?**

**— თქვენი აზრით, რა მოხდა?**

— მაქვს ეჭვი, რომ საქართველოში ფაშისტების ინტერვენცია გერმანელების სამსახურში მყოფმა ქართველმა პატრიოტებმა შეაკავეს და საქართველოს დამატებითი სისხლისღვრა და უბედურება თავიდან აცილეს!



ვერმახტის ქართველი ლეგიონერები გერმანული 81-მილიმეტრიანი ნაღმსატყორცნით

მიმაჩნია, რომ ისინი აუცილებლად შემოვიდოდნენ, მაგრამ ოპერაცია აღარ გააღრმავეს და რადგან დარწმუნდნენ, რომ საქართველოს მოსახლეობა პროჰიტლერულად არ იყო განწყობილი, საქართველოში შემოსვლისგან თავი შეიკავეს. **ლავრენტი ბერიამ,** რომელიც სტალინმა კავკასიონის გადასარჩენად მოავლინა, ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული სამხედრო ძალების მობილიზება მოახდინა და ძირითადად ამით დაიცვა გადმოსასვლელები. მისაუბრია ახალქალაქის ქართული დივიზიის მებრძოლებთან და იმათგან ვიცი, რომ ჯარისკაცებში მაშინ ასეთი ჭორი დადიოდა: **ბერიამ სტალინს უთხრა, ეს ერთი ქართული დივიზია დარჩა საქართველოში და ისიც თუ მტერს შევაკალით, ქართული გენოფონდი ვინღა უნდა გაამრავლოს?!** ამით იმის თქმა მინდა, რომ **ბერია** მოსკოვიდან რომ ჩამოვიდა, ახალქალაქის ქართული დივიზია ადგილზე დატოვა და მისთვის ხელი არ უხლია.

**— ცნობილია, რომ გერმანელებმა აფხაზეთში დაიკავეს სოფელი ფსხუ. ვინ იყვნენ, ვინ შემოვიდნენ, ქართველები?**

— ვინც სვანეთში, აფხაზეთში, რაჭაში, ხევსა და მთიულეთში შემოვიდა, სუყველა ქართველი იყო. არაქართველი აქ არ შემოსულა. ჰიტლერის სამსახურში მყოფი ქართველები ფიქრობდნენ, რომ თუ გერმანია გაიმარჯვებდა, მათ იმდენი დამსახურება ჰქონდათ ჰიტლერის წინაშე, თუნდაც **გრიგოლ რობაქიძის** ფაქტორის გათვალისწინებით, გერმანიის პროტექტორატის ქვეშ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას წინ ვერაფერი დაუდგებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართული სისხლის დაღვრას აზრი მაინც არ ჰქონდა. ამიტომაც კიდევ ერთხელ ვიმეორებ, როცა **შოთა ბედევანიშვილისა და ალექსანდრე ცომაიას** დაზვერვითი ოპერაციის დროს ვერმახტის ქართველი ოფიცრები დარწმუნდნენ, რომ საქართველოში ჰიტლერის გულისთვის თავს არავინ მოიკლავდა, **ლავრენტი ბერიას** თბილისში ჩამოსვლამდე მათ კავკასიონზე ოპერაციები არ გააღრმავეს და საქართველოში შემოსვლისგან თავი შეიკავეს!

შესაძლოა, ამაში ბევრი არ დამეთანხმოს, მაგრამ ეჭვი მაქვს, რომ ეს ამბავი სწორედ ასე უნდა ყოფილიყო. **ჰიტლერის სამსახურში მყოფი ქართველები ქართული სისხლის დამღვრელები არ იყვნენ! ისინი სტალინის დროშის ქვეშაც ვაჟკაცები იყვნენ და ჰიტლერის დროშის ქვეშაც ლომივით იბრძოდნენ.** მოღალატე **ვლასოვს** ჰიტლერი ბრძოლის ველზე არ უშვებდა, რადგან არ ენდობოდა, მაგრამ ქართველები ყველგან ვაჟკაცები იყვნენ. ჯერ მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ „ბერგმანელებმა“, ფაქტობრივად, წინამბრძოლობა იკისრეს. ჰიტლერის არმადაში წინა ხაზზე მებრძოლის დაყენება შემთხვევითი ამბავი არ იყო, ამას უდიდესი გამოცდილება, ვაჟკაცობა და პასუხისმგებლობა უნდოდა. მოკლედ ასე ვიტყვი — **ვერმახტში მომსახურე ქართველებმა ყველაფერი იღონეს, რათა არცერთი საბრძოლო მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე არ ჩატარებულიყო.** ამით მათ უამრავი ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინეს! ვერმახტის ქართველმა ოფიცრებმა ქართულად და კაცურად იცხოვრეს. მართალია, ისინი ბარიკადის მეორე მხარეს იბრძოდნენ, მაგრამ საქართველოსთვის არ უღალატიათ. ბუნებაში არ არსებობს სასამართლო პროცესი, სადაც ვერმახტის სამსახურში მყოფი ქართველი სამხედრო დამნაშავედ ეცნოთ!

**— საინტერესოა, ქართველების მიმართ ჰიტლერს როგორი განწყობა ჰქონდა?**

— არასოდეს ჰიტლერს სტალინის მისამართით შეურაცხმყოფელი სიტყვა არ უთქვამს. ჰიტლერი ბელადის გენიას აღიარებდა და ამბობდა — **ისეთი დიადი და დაუძინებელი მტერი, როგორიც სტალინია, მსოფლიოში არ მყავსო!** რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, **უჩა ჯაფარიძის ძმა დავით ჯაფარიძე** გერმანიაში სატყავო-საინჟინრო ფაკულტეტზე სწავლობდა. პირველი ხელოვნური ტყავის გამოყვანა მსოფლიოში სწორედ მაშინ დაიწყო, ამიტომ ქართველი სტუდენტები ამ დარგის ასათვისებლად გერმანიაში გაგზავნეს... მოხდა ასეთი ფაქტი: ჰიტლერი ახალი გაკანცლერებული იყო, როცა ჰაიდელბერგში ჩავიდა, სადაც ქართველები სწავლობდნენ. მთელი სტუდენტობა, გერმანელები, ნაცისტები კორიდორში მოეწყვნენ, მაგრამ **დავით ჯაფარიძე,** როგორც არაგერმანელი, არანაცისტი და ქართველი, ფიურერის მისასალმებლად მწკრივში არ ჩადგა და იქვე ფანჯრის რაფას ჩამოეყრდნო. ჰიტლერმა **დავით ჯაფარიძის** უცნაური დგომა მაშინვე შენიშნა, მივიდა და ჰკითხა — სადაური ხარ? — ქართველი ვარ! — **შენ დიდი ერის შვილი ხარ და შენს ერზე ახლა გამოვიდა ფანტასტიკური წიგნი, რომელიც მიუნხენის ამა და ამ გამომცემლობის მაღაზიებში იყიდება. კარგად ბრძანდებოდეთ!** ეს რომ თქვა, ჰიტლერი შეტრიალდა და წავიდა...

**დავით ჯაფარიძეს,** რომელიც 1937 წელს დახვრიტეს და ეჟოვშჩინას შეეწირა, ეს წიგნი საქართველოში ჩამოტანილი ჰქონდა. წიგნი გახლდათ საქართველოს უდიდესი აპოლოგია არაჩვეულებრივი ფოტოებით, გაფორმებით, სადაც ქართველი ერი წარმოჩენილი იყო, როგორც უძველესი, უდიდესი ცივილიზაციის და კულტურის შემქმნელი და მემკვიდრე... წიგნი 80-იან წლებამდე ჯაფარიძეების ოჯახში ინახებოდა, მაგრამ ამ ბოლო დროს მოვიკითხე და ვერ იპოვეს.

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

*გაგრძელება იქნება*







**ისტორიკოსის თვალით ★**

# ღია წერილი გენერალისიმუს იოსებ სტალინს

*ამხანაგო სტალინ! ამ წერილს გწერთ იმ საქართველოდან, რომელიც ოდესღაც აყვავებული დაგვიტოვეთ, მაგრამ დღეს ჩვენივ მუცელღმერთობის, სიტუტუცის, მცონარობისა და სიბრიყვის წყალობით, ყვავ-ყორნების, თურქების, არაბების, ინდოელების, ირანელების, ამერიკელების, ევროპელების, რუსების, ხაზარებისა და ხაზარაძეების საჯიჯგნად ქცეულა.*

**ამხანაგო სტალინ,** გვინდა, მოგახსენოთ ვინმე **უდღეური ლაშა ბუღაძის შესახებ,** რომელიც ქართველებს, როგორც ბინძური სისხლი და გენეტიკური დივერსანტი, სავარაუდოდ, არაბთა ცნობილი სარდლის ბუღა-თურქის 853 წლით დათარიღებული მაოხრებელი ლაშქრობის კვალდაკვალ შემოგვეპარა. მას შემდეგ, რაც ამ წყეულმა სამების საკათედრო ტაძარში დავანებულ წმინდა მატრონას ხატზე იღლიცინა, რომელზეც თქვენი ისტორიული შეხვედრის ამსახველი სცენა იყო გამოსახული, ინტერნეტსივრცეში გავრცელდა „თიბისი ბანკის“ უსტაბაშის **მამუკა ხაზარაძის სახელობის პრემია „საბას“ ექვსგზის ლაურეატისა და „უბორნიის“ ცნობილი მჯღაბნელის ლაშა ბუღაძის სკანდალური აღიარება,** რომელმაც საზოგადოების გულწრფელი აღშფოთება გამოიწვია.

სიმართლე გითხრათ, ჩვენ დიდად არ გაგვკვირვებია ის ფაქტი, რაშიც **უდღეური ლაშა ბუღაძე** თავად გამოტყდა. კაცმა რომ თქვას, ამ თვითაღიარებას ველოდით კიდეც, **მაგრამ ახლა საზოგადოებას ყველაზე მეტად ის აინტერესებს, თუ ვინ იდგა ამ საჯაყი საქმის უკან და ვინ შეაცდინა ლაშა ბუღაძე, რაზეც ის ასე გახარებული და აცქმუტებული საუბრობს.**

მაშ ასე, მოუსმინეთ, რას ამბობს ეს **ქრონიკული მჯღაბნელი,** რომლის მამაც შეფურთხების პროფესორია:

**„აღმოვჩნდი მართლაც ისეთ უცნაურ გარემოში... აი, არაფერს არ ვაჭარბებ, ცეკვავდნენ მართო კაცები ტყავის ქურთუკებში. ცოტათი ნაწყენი კაცების ცეკვა იყო ესა და ძაან მთვრალების. გადამეკიდა ერთი კაცი, რომ ბატონო, ლაშა, ახლა მე და თქვენ ერთად უნდა ვიცეკვოთო და ჩამეკრო! აი, სულ ასე მკოცნიდა...** *(ხელს ითათუნებს ყელზე... ხაზი ჩვენია. რედ.)* **ვიცეკვეთ, ნუ რავიცი, რაღაცა, ვალსი იყო თუ რაღაცა ასეთი და... მერე ეს ხალხი ვერ მოვიშორე და... აი, ჩემს თავს აბსოლუტურად აღარ ვგავდი, მე ვიყავი ვიღაცა სხვა ადამიანი... მაგრამ უკადრებელი ვიკადრე თუ არა, ეს არ მახსოვს!“**






კადრები ვიდეოდან, რომელშიც ლაშა ბუღაძე ჰყვება თუ როგორ ეხვეოდა და კოცნიდა კისერში მთვრალი უცხო მამაკაცი ერთ „უცნაურ გარემოში“

როგორც ხედავთ, **ეს უდღეური ლაშა ბუღაძე** ვიღაც ტყავისქურთუკიანს, შეურაცხყოფის მიყენების მიზნით, ვალსის საცეკვაოდ გამოუწვევია და ისე ჩაკრობია, **როგორც ხანდაზმული თაღლითი მამუკა ხაზარაძე ჩაეკრო და ჩაებღაუჭა ქართველი ხალხის ანაბრებს, ხოლო შემდეგ ისე მოითენთა, რომ აღარაფერი ახსოვს.**

ჩვენს გულისტკივილს რომ შეიტყობთ, ვიცი, აუცილებლად მიგვითითებთ 1934 წლის 23 მაისს გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნებულ **მაქსიმ გორკის წერილზე,** სადაც დიდი მწერალი ამბობს — **„ალკვეთეთ ჰომოსექსუალიზმი და მოისპობა ფაშიზმი!“**

ისიც ვიცით, რომ შეცდენილი საზოგადოების გამოსაფხიზლებლად აუცილებლად შეგვახსენებთ, რომ ვიდრე **მაქსიმ გორკი** ზემოხსენებულ წერილს გამოაქვეყნებდა, 1934 წლის 7 მარტს, საქართველოში **მარშალ ბერიას** ცეკას მდივნობისას, სისხლის სამართლის კოდექსში შესული ცვლილებების კვალდაკვალ 121-ე მუხლი ასე ჩამოყალიბდა — **მამათმავლობა, ანუ კაცის კაცთან გარყვნილი სქესობრივი კავშირი, ისჯება 5 წლით თავისუფლების აღკვეთით!**

ამხანაგო სტალინ, ვხვდებით, რომ სწორედ ეს არის ამ უბედურების წამალი — **გეიფაშისტების ალაგმვა და მამათმავლების ვირის აბანოში წათრევა,** მაგრამ თავს ზევით ძალა არა გვაქვს, რადგან საროსკიპოდან გამოქცეული ვინმე **ნატა ფერაძისა და მისი დამქაშების შიშით,** არამარტო საქართველოს ხელისუფლება, არამედ საქართველოს წმინდა სამოციქულო ეკლესიაც კი ცახცახებს და ადეკვატურ გადაწყვეტილებებს ვერ ღებულობს! **სწორედ შიში იყო იმის მიზეზი, რომ წმინდა მატრონას ხატი, რომელზეც თქვენ იყავით გამოსახული, სამების საკათედრო ტაძრიდან ასე სამარცხვინოდ გამოაბრძანეს!**

ჩვენ ახლა იმ დღეში ვართ, რა დღეშიც, დაახლოებით თქვენ იყავით 1941 წლის სექტემბერ-დეკემბერში, როცა ფაშისტური არმადა ყველაფერს მოანგრევდა, მაგრამ ჰიტლერის გამჩერებელი არ ჩანდა.

**თქვენ მაშინ არ შეშინდით, კრემლი არ დატოვეთ, კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი ომი მოიგეთ და ამით რუსეთი და დანარჩენი მსოფლიო გადაარჩინეთ!**

მოიგებენ კი ამ ომს ქართველები, რომლებიც შიშით თუ ჭინჭების სიყვარულით, საქართველოს ტოვებენ?

*დიტო ჩუბინიძე*

# გიორგი ბეჟიტაშვილის პასუხები მკითხველს ★

## მსმენია, რომ ცნობილი ესპანელი კომუნისტი ხოსე დიასი თბილისში, ვერის ძველ სასაფლაოზეა დაკრძალული და რას გვეტყვით მის შესახებ




წარსულში **ხოსე დიასის** (1895-1942) — ესპანეთის კომპარტიის ცკ-ის გენერალური მდივნის, **ფრანკოს** წინააღმდეგ მებრძოლი სახალხო ფრონტის ხელმძღვანელის, **ი. სტალინის** ერთგული თანამოსაგრის საფლავზე თბილისელი მოქანდაკის **მორის თალაკვაძის** ნამუშევარი მარმარილოს მაღალი სტელა იყო აღმართული. როდის და ვინ მოხსნა ის, ახლა, ალბათ, ვეღარავინ დაადგენს.

**ხოსე დიასი** მართლაც საქართველოს და მისი დედაქალაქის სტუმარი გახლდათ. **1939 წელს** ესპანეთის რევოლუციის დამარცხების შემდეგ **ხოსე დიასი** იძულებული გახდა, სსრკ-ში ემიგრირებულიყო, **ჯერ მოსკოვში ცხოვრობდა, შემდეგ სოჭში და ბოლოს, სტალინის წინადადებით, თბილისში დასახლდა.** ბელადის თქმით — **„საქართველო მას მშობლიურ ესპანეთს გაახსენებდა.“**

მამაცი ესპანელი კომუნისტი **1942 წლის მაისში** დაიღუპა. ის სასტუმრო **„თბილისის“** (ყოფ. „მაჟესტიკი“) მე-5 სართულზე მდებარე ნომრის ფანჯრიდან გადმოხტა.

რამ უბიძგა ამ საქციელისკენ? საქმე ის არის, რომ **დიასი** მძიმე ავადმყოფი იყო — ბარსელონაში კუჭის წყლულზე წარუმატებლად ჩატარებული ოპერაციის შემდეგ ძლიერი ტკივილები სტანჯავდა. **ხოსე დიასი** სულ უფრო ხშირად მიმართავდა მორფს და სხვა ძლიერმოქმედ საშუალებებს. ამას სამშობლოდან გაძევებით და ფრონტებზე ჰიტლერული ჯარების წარმატებით გამოწვეული დეპრესიული მდგომარეობა დაემატა. შეგნებას იმისა, რომ თავისი ხალხის და მშრომელთა საერთაშორისო მოძრაობის საქმისთვის სარგებლობის მოტანა აღარ შეუძლია, ხანგამოშვებით სიგიჟემდე და თვითმკვლელობის მცდელობამდე მიჰყავდა. ამის გამო მის გვერდით ოთახში მუდმივად იმყოფებოდა მომვლელი, ცოლი ან ექიმი.

**დიასის** მკურნალი ექიმის **ნიკოლოზ ყიფშიძის** მოწმობით, **სტალინი** (ყიფშიძე ბელადის ერთ-ერთი ექიმიც იყო) გამუდმებით ინტერესდებოდა თავისი ესპანელი თანამოსაგრის ჯანმრთელობით. **დიასის** დაღუპვამდე ცოტა ხნით ადრე მან თბილისში ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი სპეციალისტი, პროფესორი **სპასოკუცკი** გააგზავნა და სთხოვა, ყურადღებით გაესინჯა **დიასი** და მის მკურნალობას შესდგომოდა. პროფესორმა პაციენტი გასინჯა და განაცხადა, რომ აუცილებელია კიდევ ერთი ოპერაციის გაკეთება. დაიწყო ოპერაციისთვის მზადება, ის თავად პროფესორს უნდა ჩაეტარებინა. მაგრამ წინა დღეს ტრაგედია მოხდა. **სპასოკუცკიმ** განმარტებით ბარათში ეს თვითმკვლელობა ოპერაციისადმი შიშით ახსნა. თუმცა, **ყიფშიძე,** რომელიც კონსილიუმს ესწრებოდა, ამას არ ეთანხმება. პირიქით, მისი თქმით, ოპერაციის გადაწყვეტილებამ **დიასი** გაამხნევა კიდეც. **ყიფშიძემ** ეს შენიშნა და უთხრა: **„ყველაფერი კარგად იქნება, მე და თქვენ კიდევ ვისეირნებთ რუსთაველის გამზირზე.“** **დიასმა** კი უპასუხა: **„მერე კი მე თქვენი გიდი ვიქნები მადრიდში.“**





**ყიფშიძე** თვლის, რომ ტრაგედიის დღეს **დიასს** დეპრესიის კიდევ ერთი გაუსაძლისი შეტევა დაემართა, ტკივილიც გაუძლიერდა. ფერშალი ქალი მეზობელ ოთახში გავიდა მორფის შემოსატანად. ესპანელმა ამით ისარგებლა და უკანასკნელი ნახტომით ყოველგვარ ტანჯვას ბოლო მოუღო.

დაკრძალვაზე მოსკოვიდან მისი თანამებრძოლი **დოლორეს იბარური** ჩამოვიდა. მან **სტალინისგან** გვირგვინი ჩამოიტანა. სასაფლაოზე სიტყვით გამოსვლისას **იბარურიმ** გაიმეორა თავისი საყვარელი გამოთქმა — **„ჯობს, ზეზეულად მოკვდე, ვიდრე მუხლებზე მდგომმა იცოცხლო.“** და თქვა: **„შენთვის, ამხანაგო ხოსე, საწოლზე მიჯაჭვული მძიმე ავადმყოფის ცხოვრება მუხლებზე დამდგარ სიცოცხლეს ნიშნავდა. და ჩვენ, შენს თანამებრძოლებს, ენა არ მოგვიბრუნდება შენი საქციელის გასაკიცხად.“**

## მსმენია, რომ 30-იანი წლების დასასრულს სერგო ორჯონიკიძის წინააღმდეგ საქართველოს ხარჯზე ტერიტორიული დათმობების მისეული პოლიტიკით უკმაყოფილო ნაციონალ-უკლონისტების მხრიდან ტერორისტული აქტის მცდელობა განხორციელდა. მართალია თუ არა ეს?

1934 წლის ნოემბრის დასაწყისში თბილისში მართლაც დააპატიმრეს რამდენიმე ადამიანი იმ დროს საქართველოს დედაქალაქში მყოფი **სერგო ორჯონიკიძის** მოწამვლის მცდელობაში ბრალდებით. მაგრამ ძალიან მალე ისინი გაათავისუფლეს, რადგან გაირკვა, რომ არავითარი მოწამვლის მცდელობა არ ყოფილა. აი, რას წერს თავის გამოუქვეყნებელ მოგონებებში ექიმი **ნიკოლოზ ყიფშიძე: „ორჯონიკიძე ტფილისში 1934 წლის ნოემბერში ჩამოვიდა. 10 ნოემბერს დილის 4 საათზე ტელეფონის ზარმა გამაღვიძა. ბერია რეკავდა. „სერგო მოწამლეს, კვდება, — მითხრა ამიერკავკასიის ხელმძღვანელმა, — დაუყოვნებლივ მოდით.“ მალე ავადმყოფის საწოლთან ვიყავი. ჩემს დანახვაზე სერგომ ჩუმად წარმოთქვა: „ვკვდები“. ცვილივით გაფითრებულიყო, შუბლი ოფლით დანამვოდა, კიდურები გაუცივდა, პულსი ძლივს ესინჯებოდა. გასინჯვის შემდეგ დავადგინე, რომ პაციენტს წყლულოვანი დაავადებით გამოწვეული შინაგანი სისხლდენა აქვს და გავაფრთხილე, რომ შეიძლება სისხლი გარეთაც გამოვიდეს. როდესაც ეს მოხდა, სერგო გაოცდა, როგორ დავსვი დიაგნოზი სისხლის წამოსვლამდე. მიღებული ზომებით სისხლდენა შეჩერდა, პულსი აღდგა, ავადმყოფის მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. აუცილებელი წამლების გარდა ამხ. სერგოს წოლითი რეჟიმი და მკაცრი დიეტა დავუნიშნე. მკურნალობამ და დიეტამ თავისი გაიტანა და სერგო მალე გამოჯანმრთელდა. იმ დღესვე შევატყობინე ბერიას, რა დაემართა ორჯონიკიძეს და როგორც მოგვიანებით გავიგე, უდანაშაულოებისთვის მოწამვლის ბრალდება მოუხსნიათ.“**



რაც შეეხება **ორჯონიკიძის** პოლიტიკით უკმაყოფილებას, არა მარტო ნაციონალ-უკლონისტების, არამედ ქართველთა უმრავლესობის მხრიდან, რა თქმა უნდა, ის არსებობდა, მაგრამ **სერგოს** მოკვლა არავის უცდია. სხვათაშორის, როგორც იმავე **ყიფშიძის** მოგონებებიდან ჩანს, ამ ტერიტორიული პოლიტიკით დიდად კმაყოფილი **სტალინიც** არ იყო. **1946 წლის დეკემბერში ყიფშიძე** გაგრაში **სტალინის** აგარაკზე იმყოფებოდა. ბელადმა სიცილით გაიხსენა სერგოს „მოწამვლის“ შემთხვევა და თქვა, რომ ყიფშიძის ადგილზე სხვა, თავიზღვევია ექიმი რომ ყოფილიყო, უდანაშაულო ხალხის საქმე შეიძლება ცუდად დამთავრებულიყო. სწორედ მაშინ გაბედა ყიფშიძემ ტერიტორიული დათმობების შესახებ კითხვის დასმა. საუბარი ზაქათალაზე ჩამოვარდა. **„საქმე ის არის,** — წერს **ყიფშიძე,** — **რომ ზაქათალა ოდითგანვე საქართველოს ეკუთვნოდა, ეს მიწა ქართული ტერიტორიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა, იქ ქართული მოსახლეობა ჭარბობდა, მაგრამ 1923 წელს ეს მხარე აზერბაიჯანს გადაეცა. სწორედ ამ თემაზე ვესაუბრე ამხანაგ სტალინს. ის, რა თქმა უნდა, ამ საკითხზე სრულ ინფორმაციას ფლობდა, ჩანდა, რომ ამ თემაზე არაერთხელ უფიქრია. ბელადმა მაშინ ასე მიპასუხა: „ეს სერგო უცნაური ვინმეა, ზაქათალა აზერბაიჯანს მისცა და კიდევ ბევრი რამე მიჰქარა 20-იან წლებში. არადა, რასაც მისცემ, მერე იმისი დაბრუნება ძნელია“. მართლაც ასე გამოვიდა“.**

ჩვენთვის ეს მოგონება ღირებულია იმდენად, რამდენადაც პასუხს სცემს მათ, ვინც ქართული მიწის განიავებაში სტალინს ადანაშაულებს.

## საინტერესოა, რამსიმაღლე იყო გენერალისიმუსი?



**„ჟანდარმერიის საგუბერნიო სამმართველოს მიერ დაკავებული იოსებ ჯუღაშვილის“** ნიშნების ოქმში, რომელიც **1902 წლის 17 ივლისს** ქ. ბათუმში ჟანდარმერიის პოლკოვნიკის შაბილსკის და ქალაქის ექიმის **ელიავას** მიერ არის შედგენილი, ვკითხულობთ: **„სიმაღლე — 2 არშინი და 5 გოჯი“,** რაც ზომის თანამედროვე ერთეულებზე გადაყვანით **162 სმ-ზე** ოდნავ მეტს უდრის. ამგვარად, სტალინი საშუალოზე დაბალი იყო, მე-19 საუკუნის დასასრულის — მე-20-ის დასაწყისის საზომით მამაკაცის საშუალო სიმაღლედ **165 სმ** ითვლებოდა.

ბელადის პრაქტიკულად ყველა თანამოსაგრე ასეთივე სიმაღლისა იყო. გამონაკლისი საშუალოზე ოდნავ მაღალი კაგანოვიჩი გახლდათ, რომელიც პოლიტბიუროს წევრებს ზემოდან დაჰყურებდა. პროფესორ **დევი სტურუას** მოწმობით, რომელმაც ბელადი **1946 წლის გაზაფხულზე** სინოპში (სოხუმთან) კალინინის აგარაკზე ნახა, **„ის (სტალინი) პროპორციული აღნაგობისა იყო და როდესაც თანამოსაუბრეთაგან მოშორებით იდგა, ტანმორჩილად აღარ გამოიყურებოდა. ეს იყო მოხდენილი ქართლელი გლეხი, რომელიც რაღაც სასწაულით დიდ ბელადად გადაიქცა“.**

გენერალისიმუსი
2023 წლის 22 იანვარი. №5-6 (241-242)

სარედაქციო კოლეგია
„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com ფეისბუქი: www. facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

# უკრაინელების ბაქრაძე

***იმ ფონზე, როცა უკრაინის ჩაფლავებული კონტრშეტევის კვალდაკვალ, ამერიკის შეერთებული შტატები და ევროკავშირის ქვეყნები სულ უფრო ამცირებენ და აყოვნებენ ოფიციალური კიევისათვის სამხედრო თუ ფინანსური დახმარების გამოყოფას, ზელენსკის ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ — თუ დაგვჭირდა, რუსებს ნიჩბებით შევებრძოლებითო!***



უკრაინელი ხალხი მართლა აიღებს ნიჩბებს... ზელენსკის რეჟიმისათვის პოლიტიკური სამარის გასათხრელად!

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი დმიტრო კულება



## თუ დავით ბაქრაძე საქართველოს მოსახლეობას რუსის ჯარის წინააღმდეგ დანა-ჩანგლით ბრძოლისაკენ მოუწოდებდა, დმიტრო კულება აცხადებს, რომ უკრაინელები რუსებს ნიჩბებით შეებრძოლებიან!

კერძოდ, უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა **დმიტრო კულებამ** ამერიკულ „ABC NEWS“-თან ინტერვიუში განაცხადა:

***„რაც არ უნდა ღირდეს ახლა უკრაინის მხარდაჭერა, თუ უკრაინა წააგებს, საფასური გაცილებით მეტი იქნება. თუ დასავლეთი ვერ შეაჩერებს რუსეთს უკრაინაში, მაშინ კიდევ ვის შეუძლია, შეაჩეროს იგი მსოფლიოს სხვა ნაწილებში? იარაღი რომც დაგვიმთავრდეს, ნიჩბებით ვიბრძოლებთ, რადგან ჩვენი ერის არსებობა სასწორზე დგას“.***

ნიჩბებით ვიბრძოლებთო... არადა, თუ გავითვალისწინებთ, რომ დასავლელი პარტნიორებისა თუ პატრონების მიერ უკრაინისათვის გაგზავნილი სამხედრო შეიარაღება დროდადრო უკვალოდ ქრება ან სხვა ქვეყნებში კონტრაბანდულად იყიდება, გამორიცხული არ არის, უკრაინელებს რუსების წინააღმდეგ ბრძოლა მართლა ნიჩბებით, ფიწლებითა და ბირდაბირებით მოუწიოთ.

მაგალითად, გასულ კვირას გაზეთმა **„ნიუ-იორკ თაიმსმა“** დაწერა, რომ აშშ-ის მიერ უკრაინისათვის გამოყოფილი სამხედრო დახმარება ცუდად კონტროლდება. როგორც ამერიკის თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექტორის ანგარიშშია აღნიშნული, ამერიკელმა ოფიციალურმა პირებმა და დიპლომატებმა ვერ შეძლეს, სწრაფად ან სრულად აღერიცხათ უკრაინის ფრონტზე გაგზავნილი 40 000 ერთეული იარაღი.

ავტორიტეტიანი ამერიკული გამოცემის იმავე სტატიაში ვკითხულობთ, რომ მილიარდ დოლარზე მეტი ღირებულების რაკეტები, ე.წ. **კამიკაძე დრონები და ღამის ხედვის მოწყობილობა,** რომლებიც შეერთებულმა შტატებმა უკრაინაში გაგზავნა, ამერიკელმა ოფიციალურმა პირებმა სათანადოდ ვერ გააკონტროლეს, რაც აჩენს შეშფოთების საფუძველს, რომ ისინი მოიპარეს ან კონტრაბანდისტების ხელში აღმოჩნდა.

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება — **თუ იარაღი გამოგველია, ნიჩბებით ვიბრძოლებთო** — საფუძველს მოკლებული რომ არ არის, ამაზე მიუთითებს თურქეთის რესპუბლიკაში უკრაინის ელჩის **ვასილ ბოდნარის** განცხადებაც, რომლის თანახმად, უკრაინისათვის განკუთვნილ იარაღს დასავლეთის ქვეყნები ისრაელში გზავნიან.

**ბოდნარის განცხადებით, ღაზის სექტორში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტი რუსეთ-უკრაინის ომის აღქმას იმდენად აზიანებს, რომ დასავლეთის ქვეყნებში ზოგიერთებს ჰგონიათ, თითქოს უკრაინაში ომი უკვე დასრულდა!**

ასე რომ, უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის სიტყვები — **თუ საჭირო გახდა, რუსულ ჯარს ნიჩბებით შევებრძოლებითო** — შესაძლოა, მალე მწარე რეალობად იქცეს!

**კულებას** ამ განცხადებამ საქართველოში ბევრს გაახსენა 2008 წლის აგვისტოს ომის დღეებში **პარლამენტის თავმჯდომარის დავით ბაქრაძის** საგანგებო მიმართვა, როცა მან მოსახლეობას მთელი ხელისუფლების სახელით მოუწოდა — **რუსის ჯარს წინააღმდეგობა თქვენ ხელთ არსებული ყველანაირი საშუალებით გაუწიეთო!**

კერძოდ, აი, რა განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარე **ბაქრაძემ** 2008 წლის 10 აგვისტოს, როცა რუსის ჯარი ზუგდიდში შედიოდა:

***„მინდა, გადმოგცეთ საქართველოს პრეზიდენტის მოწოდება და მთლიანად საქართველოს ხელისუფლების მოწოდება: ყველა ერთად გავერთიანდეთ, ყველგან, სადაც შემოვა მტრის ჯარი, ყველა არსებული საშუალებით გავუწიოთ წინააღმდეგობა, არ მივცეთ საქართველოს ოკუპაციის და 1921 წლის გამეორების საშუალება“.***

მართალია, **ბაქრაძეს** თავის გამოსვლაში თოხი, ბარი, ნიჩაბი, ტაფა და დანა-ჩანგალი არ უხსენებია, მაგრამ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობამ მისი მოწოდება სწორედ ისე გაიგო, როგორც უნდა გაეგო — **ჩასვრილი და გადაღლებული ხელისუფლება მოგვიწოდებს, რუსულ არმიას ტაფებითა და დანა-ჩანგლებით ვეომოთო!**

ან კი სხვა რას ნიშნავდა **ბაქრაძის** სიტყვები — **მტერს ყველა არსებული საშუალებით გავუწიოთ წინააღმდეგობაო?!**

თუ არა, თოხი, ბარი, ნიჩაბი, ტაფა და დანა-ჩანგალი ან, მაქსიმუმ, ორლულიანი სანადირო თოფი, აბა, სხვა რა უნდა ყოფილიყო მშვიდობიანი მოსახლეობის ხელთ არსებული „ყველა საშუალება“?

ამიტომაც იყო, რომ **ბაქრაძეს** ხალხმა მეტსახელად **„დანა-ჩანგალა“** შეარქვა!

ისიც ნიშანდობლივია, რომ საქართველოს მოსახლეობისადმი **ბაქრაძის** მიმართვა — **პრეზიდენტისა და ხელისუფლების სახელით მოგიწოდებთ, რუსულ ჯარს ჯამ-ჭურჭლით გაუწიოთ წინააღმდეგობაო** — 2008 წლის 10 აგვისტოს გაისმა — ზუსტად იმ დღეს, როცა გორში ჩასული პრეზიდენტი სააკაშვილი თვითმფრინავის ხმის გაგონებაზე შეშინებული გაიქცა და მიწაზე ფორთხავდა, რასაც გაოგნებული შეცქეროდა იქვე რამდენიმე მეტრში მდგარი საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი **ბერნარ კუშნერი.**

ასე იყო, საქართველოს პრეზიდენტი და უმაღლესი მთავარსარდალი ფრონტის ხაზის შორიახლო შეშინებული ბუჩქებისაკენ გარბოდა, პარლამენტის თავმჯდომარე კი მისი სახელით მოუწოდებდა მშვიდობიან მოსახლეობას — რუსულ ტანკებს თოხებით, ბარებითა და დანა-ჩანგლით შეიარაღებული დაუხვდითო!

ჰოდა, როგორც აღმოჩნდა, უკრაინელებსაც ჰყოლიათ თავიანთი **„დავით ბაქრაძე“** — საგარეო საქმეთა მინისტრი **დმიტრო კულება,** რომელიც აცხადებს — **თუ იარაღი გაგვითავდება, ნიჩბებით ვიომებთო!**

ქართველების **დავით ბაქრაძე** — დანა-ჩანგლითო!

უკრაინელების **„დავით ბაქრაძე“** — ნიჩბებითო!

**ესეც კიდევ ერთი ნიშანი და მტკიცებულება, რომ ზელენსკისა და სააკაშვილის ხელისუფლებები გაჭრილი ვაშლივით, უფრო ზუსტად, ურემის ბორბლით შუაზე გაჭრილი ნეხვის ორი ნაწილივით ჰგვანან ერთმანეთს!**

ღმერთმა ნუ ქნას, უკრაინელ ხალხს ნიჩბებით მოუწიოს ბრძოლა რუსის ჯართან, მაგრამ ის დღე კი ნამდვილად არ არის შორს, როცა უკრაინელი ხალხი მართლა აიღებს ნიჩბებს... **ზელენსკის რეჟიმისათვის პოლიტიკური სამარის გასათხრელად!**

ცხადია, იმ პოლიტიკურ სამარეში ადგილი **ზურაბ ადეიშვილის, გია ლორთქიფანიძისა** და ყველა იმ ნაცავზაკისთვისაც მოინახება, რომლებიც **ზელენსკის რეჟიმს** ჰყავს შეფარებული და დასაქმებული!

**ჯაბა ხუბუა**





**2008 წლის 10 აგვისტო:**
**პრეზიდენტი სააკაშვილი გორში მიწაზე ფორთხავს, ხოლო პარლამენტის თავმჯდომარე ბაქრაძე საქართველოს მოსახლეობას მოუწოდებს, რუსულ ჯარს წინააღმდეგობა დანა-ჩანგლით გაუწიოს!**

# მიხეილ ცაგარელი:

# წინ გვაქვს არნახული პროცესები მსოფლიო მასშტაბით, რომელიც უკანასკნელი 50-60 წლის განმავლობაში კაცობრიობას არ ახსოვს!



***ბოლო რამდენიმე ინტერვიუში ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი საზოგადოებას ვაქცინაციის მორიგი სერიის შესახებ აფრთხილებდა. 2024 წლის დადგომისთანავე მისი პროგნოზი ახდა — ცნობილი ეპიდემიოლოგები და ინფექციონისტები ვაქცინაციის შესახებ ალაპარაკდნენ. რისთვის სჭირდებათ ე.წ. გლობალისტებს ვაქცინაციის მორიგი სერია და რა რჩევას აძლევს ბიძინა ივანიშვილს, რომელიც სულ ახლახან დაბრუნდა პოლიტიკაში, ამას ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ:***

— მე, მაინც ვფიქრობ, რომ ბიძინა ივანიშვილის მოსვლა დროებითია. პირადი ჰოროსკოპიდან გამომდინარე, ყოველთვის ვამბობდი, რომ მისთვის საჯარო პოლიტიკაში ყოფნა მაინცდამაინც კარგი არ არის. უკეთესია, კულისებიდან მართოს ქვეყანა-მეთქი. წესით, ეს მანაც უნდა იცოდეს, მას ხომ თავის დროზე ცნობილ რუს ასტროლოგთან **პაველ გლობასთანაც** ჰქონდა კონტაქტები. ამ გეგმას შეძლებისდაგვარად მიჰყვებოდა კიდეც, მაგრამ, როგორც ჩანს, შეიქმნა სიტუაცია, რის გამოც თავისი პირადი კომფორტი უკანა პლანზე გადასწია და კულისებიდან საჯარო სივრცეში გადმოინაცვლა. **პოლიტიკამ შეიძლება ნეგატიური ზეგავლენა მოახდინოს მის ჯანმრთელობაზე, მაგრამ, მეორე მხრივ, ამ რთულ საშინაო თუ საგარეო ვითარებაში საკუთარ თავზე აიღო მთელი პასუხისმგებლობა, რაც ნამდვილად მისასალმებელია!**

ბიძინა ივანიშვილი მერწყულია თევზების ზოდიაქოს დიდი ზეგავლენით. ეს ორივე ნიშანი არის ძალიან ინტუიციური. გარდა იმისა, რომ კარგად აზროვნებს, შინაგანად გრძნობს, რა შეიძლება მოხდეს და რამდენად გლობალური და მნიშვნელოვანია ეს მოვლენები ქვეყნისთვის. **2024-2025 წლებში სერიოზული ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებებია მოსალოდნელი სამყაროში. მას კი სურს, ამ დროს ქვეყნის სადარაჯოზე იყოს. ეს არის ჩემი ვარაუდი.** სინამდვილეში რა ხდება, ეს მხოლოდ მან იცის და უახლოეს მომავალში გავიგებთ, როდესაც საკუთარი თვალით ვიხილავთ ყველაფერს.

**— მოდით, კიდევ ერთხელ დავაკონკრეტოთ, რატომ არის განსაკუთრებული 2024-25 წლები?**

— ეს ორი წელი იქნება გადამწყვეტი გლობალისტებსა და ანტიგლობალისტებს შორის ბრძოლაში. 2024 წელს 32 ქვეყანაში უნდა ჩატარდეს არჩევნები, მათ შორის, ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, რამაც შეიძლება, თავდაყირა დააყენოს მსოფლიო ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაცია. არ არის გამორიცხული, ამერიკასა და რუსეთს შორის კავკასიასთან დაკავშირებით გარიგება მოხდეს.

ნახეთ, რა ხდება ჩვენს რეგიონში. საფრანგეთი ძალიან სერიოზულად ამარაგებს იარაღით სომხეთს. ამასთანავე, სომხეთს იარაღის შესაძენად დიდი თანხა ჰქონდა გადახდილი რუსეთისათვის, რომელსაც წლების განმავლობაში ვერ იღებდა და ახლა მიეწოდება, პარალელურად კი სარაკეტო შეიარაღებითაც მარაგდება ინდოეთიდან. როგორ ფიქრობთ, რატომ ხდება სომხეთის ასეთი გამალებული შეიარაღება? დიდი ალბათობით, რევანშისთვის ემზადება. თან ინარჩუნებს ურთიერთობას რუსეთთან, თან შეერთებულ შტატებს უახლოვდება, განსაკუთრებით საფრანგეთს, თუ რუსეთი და შეერთებული შტატები კავკასიასთან დაკავშირებით ვერ მორიგდებიან, სავსებით შესაძლებელია, ახალი ომი გაჩაღდეს, რაშიც ძალიან მნიშვნელოვანი იქნება საქართველოს პოზიცია.

ზოგადად, 2024 წელი იქნება სამხედრო თვალსაზრისით პროვოკაციების წელიწადი. დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი სავალუტო კუთხითაც. ბრიქსი, სადაც ბევრი წამყვანი ქვეყანა შედის, ქმნის თავის პოლიტიკას და სავალუტო სისტემას, რაც სერიოზულ კონკურენციას გაუწევს ევროს და დოლარს, შესაბამისად, დაუპირისპირდება შტატებსა და ევროკავშირს. მოკლედ, ჩვენ გველოდება არნახული პროცესები მსოფლიო მასშტაბით, რაც უკანასკნელი 50-60 წლის განმავლობაში კაცობრიობას არ ახსოვს.

ასეა თუ ისე, ბიძინა ივანიშვილის საჯარო პოლიტიკაში შემოსვლა გარკვეულწილად ამ პროცესებთან არის დაკავშირებული, თანაც ძალიან ბევრი ქვეყნის ლიდერს აღიზიანებდა მის მიერ ქვეყნის კულისებიდან მართვა. ფაქტია, ირაკლი ღარიბაშვილი რთულ პერიოდში კარგად გაუძღვა საქმეს, თუმცა, მარტი-მაისის შუალედში კიდევ ბევრი რამე გაირკვევა.

**— და მაინც, როგორია ბიძინა ივანიშვილისათვის 2024 წელი?**

— ცუდი წელიწადი არა აქვს — **მაიმუნი და დრაკონი მეგობრობენ ერთმანეთთან და სამყაროდან კარგი შესაძლებლობები მიეცემა, თუმცა, რაკი ჯერ ნამდვილი დრაკონის წელიწადი არ დამდგარა, ვურჩევ, 10 თებერვლის შემდეგ დაიწყოს ცვლილებების გატარება.** მისთვის 2024 საქმის კეთების კუთხით გაცილებით უკეთესია, ვიდრე წინა წელი იყო.

**— რის გაკეთებას ურჩევთ?**

— პირველ რიგში, ასალაგმია კორუფცია. ზოგიერთი მინისტრი უკვე ღიად ყიდულობს მილიონიან სახლებს უცხოეთში. რამდენიმე მინისტრის გამოკლებით, რეალურად არავინ არაფერს აკეთებს. მრეწველობა ნულზეა, სოფლის მეურნეობა ერთ ადგილზეა გაყინული, განათლებაც საშინელ მდგომარეობაშია. როდესაც ამბობენ, დიდი ეკონომიკური ზრდა გვაქვსო, ეს ზრდა მხოლოდ ტურისტების, მათ შორის, რუსების, უკრაინელებისა და ბელორუსების ხარჯზე ხდება და არა იმიტომ, რომ მრეწველობა და სოფლის მეურნეობა ვითარდება. ქვეყანა დიდი ხანია, ეკონომიკური კუთხით ერთ ადგილს ტკეპნის.

არ არის გამორიცხული, ძალიან მალე ბიძინა ივანიშვილმა რამდენიმე მსხვერპლი გადმოუგდოს საზოგადოებას იმის დასტურად, რომ კორუფციის ალაგმვის პროცესი დაიწყო. ეს სერიოზული პიარი იქნება არჩევნების წინ. **დღეს „ქართულ ოცნებაში" სამი ყველაზე ავტორიტეტული პიროვნებაა — ირაკლი ღარიბაშვილი, ირაკლი კობახიძე და კახა კალაძე. მთავარია, მათ შორის რაიმე განხეთქილება არ მოხდეს. ბიძინა ივანიშვილი მათი შემაკავშირებელი უნდა იყოს.**

ამასთანავე, ბიძინა ივანიშვილი აუცილებლად უნდა დაელაპარაკოს რუსეთს. აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საკითხი სხვაგვარად ვერ გადაწყდება. და კიდევ: ახლახან დაიჭირეს მრა-

## „ბიძინა ივანიშვილს დღეს მეტი შესაძლებლობა აქვს, ქართული საქმე აკეთოს, ვიდრე 12 წლის წინათ ჰქონდა!"





## „დღეს „ქართულ ოცნებაში" სამი ყველაზე ავტორიტეტული პიროვნებაა – ირაკლი ღარიბაშვილი, ირაკლი კობახიძე და კახა კალაძე. მთავარია, მათ შორის რაიმე განხეთქილება არ მოხდეს. ბიძინა ივანიშვილი მათი შემაკავშირებელი უნდა იყოს!"

## კვირგვინოსნები

**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*



**საჩვენებელი დაჭერები იქნება...** როდესაც **ბიძინა** კაცს უფლებას აძლევს, **მოიპაროს 1 მილიონი და ის 10 მილიონს იპარავს,** ეს მისთვის მიუღებელია, **ივანიშვილი ასეთ რამეებს იშვიათად პატიობს ვინმეს.**

„ალია"

**ბადრი გრიგალაშვილი**
*„გირჩი — მეტი თავისუფლების" წევრი*



**ძაღლზე მოძალადე კაცს 2-თვიანი წინასწარი პატიმრობა მიუსაჯესო,** უხარია ხალხს, რომელთა დიდ ნაწილსაც, **მინიმუმ, ერთი ცხოველი ან ფრინველი მაინც აქვს შეჭმული ამ ახალ წლებზე.** ძაღლები ძალიან მიყვარს, მაგრამ **ასეთ შემთხვევაში ადამიანის დაჭერა არ მგონია ნორმალური.**

„ალია"

**შალვა ნათელაშვილი**
*ლეიბორისტული პარტიის ლიდერი*



აქვთ გეგმა, რომ **არჩევნებამდე 15 დღით ადრე თავიანთ დაქირავებულ პრეზიდენტს სალომე ზურაბიშვილს შეაწყალებინონ სააკაშვილი** და მისი გამოსვლა გარეთ ისევ გაყოფს პოლიტიკურ სპექტრს ორ ნაწილად, ისევ აქტუალური გახდება ძველი თემა **„მიშა ბრუნდება", ჩვენ მოგვეცით ხმა, თუ არადა, მიშა მოვა ხელისუფლებაში.**

„ალია"

**ლევან გოგიჩაიშვილი**
*ოპოზიციონერი პოლიტიკოსი*



2024 წლის არჩევნების შემდეგ **„ქართული ოცნებიდან" იქნება გაქცევები სხვადასხვა პარტიებში.** ვფიქრობ „ქართულ ოცნებას" არასახარბიელო მომავალი აქვს, ამიტომ **არ ვუყურებ პესიმისტურად 2024 წლის არჩევნებს.**

„TV პირველი"

# „ახლახან დაიჭირეს მრავალშვილიანი ოჯახის მამა ევროკავშირის დროშის დაწვისთვის და 6 წლით ტოვებენ ბავშვებს მშობლის გარეშე, ხოლო ხატის წამბილწველს მხოლოდ ჯარიმა გამოუწერეს. მსგავსი ფაქტები საზოგადოებას აღაშფოთებს და „ოცნებამ“ არ უნდა დაუშვას!“



***ქუჩაში ევროკავშირის დროშის დაწვის გამო*** *დაპატიმრებული* ***ლაშა შარუხია***



***ტაძარში ხატისთვის საღებავის შესხმის გამო*** *დაუპატიმრებელი* ***ნატა ფერაძე***

ვალშვილიანი ოჯახის მამა ევროკავშირის დროშის დაწვისთვის და 6 წლით ტოვებენ ბავშვებს მშობლის გარეშე, ხოლო ხატის წამბილწველს მხოლოდ ჯარიმა გამოუწერეს. მსგავსი ფაქტები საზოგადოებას აღაშფოთებს და „ოცნებამ“ არ უნდა დაუშვას.

**— ბოლო დროს ასპარეზზე კვლავ გამოვიდნენ ეპიდემიოლოგები და გრიპის ვირუსმაც ახალი ძალით დახვია ხელი მოსახლეობას. ჩვენს მკითხველს ახსოვს თქვენი სკანდალური შეფასებები „კოვიდ-19“-ის პანდემიის პერიოდში...**

— ეპიდემიოლოგები თუ ინფექციონისტები კომუნისტების დროიდან მოყოლებული გამოდიოდნენ და გრიპის პროფილაქტიკაზეც საუბრობდნენ, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ახსნა-განმარტება, კუბოებს არავინ გვაჩვენებდა! ის, რაც 2020 წელს მოხდა, სხვა რამ გახლდათ. ალბათ, უკვე მეათასედ ვამბობ — **გლობალისტებმა სპეცლაბორატორიებში შექმნილი ვირუსები საგანგებოდ გაავრცელეს ხალხში კაცობრიობის შემცირების მიზნით!**

შარშან ხაზგასმით გავაფრთხილე საზოგადოება — 2024-2025 წლებში აუცილებლად შემოგვიგდებენ კიდევ ერთ ვირუსს-მეთქი. ამისთვის რახანია ემზადებოდა ჯანმო. თანაც თემა რაც შეიძლება ლამაზად უნდა შეეფუთათ, რათა საზოგადოებისთვის უფრო დამაჯერებელი ყოფილიყო.

მოკლედ, 2020 წლის პანდემიის დროს საკმარისი მსხვერპლი ვერ მიიღეს და მიუხედავად იმისა, რომ ვაქცინაციასთან ერთად ომებიც დაიხმარეს, კაცობრიობის ის რაოდენობა ვერ განადგურდა, რაც სურდათ.

**— რამდენად შეძლებენ ამას დღეს, როცა საზოგადოებისთვის უკვე ბევრი რამ ცნობილია?**

— რასაკვირველია, გაუჭირდებათ, მაგრამ უფრო მეტად გააძლიერებენ ზეწოლას და უზარმაზარ ფულს დახარჯავენ, რომ ხალხი დააზომბირონ. მასმედია, ძირითადი სავალუტო ფონდები და მსოფლიო ორგანიზაციები გლობალისტებისა და ფსევდოლიბერალების ხელშია, რომლებიც შავ ძალებს — მასონებს ემსახურებიან. **მათ აქვთ შემუშავებული ხალხის დამონების საყოველთაო პოლიტიკა და მიზნის მისაღწევად უკან არაფერზე დაიხევენ. ერთხელ ჩაუვარდათ გეგმა? კიდევ ცდიან!** ხვალ ახალი იმნაძეები და გამყრელიძეები გამოჩნდებიან, ამიტომ, ქართველებო, აღარ მოტყუვდეთ. გამოცდილებამ მაინც გვასწავლოს ჭკუა!

და კიდევ: როგორ ფიქრობთ, რატომ გაბედეს ჩვენთან წმინდა მატრონას ხატის შეურაცხყოფა?

**— თქვენი ლოგიკით, ესეც სპეციალური დავალებაა გლობალისტებისგან, რათა მოხდეს სიტუაციის აღრევა და სტაბილურობის დარღვევა.**

— ცხადია... მითუმეტეს, როცა ხატზე სტალინი არ არის გამოსახული, როგორც წმინდანი! რატომ ვუყურებთ ამ ფაქტს მხოლოდ ერთი პრიზმიდან?! შეიძლება ბევრმა არც იცის, რომ თავის დროზე მატრონა მართლაც შეხვდა სტალინს, რის შემდეგაც მან საბჭოთა კავშირში ტროცკისტების მიერ დანგრეული ეკლესიების აღდგენა დაიწყო. ისიც ნურავის დაავიწყდება, რომ სტალინი სასულიერო აკადემიაში სწავლობდა... ასე რომ, ჯერ კარგად გაერკვნენ ვითარებაში და მერე გამოხტნენ, მაგრამ მათი მიზანი საქმის გარკვევა არ არის. **დაინახეს ხატზე სტალინი და მიეცათ აჟიოტაჟის და ეკლესიის ლანძღვის საბაბი. ისინი ხომ ამ ღირებულებების დაკნინებისთვის იღებენ ფულებს?!**

მესმის, არ არის მარტივი ბიძინა ივანიშვილის მდგომარეობა, ის მუდმივი ზეწოლის ქვეშაა, მაგრამ მოდის დრო, როცა ამერიკისა და ევროპის დასუსტების კვალდაკვალ მას უფრო მეტად გაეხსნება ხელ-ფეხი და შეძლებს ეროვნული ელემენტების წინა პლანზე წამოწევას, მითუმეტეს, თუ ტრამპმაც გაიმარჯვა! დიახ, ბიძინა ივანიშვილს დღეს მეტი შესაძლებლობა აქვს, ქართული საქმე აკეთოს, ვიდრე 12 წლის წინათ ჰქონდა, როდესაც ხელისუფლებაში მოვიდა!

***ესაუბრა ნატო ფოცხიშვილი***



# პაატა შავაძე: საპატრიარქოში დიდი წმენდაა ჩასატარებელი! – «რუის-ურბნისი!»



*— ლიბერალების სანუკვარი ოცნებაა, მხარი აუწყონ იმ დაჯგუფებებს, რომლებსაც კაცთა მოდგმის შემცირებისაკენ აქვთ გეზი აღებული და დიდძალ თანხებსაც იღებენ,* ***— აცხადებს სამართლის დოქტორი, ადვოკატი პაატა შავაძე და იქვე განმარტავს —*** *იმისთვის, რომ ეს მარაზმი დასრულდეს, საჭიროა ორი რამ — ეკლესიის გაწმენდა უწმინდურებისგან და სამართლის აღდგენა განურჩევლად ყველას მიმართ:*

— ის, რაც ხდება — **წმინდა მატრონას ხატის შეურაცხყოფა და ეპიდემიოლოგთა გააქტიურება ვაქცინაციის კუთხით** — არის ერთი დიდი პოლიტიკური ჯაჭვის სხვადასხვა რგოლი. გასაგებია, რომ ზამთარია და მაღალია ვირუსების გავრცელების ალბათობა, მაგრამ ნამდვილად არ არის შემთხვევითი იმ ეპიდემიოლოგთა მოწოდებები, რომლებმაც ე.წ. პანდემიის დროს ქართველი ხალხის წინაშე სერიოზული დანაშაული ჩაიდინეს. მათთან ერთად გააქტიურდა ლიბერალთა დასაყრდენი ძალა — „ტვ პირველი“, „მთავარი არხი“, „ფორმულა“, რომლებიც მაქსიმალურად ამუქებენ სიტუაციას და აქცენტს ამჯერად ბავშვებზე აკეთებენ. ამ ე.წ. ლიბერალებს ინფექციონისტების სახით სერიოზული ძალა ჰყავთ საქართველოში, რომლებსაც მშვენივრად გამოსდით ხალხზე მანიპულირება. სამწუხაროდ, მათ პასუხი არავინ არ მოსთხოვა მასობრივ გენოციდში მონაწილეობის გამო.

## პანდემიის დროს ვინც კლინიკაში შევიდა, 80 პროცენტი იქიდან ცოცხალი აღარ გამოსულა. ასობით ადამიანი დახოცეს საავადმყოფოებში. ამიტომაც ბედავენ ისევ ვაქცინაციაზე საუბარს.

## „მოვუწოდებ მოსახლეობას, არ წამოეგოს გლობალისტების მორიგ პროვოკაციას – არავითარი ვაქცინაცია!“




**— თუ დამნაშავეები არიან, რატომ არ დაისაჯნენ?**

— ევრომამების ეშინიათ, სხვანაირად არ გაგვიგონო. ან კი ვინ წავა ჯანმოს წინააღმდეგ?! არადა, დასაჭერები კი არა, დასახვრეტები არიან!

უფრო მეტიც, დღეს რომ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლება იყოს, ალბათ ბოძებზე გაგვაკრავდნენ და ისე აგვცრიდნენ!

**— ფიქრობთ, რომ ასე სერიოზულად არის საქმე?**

— ფაქტია, რომ კბილი მოუსინჯეს საზოგადოებას. რამდენი ადამიანი ვიცი, ვინც აცრის გაკეთების შემდეგ წავიდა ამ ქვეყნიდან. ბევრს უცნაური ჩივილები დაეწყო და დღესაც ცუდად არის. საერთოდ ვიცით კი, რას შეიცავს ეს ვაქცინები?! **აქვე მოვუწოდებ მოსახლეობას, არ წამოეგოს გლობალისტების მორიგ პროვოკაციას! არავითარი ვაქცინაცია!**

პანდემიის დროს შემთხვევით როდი გამოდიოდნენ მეუფეები და იშიშვლებდნენ მკლავს ვაქცინის გასაკეთებლად. არც ის იყო შემთხვევითი, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მაშინდელი ხელმძღვანელი **ამირან გამყრელიძე პაატა იმნაძესთან** ერთად რომ მოუწოდებდა მოსახლეობას, აღდგომას ეკლესიაში არ წასულიყო. ეს ერთი დიდი სქემის ჯაჭვია და ჩვენს ეროვნულ იდეალებს, ტრადიციებსა და იდენტობას ურტყამს!

## მიზანმიმართულია მათი ეკლესიაში შევარდნა და წმინდა მატრონას ხატის შეურაცხყოფაც. გგონიათ, სტალინი და მატრონა აწუხებდა ვინმეს?

რა თქმა უნდა, არა! ისინი ცდილობენ, ადამიანებში რწმენა ჩაკლან, ზიზღი დათესონ პატრიარქისადმი. ამგვარი ფაქტებით საზოგადოებას ეუბნებიან — **შეხედეთ, რა გააკეთა საპატრიარქომ, სტალინის გამოსახულებით ეკლესიაში ხატი შეიტანაო.** უნდათ, გახლიჩონ მრევლი, წარმოქმნან სიძულვილი, რომ მერე ანტიქრისტეს თანყვანისცემისკენ მოუწოდონ ხალხს. ამისთვის მიდის იდეოლოგიური მუშაობა. ხვალ უარესად მოიქცევიან. რა შეუშლით ხელს, თუ სპეციალური კანონი არ იქნა მიღებული?

სამწუხაროდ, სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ და ვაღიაროთ, რომ საპატრიარქოშიც დიდი წმენდა არის ჩასატარებელი. აბა, როგორ შეიძლებოდა ტაძრიდან წმინდა მატრონას ხატის გატანა და გადაკეთება?! ეს არის ჩვენი ისტორიული სირცხვილი! არაერთხელ დავგმე საჯაროდ **მეუფე დიმიტრის** საქციელი — სად გაგონილა, მღვდელმთავარი მოსახლეობას ვაქცინის გაკეთებისკენ მოუწოდებდეს და ეუბნებოდეს — აღდგომას საფლავზე კვერცხი არ გადააგოროო. სწორედ ამ შეკითხვებზე პასუხის კვალდაკვალ ვამბობ, რომ ეკლესიაში წმენდა უნდა ჩატარდეს! დასაყრდენი უნდა გამოეცალოთ იმ დაჯგუფებებს, რომლებიც ჩვენი რწმენისა და ტრადიციების წინააღმდეგ იბრძვიან.

***— როგორ ფიქრობთ, რას შეცვლის ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნება?***

— თუკი ბნელი ძალებისგან სრულ განადგურებას გადავურჩით, ეს ბიძინა ივანიშვილის დამსახურებაა. ამ ადამიანმა მკვლელი რეჟიმისგან იხსნა ჩვენი ერი! ე.წ. ლიბერალები რომ გადაირივნენ და შეიშალნენ, ზუსტად ეს მაფიქრებინებს, რომ კვლავ კარგი საქმეების გასაკეთებლად დაბრუნდა. მისი ავტორიტეტი ქვეყანას წაადგება. რამდენიც არ უნდა შეეცადონ მის დაკნინებას, ვერაფერს დააკლებენ! მან ისიც ძალიან კარგად იცის, ქართული ეკლესიის წინააღმდეგ რა მზაკვრობა მზადდება და რას გეგმავენ ეპიდემიოლოგები.

***ესაუბრა ნატო ფოცხიშვილი***

## კვირისკვინოსნები



**მიშა ანდღულაძე** *იუმორისტი*

ოლიგარქმა არ შეიძლება, გადაცემების დახურვის მიზეზად უფულობა დაასახელოს, **„ფორმულაზე“ გასართობი გადაცემები იმის გამო დაიხურა, რომ „სოლოლაკი ვერ ავიღეთ“.** „ფორმულა“



**ნინო ფოჩხუა** *ექსპერტი*

ასეთი ადვილი რომ იყოს **სოლოლაკის „აღება“, ბიძია თემური** მილიონს კი არ გადაიხდიდა **სოლოლაკის „აღებაში“.** ეტყობა, **ანდღულაძე** პირველი მერცხალია, მალე რიგში სხვებიც ჩადგებიან. „იმედინიუსი“



**გია აბაშიძე** *ანალიტიკოსი*

**დავით კეზერაშვილის** ჯიბეში მყოფი ნებისმიერი პერსონაჟი **იაფფასიანი შაპიტოს მსახიობია,** რომლებსაც ეს კრიმინალი უშედეგოდ იყენებს **ბიძინა ივანიშვილთან** საბრძოლველად. „იმედინიუსი“



**ლევან ჩხარტიშვილი** *ლიბერტარიანული პარტიის წევრი*

ოპოზიციას ვაფრთხილებ, **ბრძოლა ახლავე არის საჭირო,** მერე გვიანი იქნება. „ახალი თაობა“

***ცნობილი ჰომეოპათი და ექიმი კახა საბახტარიშვილი იმ სუპერპროდუქტებს ჩამოთვლის, რომლებიც გულ-სისხლძარღვთა სისტემისათვის განსაკუთრებით სასარგებლოა:***





**კახა საბახტარიშვილი** — ექიმი ნევროპათოლოგი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი, საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. გასული საუკუნის 80-იან წლებში იყო კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატ **„კატრექსის“** ავტორის **ალექსანდრე ბაჩეჩილაძის** მიერ შექმნილი **საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საიდუმლო სამეცნიერო ლაბორატორიის მთავარი ექიმი,** ქალაქ თბილისის №13 პოლიკლინიკის დირექტორი. აქვს გამოქვეყნებული 7 წიგნი და 1 მონოგრაფია, 50 სამეცნიერო სტატია. მსოფლიო აღიარება მოიპოვა მისი ხელმძღვანელობით შექმნილმა წამლებმა **„გულის ელექსირი ფორტე“, „ტონზილინი“ და „იმუნო ჰერბი-ფორტე“,** რომლებსაც ათასობით ადამიანი ღებულობს როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.




**თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43, მეტროსადგური „დელისი“ (პროფკავშირების სახლი). 593 31 70 34; ფეისბუქი: „კახა საბახტარიშვილის ჯანმრთელობის ცენტრი“ და „ლაზიკა-ფარმა“**



## კახა საბახტარიშვილი:

# გულისთვის განსაკუთრებით სასარგებლო პროდუქტებიდან კომბოსტოს მწნილი პირველ ადგილზეა!

— არაერთგზის გვითქვამს, რომ სისხლძარღვების უპირველესი მტერი შაქარია. არადა, ჩვენ, ძირითადად, სწორედ ცილებით, ცხიმებითა და ნახშირწყლებით, ანუ შაქრით ვიკვებებით. სწორედ ნახშირწყლები იწვევს სისხლში შაქრის დონის მატებას, ინსულინის ჭარბ გამოყოფას და სისხლძარღვების ანთებას, რაც ინფარქტისა და ინსულტის მთავარი მაპროვოცირებელი ფაქტორია. რაც შეეხება ცხიმებს, მათ ასათვისებლად ინსულინი ყველაზე ნაკლებად გამოიყოფა, **ხოლო, თუ მხოლოდ ცილებით მდიდარ საკვებს მივიღებთ, მაშინ გვახსოვდეს, რომ ცილები შესაძლოა, შაქრად გარდაიქმნას და სისხლში ინსულინის დონე მკვეთრად ასწიოს.** აქედან გამომდინარე, თუ გვინდა, რომ გულმა და სისხლძარღვებმა არ გვიმტყუნოს და არ შეგვაწუხოს, ისეთი საკვები უნდა მივიღოთ, სადაც ჯანმრთელობისთვის სასარგებლო ცხიმოვანი მჟავები და გულისთვის აუცილებელი ვიტამინები უხვად იქნება წარმოდგენილი. სისხლძარღვების ანთებას ყველაზე მეტად C, K2, D და E ვიტამინები ებრძვის. რა თქმა უნდა, აქვე უნდა ვახსენოთ ცხიმოვანი მჟავა „ომეგა-3“-იც...

**— რომელია გულისთვის და, საერთოდ, ჯანმრთელობისთვის განსაკუთრებით სასარგებლო საკვები პროდუქტები?**

— ბევრს გაუკვირდება, მაგრამ გულისთვის განსაკუთრებით სასარგებლო პროდუქტებიდან კომბოსტოს მწნილი პირველ ადგილზეა! **არცერთ სხვა პროდუქტში იმდენი C ვიტამინი არ არის, რამდენიც კომბოსტოს მწნილში** და ამ მხრივ ლიმონსაც კი უწევს კონკურენციას. **C ვიტამინი უძლიერესი ანტიოქსიდანტია და სისხლძარღვების ანთებას ემტერება. გარდა ამისა,**

### C ვიტამინი ამაგრებს ძვლებს და ხელს უშლის კანის დანაოჭებას.

აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ, ზოგადად, მწნილი და, მათ შორის, კომბოსტოს მწნილიც, კიბოს დაუძინებელი მტერია.

კომბოსტოს მწნილი შესანიშნავი დიეტური პროდუქტია და ერთ ჭიქაში ჩატეული მისი მასა, სულ რაღაც, 6 გრამ ნახშირწყალსა და 4 გრამ უჯრედისს შეიცავს. აქედან ორგანიზმი მხოლოდ 2 გრამ ნახშირწყალს თუ ითვისებს, ამიტომ

### მოგვწონს თუ არ მოგვწონს, სადაც კი შევხვდებით, აუცილებლად უნდა მივირთვათ კომბოსტოს მწნილი! ამით წონაშიც დავიკლებთ, სიმსივნესაც დავაფრთხობთ და გულსა და სისხლძარღვებსაც ვაამებთ!

ზოგიერთები კომბოსტოს იმიტომ ერიდებიან, რომ მუცლის შებერვასა და მეტეორიზმს იწვევს. **ეს არ ეხება დამწნილებულ კომბოსტოს, რადგან მისი უჯრედისი უკვე ფერმენტირებულია და ადვილად გადამუშავდება.**

ბევრი კუჭ-ნაწლავის მოსაწესრიგებლად მაწონს, იოგურტსა და კეფირს ღებულობს, რადგან მიიჩნევს, რომ მათში არსებული სასარგებლო ბაქტერიები კუჭ-ნაწლავს მოუხდება. ეს მართლაც ასეა, მაგრამ სასარგებლო ბაქტერიების უმრავლესობა კუჭის წვენის სიმჟავით იღუპება, ფერმენტაციის შედეგად კომბოსტოს მწნილში წარმოშობილი სასარგებლო ბაქტერიები კი კუჭის ბარიერს ადვილად ძლევენ. ამიტომ

### კუჭ-ნაწლავის სისტემის მოსაწესრიგებლად კომბოსტოს მწნილი ბევრად უფრო სასარგებლოა, ვიდრე მაწონი, იოგურტი და კეფირი.

კომბოსტოს მწნილი ხელს უშლის ათეროსკლეროზული ფოლაქებისა და თრომბის წარმოქმნასაც. ეს განპირობებულია მასში დიდი რაოდენობით K2 ვიტამინის არსებობით, რომელსაც კალციუმი ძვლებისკენ მიაქვს, ხოლო მისი დეფიციტის დროს პირიქით — კალციუმი სისხლძარღვების კედლებზე გროვდება, რაც თრომბის წარმოქნის წინაპირობაა და ინსულტისა თუ ინფარქტის წარმოშობის საფრთხეს ზრდის.

**— კიდევ რომელი პროდუქტები უხდება გულსა და სისხლძარღვებს?**

— უძლიერესი ანთების საწინააღმდეგო თვისებებით გამოირჩევა **რუკოლა,** რომელიც ჩვენში ახლად შემოსული და დამკვიდრებული ბოსტნეულია. ის სისხლძარღვების კედლებს ამაგრებს და ანთებას აცხრობს. **რუკოლას** თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ **მცენარეული „ვიაგრა“.** იგი შეიცავს აზოტის ოქსიდს, რომელიც სისხლძარღვებს აფართოებს, სასქესო ორგანოებში სისხლის მიმოქცევას აძლიერებს და პოტენციას ზრდის. **რუკოლას სალათი, რომელსაც ზეითუნის ზეთი აქვს მოსხმული, გულსაც უხდება და ლიბიდოსაც ამაღლებს.** რუკოლა დიდი რაოდენობით კალციუმს, მაგნიუმს, C და K1 ვიტამინებს შეიცავს, რომლებიც გულის გამართული მუშაობისათვის აუცილებელია. ისიც აღსანიშნავია, რომ რუკოლა უძლიერესი ანტისიმსივნური პროდუქტია.

**— თხილი და კაკალი რომ გულს უხდება, ცნობილია, მაგრამ მათ შორის პრიორიტეტი რომელს ენიჭება?**

— საქართველოში უკვე დაიწყეს ნიგვზის ერთ-ერთი სახეობის — **პეკანის** მოშენება, რომელსაც **„ამერიკულ ნიგოზსაც“** უწოდებენ. პეკანი იმით არის აღსანიშნავი, რომ მისი 71 პროცენტი ცხიმია, ხოლო ცხიმისა და ცილის შემცველობა შვიდი ერთზეა. საერთოდ, პროდუქტში ცხიმისა და ცილის თანაფარდობა რაც მეტია ცხიმის სასარგებლოდ, გულისთვის და, საერთოდ, ჯანმრთელობისათვის, უკეთესია. **პეკანი, ანუ „ამერიკული ნიგოზი“** დაბლა წევს შაქარსა და წნევას, ძლიერი ანტიოქსიდანტია, ებრძვის სისხლძარღვების ანთებას და მწვანე ჩაიზე ოცჯერ ძლიერია. პეკანში ნახშირწყლები ცოტაა და ამიტომაც არ გვასუქებს!

გულ-სისხლძარღვთა სისტემას ძალიან უხდება **ზეითუნის ზეთი,** რომელიც ინსულტისა და ინფარქტის თავიდან ასაცილებლად ყველა კომპონენტს შეიცავს. ესენია „ომეგა-3“, E ვიტამინი, A ვიტამინი, მიკროელემენტები — მაგნიუმი და კალიუმი. უკვე არავინ დავობს იმაზე, რომ კიბო წარმოიშობა იქ, სადაც უჯრედის შემადგენელი ნაწილი, მისი „ელექტრო-
















**„სისხლძარღვების ანთებას ყველაზე მეტად C, K2, D და E ვიტამინები ებრძვის. რა თქმა უნდა, აქვე უნდა ვახსენოთ ცხიმოვანი მჟავა „ომეგა-3“-ის!“**

# ეს სიჯანსაღის ფორმულაა!

**სამწუხაროდ, ამ სასწაულმოქმედ პრეპარატს არსად ახსენებენ და ფარმაცევტული კომპანიები მისი რეკლამირებით დაინტერესებული არ არიან, რადგან ძალიან იაფი და ხელმისაწვდომია, ხოლო მისი შემცვლელები – ძვირი. ამ პრეპარატის შესახებ ჩვენ საგანგებოდ ვისაუბრებთ!**

*ესაუბრა*
*დიტო ჩუბინიძე*

სადგური“ — მიტოქონდრია ზიანდება.

**ზეითუნის ზეთი მიტოქონდრიებს დაზიანებისგან იცავს, რაც კიბოს ეფექტური პროფილაქტიკაა.**

ალბათ, სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ იმ ქვეყნებში, სადაც ზეითუნის ზეთსა და თევზეულობას ჭარბად მოიხმარენ, კიბოთი დაავადებული პაციენტების რაოდენობა შესამჩნევად მცირეა!

**— რადგან თევზეული ახსენეთ, მაინც რომელი თევზია გულისთვის ყველაზე უფრო სასარგებლო?**

— გულ-სისხლძარღვთა სისტემისთვის ყველაზე სასარგებლო **ცხიმიანი** თევზია. ამ მხრივ ორაგული ნამდვილი ჩემპიონია!

**ცხიმიანობით ორაგულს, რომელიც გულის წამალია, თვით ზუთხი და ვირთევზას ღვიძლიც კი ვერ შეედრება.**

ცნობისათვის, 85 გრამი ორაგული 2000 მილიგრამ „ომეგა-3“-ს შეიცავს, ხოლო იმავე რაოდენობით ვირთევზას ღვიძლში „ომეგა-3“ 170 მილიგრამსაც ვერ აჭარბებს. **ვისაც გული აწუხებს და ინსულტი ან ინფარქტი ემუქრება, კვირაში ორ-სამჯერ 100-150 გრამი ორაგული მაინც უნდა მიირთვას! ეს საჭიროა თუნდაც იმის გამო, რომ ჩვენ თითქმის ყოველდღიურად ვღებულობთ სიმინდის ან მზესუმზირის ზეთზე დამზადებულ საკვებს, რომელშიც მაღალია „ომეგა-6“-ის შემცველობა.** იგი ძალიან მავნე ცხიმოვანი მჟავაა და იწვევს ანთებასა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს. მართალია, საკვები პროდუქტების უმეტესობა **„ომეგა-6“-ს** შეიცავს და მის მიღებას ვერ ავცდებით, მაგრამ, თუ **„ომეგა-3“-ს** საკმარისად მივიღებთ, მაშინ ის **„ომეგა-6“-ს** გაანეიტრალებს!

საერთოდ, ბევრი ოკეანის თევზის მიღებას უფრთხის, რადგან მასში, ოკეანის დაბინძურების გამო, ვერცხლისწყლის შემცველობა შესაძლოა, მაღალი იყოს, ორაგული კი იმით არის გამორჩეული, რომ ვერცხლისწყალს თითქმის არ შეიცავს. **ეს განპირობებულია იმით, რომ ორაგულის ხორცი ძალიან მდიდარია სელენით, რომელიც სიცოცხლის ნამდვილი ელექსირია. სწორედ სელენი უშლის ხელს ორაგულის ორგანიზმში ვერცხლისწყლის მოხვედრას.** ორაგული მოხარშული სჯობს... ის კანიანად უნდა მივირთვათ, რადგან მისი კანის ქვეშ სასარგებლო ცხიმის მთელი ფენაა... ორაგული მდიდარია თუთიით, რომელიც გულისა და სისხლძარღვებისთვის აუცილებელია. ორაგულებს შორის გამორჩეულია **ნორვეგიული ორაგული,** ე.წ. „ნორვეგიული სიომგა“.

**— თქვენ ზემოთ ვირთევზას ღვიძლი ახსენეთ...**

— მართალია, ვირთევზას ღვიძლში ორაგულთან შედარებით, **„ომეგა-3“** ნაკლებია, მაგრამ, სამაგიეროდ, ის D ვიტამინის საბადოა. 4 გრამი ვირთევზას ღვიძლი სავსებით საკმარისია იმისათვის, რათა D ვიტამინის დღიური ნორმა შევივსოთ. ამიტომაც, **ვირთევზას ღვიძლი, რომელიც 85-გრამიან ქილებში იყიდება, ორ ნაწილად გავყოთ და კვირაში ორი დღის განმავლობაში მივირთვათ,** რაც სრულიად საკმარისია. **დიაბეტიანებისთვის ვირთევზას ღვიძლი მისწრებაა! ეს განპირობებულია იმით, რომ მასში ცხიმებისა და ცილების თანაფარდობა ხუთი ერთზეა, ანუ ერთ ნაწილ ცილაზე ხუთი ნაწილი ცხიმი, თანაც „ომეგა-3“ მოდის.** სწორედ ამის გამო ვირთევზას ღვიძლს დაბალინსულინური ინდექსი აქვს და ინსულინის დონეს დაბლა სწევს.

**— რას იტყვით ხორცეულობაზე და გულისთვის რისი ხორცია უფრო სასარგებლო — ფრინველის, საქონლის, ღორის, თხის, ცხვრის თუ ნადირის?**

— გულისთვის ყველაზე სასარგებლოა **საქონლის ცხიმიანი ხორცისგან** მომზადებული ბიფშტექსი. **საერთოდ,**

**მიიჩნევენ, რომ მჭლე ხორცი უფრო სასარგებლოა, ვიდრე ცხიმიანი, რაც არასწორი შეხედულებაა.**

როცა ხორცი ცხიმიანია, ცხიმის გამო მასში შემავალი ცილა წვრილ ნაწლავში დიდხანს რჩება, კუჭის წვენი და ნაღველი მასზე უფრო დიდხანს ზემოქმედებს, ამის გამო ხორცი უფრო კარგად გადამუშავდება და ადვილად მოსანელებელი ხდება. რაც შეეხება მჭლე ხორცს, იგი ნაწლავებში სწრაფად გადაადგილდება, სრულად ვერ იშლება და ძნელად მოსანელებელია. საქონლის ცხიმიანი ხორცი, სხვა ხორცეულობისგან განსხვავებით, დიდი რაოდენობით **ამინომჟავა გლუტამინს** შეიცავს, რომელსაც უძლიერესი ანთების საწინააღმდეგო მოქმედება გააჩნია. ორგანიზმისთვის ძალზე მავნეა ე.წ. **გლიკირების პროცესი,** როდესაც შაქარი ან ცხიმს უკავშირდება ან — ცილას. ასეთი ცხიმი ან ცილა ორგანიზმისთვის უვარგისია. თუნდაც **გლიკოზირებული ჰემოგლობინი** ავიღოთ, რომელიც შაქრიანი დიაბეტის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია. საქონლის ხორცი შეიცავს **კარნაზინს,** რომელიც გლიკირებას ამცირებს. ამიტომ საქონლის ხორცისგან მომზადებული ბიფშტექსი დიაბეტისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების დროს ძალიან სასარგებლოა.

**— ე.წ. ცუდი, ანუ დაბალი სიმკვრივის მქონე ქოლესტერინის სიჭარბე ინფარქტისა და ინსულტის ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელია. მილიონობით ადამიანი ქოლესტერინის დასაწევად სტატინების ჯგუფის ქიმიურ მედიკამენტებს ღებულობს, რომლებსაც უამრავი გვერდითი მოქმედება გააჩნია. რას იტყვით ამის შესახებ?**

— ეს ვრცელი თემაა და ამაზე სხვა დროს ვისაუბროთ! მხოლოდ ერთს ვიტყვი — **არსებობს ძალზე იაფი ვიტამინი, რომელიც ე.წ. ცუდ ქოლესტერინს დაბლა სწევს, ხოლო კარგ ქოლესტერინს — მაღლა.** ეს პრეპარატი ხსნის სისხლძარღვების ანთებას, ხელს უშლის მის კედლებზე ცხიმის დალექვას და გააჩნია უამრავი სასარგებლო თვისება.




**„ვირთევზას ღვიძლი, რომელიც 85-გრამიან ქილებში იყიდება, ორ ნაწილად გავყოთ და კვირაში ორი დღის განმავლობაში მივირთვათ!“**



**„რუკოლას სალათი, რომელსაც ზეითუნის ზეთი აქვს მოსხმული, გულსაც უხდება და ლიბიდოსაც ამაღლებს!“**

**„ვისაც გული აწუხებს და ინსულტი ან ინფარქტი ემუქრება, კვირაში ორ-სამჯერ 100-150 გრამი ორაგული მაინც უნდა მიირთვას!“**






**„იმ ქვეყნებში, სადაც ზეითუნის ზეთსა და თევზეულობას ჭარბად მოიხმარენ, კიბოთი დაავადებული პაციენტების რაოდენობა შესამჩნევად მცირეა!“**

**„გულ-სისხლძარღვთა სისტემას ძალიან უხდება ზეითუნის ზეთი, რომელიც ინსულტისა და ინფარქტის თავიდან ასაცილებლად ყველა კომპონენტს შეიცავს!“**

დასაწყისი იხ. „ა-დ“. 2023 წლის №11-54, 2024 წლის №1-2, 3, 4



# იგორ კვესელავა: შევარდნაძის ერთ-ერთი წინაპარი სწორედ ბოლნისში გახლდათ დასაფლავებული და მისი გვარი „შტეინ“-ზე მთავრდებოდა!

***ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იგორ კვესელავა აფხაზეთის ომის პერიპეტიებზე საუბრობს და ედუარდ შევარდნაძის შესახებ მორიგ სკანდალურ ინფორმაციას გვაწვდის:***

— შევარდნაძესთან რამდენჯერმე მქონია შეხვედრა, მათ შორის, პირისპირ, როცა, მაგალითად, ტექნიკურ უნივერსიტეტში მოვიდა. მის დას, ქალბატონ **ვენერა შევარდნაძეს,** რომელიც **ვარამაშვილზე** იყო გათხოვილი და გამომცემლობა „ცოდნის“ ბუღალტერიაში მუშაობდა, კარგად ვიცნობდი. **ედუარდი, ევგრაფი, ჰიპოკრატე და ვენერა** — ამ სახელების მატარებელი ადამიანები, როგორც ადრე მოგახსენეთ, თავიანთი ფესვებითა და წარმომავლობით დაკავშირებული იყვნენ ბერძნებთან და გერმანელებთან. კერძოდ, საუბარია ბერძენ **სოკოლიდებსა** და ძველ ლუქსემბურგში, ანუ დღევანდელ ბოლნისში 1817 წელს ჩამოსახლებულ გერმანელებზე. შევარდნაძის ერთ-ერთი წინაპარი სწორედ ბოლნისში გახლდათ დასაფლავებული და მისი გვარი **„შტეინ“**-ზე მთავრდებოდა!

**— მაშინ გამოდის, რომ ედუარდი ბერძენი კი არა, ებრაელი ყოფილა!**

— ამაში დასაძრახს ვერაფერს ვხედავ, რადგან ებრაელები უნიჭიერესი ხალხია. ერთი რამ დანამდვილებით ვიცი — მოსკოვში შევარდნაძეს **„ებრაელს“** ეძახდნენ და ამბობდნენ, რომ მას ებრაული წარმოშობა ჰქონდა! აი, მაგალითად, მე მყავდა უახლოესი მეგობარი, „კაგებეს“ პოლკოვნიკი, ქართველებზე უსაზღვროდ შეყვარებული რუსი პროფესორი, რომელიც მერე მოსკოვის კომერციული უნივერსიტეტის რექტორი გახდა. სწორედ მისგან და მისი გავლენიანი მეგობრებისგან არაერთხელ მსმენია, რომ შევარდნაძეს ებრაული წარმომავლობა ჰქონდა. სხვათაშორის, ერთხელ იმ ხალხის გარემოცვაშიც კი მომიწია ყოფნა, რომელიც მეტრო „ოქტიაბრსკაიასთან“ მდებარე სკვერში ვიაჩესლავ მოლოტოვს სისტემატურად ხვდებოდა და შეკითხვებს აძლევდა. მოლოტოვი მაშინ უკვე მოხუცი იყო, მაგრამ გონება ალმასივით უჭრიდა. ის ყველას შეკითხვებს არ პასუხობდა, ამიტომ, ვინც შეკითხვებს აძლევდა, იმას ვაკითხინე **„მეგრელთა საქმეზე“.** მოლოტოვმა განაცხადა, რომ პოლიტბიურომ „მეგრელთა საქმის“ შესახებ არაფერი იცოდა და ეს ყველაფერი 1951 წლის ნოემბერში გაზეთის საშუალებით შეიტყვეს, ანუ მოლოტოვმა მაშინ საქართველოში დასასვენებლად მყოფი სტალინისკენ გაიშვირა ხელი და თქვა, რომ ეს მისი ინიციატივა იყო!

**— შევარდნაძეს რა დადებითი თვისებები ჰქონდა?**

— შევარდნაძეს ერთი უნიკალური თვისება მართლაც ჰქონდა — **მოსმენა იცოდა!** მას შეეძლო, მოესმინა ძალიან დიდხანს, საუბარს არ გაგაწყვეტინებდა. გისმენდა, გისმენდა, დაგემშვიდობებოდა და შეადგენდა შენს პიროვნულ პორტრეტს. აი, ამის მიხედვით არჩევდა ის კადრებს. სწორედ შევარდნაძემ დაამკვიდრა საქართველოში არჩევნების გაყალბების ტოტალური სისტემა. 1992 წლის ოქტომბერში, ე.წ. „იმედის არჩევნების“ წინ, ბაკურ გულუას პარტია „ერთობის“ ეგიდით, რომელიც აკადემიკოს **ივერი ფრანგიშვილის** დაარსებული გახლდათ, სამეგრელოში ვიყავი. მოხდა ისე, რომ წალენჯიხის გამგებელმა **დავით ქანთარიამ,** რომელსაც შევარდნაძის თანაგუნდელი ვეგონე, გამანდო, თუ რა ჰქონდათ ჩაფიქრებული არჩევნების ტოტალურად გასაყალბებლად. **ქანთარიამ** მითხრა, რომ ზვიადისტების დასამარცხებლად „თადარიგი დაჭერილი“ იყო, კერძოდ, ყუთების წაღების დროს გამორთავდნენ დენს, შეცვლიდნენ ყუთებს, რომელშიც შევარდნაძის სასარგებლოდ შემოხაზული ბიულეტენები უკვე ჩაყრილი იყო და ა.შ. სწორედ ამ სქემით აყალბებდა „მოქალაქეთა კავშირი“ არჩევნებს. ზემოთ **ივერი ფრანგიშვილი** ვახსენეთ, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი იყო, მაგრამ ამავდროულად მოსკოვში **ტრაპეზნიკოვის სახელობის საიდუმლო ლაბორატორიასაც** ხელმძღვანელობდა. ამ ლაბორატორიის შეფად ცეკას ნომენკლატურის გარეშე არავინ ინიშნებოდა. პარალელურად **ივერი ფრანგიშვილი,** როგორც უძლიერესი მეცნიერი, ენერგეტიკის საკითხებში გენერალური კონსტრუქტორიც გახლდათ, რომელსაც შევარდნაძესთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა. ივერის ასევე კარგი ნაცნობობა აკავშირებდა რუსეთის პრემიერ-მინისტრ **ვიქტორ ჩერნომირდინთანაც,** რომელიც შევარდნაძემ საქართველოში ჩამოიყვანა. მის მოხერხებულობაზე მეტყველებს ის, რომ ჩერნომირდინს თბილისის აეროპორტში დაახვედრა **ივერი ფრანგიშვილი,** რომელიც წინა დღეს რუსეთის პრემიერს მოსკოვში, კაბინეტში სტუმრობდა. ჩერნომირდინმა ივერი თბილისში რომ დაინახა, კინაღამ გაგიჟდა — **თქვენ აქ რა გინდათ, გუშინ ხომ ჩემს კაბინეტში იყავითო?!** სხვათაშორის, ივერი ფრანგიშვილს **ჯორჯ ბუში (უფროსი)** ამერიკაში ქართველების შესახებ ესაუბრა...




**— როდის?**

— 80-იანი წლების მიწურულს, როცა **ბუში** ამერიკის ვიცე-პრეზიდენტი იყო, **ივერი ფრანგიშვილი,** როგორც გენერალური კონსტრუქტორი, შეერთებულ შტატებში მიიწვიეს. ბუშმა როგორც კი შეიტყო ივერის ქართველობის შესახებ, ასეთი ლაპარაკი წამოიწყო: **ქართველებს კარგად ვიცნობ, თქვენი სტუმართმოყვარეობა ცნობილია, მაგრამ ვერ ვხვდები, რატომ მოგაქვთ ათკაციან სუფრასთან ოცდაათი და ორმოცი კაცისთვის სამყოფი ხორაგი, ეს პროდუქტი ხომ გაფუჭდება და გადასაყრელი გახდება?** ამაზე ივერიმ ბუშს უპასუხა, რომ ქართველები ძალიან სტუმართმოყვარენი ვართ და ასე იმიტომ ვიქცევით! ამის შემდეგ ბუშმა ჩვენი აღზრდის სისტემა გააკრიტიკა: **ქართველები შვილებს თავისუფლებას უზღუდავთ და მათ ცხოვრებაში ერევით. აი, მაგალითად, მე ჩემს შვილებს არაფერს ვუკრძალავ და დამოუკიდებლად მუშაობაში ხელს არ ვუშლიო!**

**— ბუშს ისე კარგად შეუსწავლია ქართველები, მიკვირს, ზვიად გამსახურდია უფრო ადრე როგორ ვერ დაამხო!**

— ცხადია, ბუში **ივერი ფრანგიშვილს** იმას ეუბნებოდა, რა ინფორმაციაც ქართველების შესახებ სპეცსამსახურებისგან ჰქონდა. ივერი ფრანგიშვილის საიდუმლო ლაბორატორიაში იყო დანადგარები, რომლითაც სასწაულები კეთდებოდა. მაგალითად, ერთ-ერთ დანადგარში შეაცურებდნენ ფოტოსურათს და აპარატი იძლეოდა პიროვნების აბსოლუტურად ზუსტ დახასიათებას. ივერი ფრანგიშვილის საიდუმლო ლაბორატორიაში ათბალიანი სისტემით აფასებდნენ ადამიანების მიერ გამოსხივებულ ენერგიას. როგორც ივერი მეუბნებოდა, **ქრისტე** ფლობდა ამ ენერგიის 9,6 ბალს, ხოლო **ჯუნა დავითაშვილი** — 1,7 ბალს. მაგრამ მათ ჰყავდათ ერთი პიროვნება, რომლის ელექტრომაგნიტური გამოსხივება **2,7 ბალი** იყო. ეს ადამიანი, ფაქტობრივად, ლაბორატორიაში ცხოვრობდა და მეცნიერებთან ერთად იყო. როცა **ელცინს** პრეზიდენტად მეორე ვადით ირჩევდნენ და ძალიან ცუდად ჰქონდა საქმე, კრემლმა დახმარებისთვის სწორედ **ივერი ფრანგიშვილსა** და მის საიდუმლო ლაბორატორიას მიმართა!

**— როგორ, რანაირად?**

— როგორც **ივერი ფრანგიშვილისგან** ვიცი, მოსკოვის მაშინდელ მერს **იური ლუჟკოვს** ძალიან მაღალი რეიტინგი ჰქონდა, რასაც ელცინზე ვერ ვიტყვით. სწორედ ასეთ სიტუაციაში ივერიმ და მისმა ხელქვეითებმა მოძებნეს უნიკალური გამოსავალი და საარჩევნო პლაკატებზე ელცინის გვერდით გამოსახეს იური ლუჟკოვი. ივერიმ მითხრა — **ადამიანი ფოტოზე გამოსახულ რეიტინგულ ფიგურას რომ ხედავს, მის გვერდით ვინც გინდა იყოს, გარკვეული დროის შემდეგ ავტომატურად ხმას მაინც მისცემსო!** მართლაც ასე მოხდა და ელცინმა საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა. სხვათაშორის, **ბორის ბერეზოვსკი** ივერი ფრანგიშვილთან ერთ-ერთი განყოფილების ხელმძღვანელი იყო. ივერიმ ესეც მითხრა — **ბერეზოვსკის ფული უყვარდა, სადღაც ციმბირში წავიდა, ზეწრები იყიდა და ზღვისპირეთში ძვირად გაყიდა, რის გამოც დაიჭირეს, ხოლო ჩვენ კედლის გაზეთში გავწერეთ და გავამათრახეთო!**

## „რუსებმა იმ საშინელ და ტრაგიკულ დროს, როცა სოხუმი უკანასკნელ საათებს ითვლიდა, განკარგულება გასცეს — შევარდნაძის თვითმფრინავს არ ესროლოთო!“


ბორის ელცინი


ივერი ფრანგიშვილი

## „როცა ელცინს პრეზიდენტად მეორე ვადით ირჩევდნენ და ძალიან ცუდად ჰქონდა საქმე, კრემლმა დახმარებისთვის სწორედ ივერი ფრანგიშვილსა და მის საიდუმლო ლაბორატორიას მიმართა!“



# გურამ შარაძე:

## არაერთხელ მინახავს კამუფლაჟში ავტომატდამალული პროფესორი ნოდარ ლომოური, რომელიც დარბოდა და ხალხს აწამებდა!




**— ეს ყველაფერი ძალიან საინტერესოა, მაგრამ მივუბრუნდეთ ისევ და ისევ შევარდნაძეს.**

— **შევარდნაძემ** დაუშვა გამოუსწორებელი შეცდომა და 1993 წლის 1 სექტემბერს, როცა სწავლა თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში არ იყო დაწყებული, სოხუმში სასკოლო სეზონი გახსნა. ამან გამოიწვია სოხუმში სტუდენტებისა და მათი მშობლების მასობრივი ჩასვლა, რასაც, რა თქმა უნდა, მოჰყვა დიდი მსხვერპლი. ბუნებრივად დაისმის კითხვა — კი მაგრამ, რატომ გააკეთა ეს შევარდნაძემ? ამას ერთადერთი ახსნა აქვს — გავიხსენოთ, რას ამბობდა მთელი აფხაზეთის ომის განმავლობაში შევარდნაძე — **მე სოხუმიდან ფეხს არ მოვიცვლი, სულ აქ ვიქნები, ქალაქი ისეა გამაგრებული, ჩიტიც კი ვერ შემოფრინდებაო!** შევარდნაძეს, რომელიც გაიძახოდა — **სოხუმიდან ფეხს არ გავადგამო!** — ცხადია, სოხუმში სჭირდებოდა ხალხი. ამიტომ მან სწავლა სოხუმში დააწყებინა 1993 წლის 1 სექტემბერს, ხალხი სოხუმში შეიტყუა და დაღუპა უამრავი ადამიანი!

სოხუმის აეროპორტის უფროსი **ზაურ ხაინდრავა** ჩემი უახლოესი მეგობარი იყო მარტვილიდან. ზაურს ხომ ყველაფერი ესმოდა და იცოდა და სწორედ მისგან ვიცი, რომ რუსებმა იმ საშინელ და ტრაგიკულ დროს, როცა სოხუმი უკანასკნელ საათებს ითვლიდა, განკარგულება გასცეს — **შევარდნაძის თვითმფრინავს არ ესროლოთო!** ზაურ ხაინდრავა ზვიად გამსახურდიას ერთგული მომხრე იყო... მისგან ისიც ვიცი, რომ 1993 წლის 26 სექტემბრის ღამეს შევარდნაძე იქაურობას გამოარიდეს და აეროპორტში გადმოიყვანეს, რათა სოხუმიდან კომფორტულად გამოქცეულიყო, ხოლო საწყალი **ჟიული შარტავა** შეატოვეს მტერს და მოუსწრაფეს სიცოცხლე.

**— რატომ დაიწყო შევარდნაძემ 1993 წლის მაისში კოდორის ხეობაში ასასვლელი გზის მშენებლობა და რატომ გაუშვეს ხალხი ჭუბერის უღელტეხილით?**

— ეს ხომ უმარტივესი ასახსნელია?! შევარდნაძის უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მსტოვრები სოხუმიდან გამოქცეულ ხალხს გზაში ხვდებოდნენ და ჭუბერისკენ მიუთითებდნენ — გზა ზუგდიდისკენ ჩაკეტილია და ასე წადითო! ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ იმ ხალხს, რომელიც დევნილად იქცა, ყველას იარაღი ჰქონდა. შევარდნაძე შიშობდა — ისინი რომ სამეგრელოში შემოსულიყვნენ, დიდი ნაწილი ზვიად გამსახურდიას მომხრე შეიარაღებულ ძალებს შეუერთდებოდა. აქედან გამომდინარე, შევარდნაძის უპირველესი ამოცანა ამ ხალხის სამეგრელოსთვის მოშორება და ჭუბერის გოლგოთისკენ გადასროლა იყო. არადა, ამ დროს ზუგდიდი თავისუფალი გახლდათ და არავითარი გზა ჩაკეტილი არ ყოფილა. ამასთანავე გალი არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩაბარებულიყო... იქაური მოსახლეობა იხვეწებოდა — **მოგვეცით იარაღი, მოგვეცით იარაღი!** მაგრამ არავითარი იარაღი გალელებს არ დაურიგეს, რადგან შევარდნაძეს აქაც ეშინოდა, რომ ეს იარაღი ზვიად გამსახურდიას მომხრეთა ხელში აღმოჩნდებოდა! სხვათაშორის, იმავე ჭუბერის უღელტეხილზე, სადაც უამრავი ადამიანი დაიღუპა და მშობლებმა თავიანთი მცირეწლოვანი შვილები დამარხეს, შევარდნაძის მსტოვრებს — უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს — ხშირად ესმოდათ შეძახილი — **„წყეულიმც იყოს შევარდნაძე!“** შევარდნაძე საქართველოში ატარებდა პროტექციონისტულ და ფეოდალურ პოლიტიკას. კერძოდ, ედუარდის თხუთმეტი მინისტრიდან რვა გურული იყო!

**— სხვათაშორის, ნოე ჟორდანიაც ასე იქცეოდა!**

— იმიტომაც იყო, სტალინმა რომ შეუთვალა ნოე ჟორდანიას — **ეს საქართველოს კი არა, გურულების მთავრობა იყოო!** დღეს საქართველოს 500 მილიონერი ჰყავს და აქედან 400 კაცს სწორედ შევარდნაძემ აშოვნინა ფული! ცხონებული **გურამ შარაძე** ამბობდა — **არაერთხელ მინახავს კამუფლაჟში ავტომატდამალული პროფესორი ნოდარ ლომოური, რომელიც დარბოდა და ხალხს აწამებდა!** ცხონებულ გურამს ეკუთვნის შემდეგი სიტყვებიც — **„მე პასუხს ვაძლევ მე-20 საუკუნის საქართველოს კიბოს, შაჰ-აბას თენგიზ სიგუას!“**

**— საინტერესოა, ბატონი გურამი შევარდნაძის პერსონას როგორ აფასებდა?**

— შევარდნაძის შესახებ **გურამ შარაძე** ამბობდა — **„შევარდნაძე არის დიდი პოლიტიკური წარსულის მქონე პოლიტიკოსი. მას გააჩნია პოლიტიკური ალღო, ალღოზე მეტად კი ქართველი კაცისთვის დამახასიათებელი ინტუიცია. შევარდნაძე გონებით კი არა, ინტუიციით მართავდა!“**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

# „შევარდნაძემ დაუშვა გამოუსწორებელი შეცდომა და...“

### კვირის ფოსტა

***ამ წერილის დაწერა გადამაწყვეტინა თქვენს გაზეთში გამოქვეყნებულმა იგორ კვესელავას სტატიებმა, რომლებშიც აღწერილია, თუ როგორ ებრძოდა ზვიად გამსახურდიას შევარდნაძის ხროვა და მისი წითელი ინტელიგენცია. ამ სტატიებში ხსენებულ პირთაგან ზოგი ცოცხალია, ზოგიც — მკვდარი. სხვანაირად ვერ მოვიხსენიებ მათ, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობას ტყვია ესროლა.***

ამ წერილის მიზანია, მოვუწოდო ამ ადამიანებს, გამოვიდნენ და აღიარონ დანაშაული, რომელიც მიუძღვით სამშობლოსა და ღვთის წინაშე ან თქვან, რომ ეს ყველაფერი მონაჭორია. მათ ჭირისუფლებსაც მივმართავ, გამოვიდნენ და შეაფასონ წინაპართა ნამოქმედარი, რათა ცოდვა შთამომავლობას არ გადაეცეს. **სამართალს ვერავინ დაემალება — ვერც შევარდნაძეები, ვერც კილურაძეები, ვერც ლომოურები...** აქვე მადლობას ვუხდი ბატონ **იგორ კვესელავას** პირუთვნელი და ვაჟკაცური მოქმედებისთვის.

ახლა ჩემზედაც მოგახსენებთ: ვარ ერთი გლეხკაცი, 84 წლის. მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში ჩართული ვიყავი ეროვნულ მოძრაობაში. **მე ბევრი რამ ვიცი და ჩემს თავზეც გამოვცადე იმ ჯოჯოხეთური ეპოქის საშინელებანი. ახლანდელ დროზედაც ბევრი მაქვს სათქმელი.**

თუ დაგაინტერესებთ, დამიკავშირდეს თქვენი რომელიმე ჟურნალისტი, რომელსაც მინდა, გული გადავუშალო.

***ფრიდონ გაბრიელის ძე წითელაშვილი***

***ზესტაფონის რაიონის სოფელი ტაბაკინი***

# მიხეილ გარეკილმა პატიმრობიდან თავის დასაღწევად ქართველ ხალხს აჯანყებისაკენ მოუწოდა!



## მიხეილ სააკაშვილი:

# ქართველმა ხალხმა ახლავე უნდა დამიხსნას!

***ხანგრძლივი პაუზის შემდეგ სააკაშვილმა „ვივამედის“ კლინიკიდან ისეთი მგზნებარე მოწოდება მოსცხო, გეგონება, ეს-ესაა, საცივის თეფშიდან ამოყო თავი და ნაბახუსევზე აბოდებსო!***

მოკლედ, ნათლისღებას ისე, რომ ეს დიდი რელიგიური დღესასწაული არც გახსენებია, სააკაშვილმა თავის ფეისბუქზე უტიფრად განაცხადა:

> ***„ის, რომ მე პოლიტპატიმარი ვარ, იცის მთელმა მსოფლიომ. გამასამართლეს და მასამართლებენ თავიდან ბოლომდე თითიდან გამოწოვილი, გამოგონილი ბრალდებებით“.***

სააკაშვილის **პოლიტპატიმრობას** მართლა მთელი მსოფლიო რომ აღიარებდეს, აქამდე ის ტრიუმფით გათავისუფლებული იქნებოდა, მაგრამ არც ამერიკის, არც ბრიტანეთის და არც ევროკავშირის არცერთ ლიდერს მინიშნებითაც კი არ უთქვამს, სააკაშვილი პოლიტპატიმარი არისო.

და ისევ სააკაშვილის საახალწლო თავის მოწონების მეორე რაუნდი:

> ***„მე კარგის გარდა არაფერი გამიკეთებია ჩვენი ქვეყნისთვის. მასამართლებენ იმისთვის, რომ საქართველოს სახელი მთელ მსოფლიოში გავიტანე, ქვეყანა კრიმინალისა და სიღარიბის ჭაობიდან გამოვიყვანე, გავანათე და სახელმწიფო ჩამოვაყალიბე“.***

აქაც მარტივი პასუხია: სააკაშვილს საქართველოსთვის კარგის მეტი რომ არაფერი გაეკეთებინა და ის მართლაც ქართული სახელმწიფოს **დამფუძნებელი მამა** ყოფილიყო, ქართველი ხალხი მას დაპატიმრებისთანავე შტურმით გაათავისუფლებდა! ის კი არა, სააკაშვილს უკრაინიდან არაჟნის კონტეინერში ვირთხასავით შემოპარვაც არ დასჭირდებოდა, რადგან მადლიერი ერი ხელში აყვანილს შემოიყვანდა საქართველოს საზღვარზე!

და აი, ნაცფიურერის მესამე აბზაცი:

> ***„მასამართლებენ იმისთვის, რომ 2008 წელს არ გავიქეცი და სახელმწიფო შევინარჩუნე“.***

აქ ალბათ, სააკაშვილს იმის თქმა სურდა, რომ კი არ გაქცეულა, უბრალოდ, 10 აგვისტოს უშნოდ დაგდებულ ქვას წამოჰკრა ფეხი.

შემდეგ სააკაშვილი გადადის პუტინზე — აქაოდა, იმისთვის დამაპატიმრა, რომ არათუ საქართველო არ ჩავაბარე, არამედ ყველაზე კრიტიკულ პერიოდში მისთვის ასეთი სასურველი ოდესის ოლქი რუსთხელმწიფეს კლანჭებიდან გამოვგლიჯეო:

> ***„დამაპატიმრა იმისთვის, რომ მე ვარ ერთ-ერთი მთავარი რეგიონალური ლიდერი და თავისუფალი სამყაროს ლიდერი ზელენსკის თანამებრძოლი“.***

მგონი, ეს უკვე მართლა ფსიქიატრების კლიენტია — **„მანია გრანდიოზა“ და შიზოიდური მოჩვენებები — ერთ კოქტეილში!**

დაბოლოს, სააკაშვილის მგზნებარე მოწოდების დასკვნითი აკორდი:

> ***„ქართველმა ხალხმა უნდა გაითავისუფლოს თავი და უნდა გამათავისუფლოს მეც. ახლავე უნდა დამიხსნას პატიმრობიდან, რათა შევძლო უფრო ეფექტურად დახმარება!“***

გაიგეთ — **ახლავე უნდა დამიხსნას ქართველმა ხალხმა პატიმრობიდანო!** ანუ ხაბეიშვილმა ნაცსექტით ვერ შეძლო „ვივამედის“ კლინიკის შტურმით აღება და ახლა ეს ქართველმა ხალხმა უნდა გააკეთოსო! თანაც ახლავეო!

## სამწუხაროდ, მიხეილ გარეკილს აღარ დაუკონკრეტებია, ქართველმა ერმა „ვივამედის“ შტურმი იანვრის ბოლოს უნდა დაიწყოს თუ მაინც თებერვლის რევოლუცია ურჩევნია!

***გიორგი გიგაური***




# შევარდნაძის საიდუმლო

## როგორ გადააქცია ედუარდ შევარდნაძემ საქართველო საბჭოთა კავშირში „ლიბერალიზმის ოაზისად“!

დასაწყისი იხ. „ა-დ“. 2023 წლის №46-49, 51-52, 2024 წლის №1-2, 3, 4

***ალბათ ბევრ ჩვენგანს სმენია — ისეთი განცდა მაქვს, საქართველოს ისევ შევარდნაძე მართავსო, ანუ 1972 წლიდან მოყოლებული, როდესაც შევარდნაძე საბჭოთა საქართველოს ლიდერი გახდა, უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, საქართველოში ყველაფერი თითქოს სწორედ შევარდნაძის გარშემო ტრიალებს — მისი გარდაცვალებიდან ლამის ათწლეულის გასვლის შემდეგაც კი. ამიტომ იმის გააზრება, ამ 50 წლის განმავლობაში რა მოხდა, რა ხდება და რა მოხდება მომავალში, სწორედ „შევარდნაძის საიდუმლოს“ ამოხსნით თუ შეიძლება.***

**ედუარდ შევარდნაძე** მას შემდეგ, რაც ჯერ კიდევ სტავროპოლის მხარის პარტიულ თავკაცს **მიხეილ გორბაჩოვს** გაენდო, რომ საბჭოთა კავშირში ყველაფერი დალპა, თავის მემუარებში პირდაპირ წერს, როგორ დაისახა მიზნად საბჭოთა კავშირის ლიბერალიზაცია. ამის საცდელ პოლიგონად, რა თქმა უნდა, მის დაქვემდებარებაში მყოფი საბჭოთა საქართველო იქცა:

***„ამა თუ იმ პოლიტიკური ნაბიჯით, ზოგჯერ მეორეხარისხოვნის დათმობით, ზოგჯერ პიროვნული თავმოყვარეობის დათმობის ხარჯზეც, მაინც ვახერხებდი, მიმეღწია დამოუკიდებლობის იმ ხარისხისთვის, რომელიც მინიმალურად მაინც შესაძლებელი იყო საბჭოთა სინამდვილეში — იქნებოდა ეს კორუფციასთან საკმაოდ ეფექტიანი ბრძოლა, საბაზრო ეკონომიკის ტიპის წარმატებული ექსპერიმენტები, რესპუბლიკის მასშტაბით საბჭოთა ცენზურის შერბილება, სახელმწიფო პოლიტიკაში ხალხთან უშუალო დიალოგის გათვალისწინება, ებრაელთა საკითხის უპრეცედენტო გადაწყვეტა და ა.შ.***

***დიახ, უკვე მაშინ (მოსწონს ეს ზოგიერთ ჩემს „თავგამოდებულ“ კრიტიკოსს თუ არა) საბჭოთა კავშირის მასშტაბით, საქართველო ლიბერალიზმის ოაზისად გადაიქცა“*** *(ე. შევარდნაძე, „ფიქრი წარსულსა და მომავალზე“, გვ. 60).*

როგორც მემუარისტი აღწერს, ეს ლიბერალიზაცია იმდენად მასშტაბური იყო, რომ სხვადასხვა რესპუბლიკიდან სწორედ საქართველოში ჩამოდიოდნენ ხელოვანები „სულის მოსათქმელად“:

***„ყოველივე ეს მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ ქართული კულტურისა და ქართული ცხოვრებისთვის, არამედ რუსული კულტურისთვისაც. ჩვენთან სულის მოსათქმელად რუსეთიდან მოეშურებოდნენ იქ შერისხული პოეტები — ბორის პასტერნაკი, ევგენი ევტუშენკო, ბელა ახმადულინა, ანდრეი ვოზნესენსკი და სხვები. სწორედ აქ იბეჭდებოდა ყველაფერი ის, რაც იმ დროისთვის მოსკოვში დღის სინათლესაც ვერ ეღირსებოდა...“*** *(იქვე, გვ. 61).*

იგივე ხდებოდა მეცნიერებაშიც: **შევარდნაძე** ახსენებს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში შექმნილ ე.წ. ლიბერალურ ფილოსოფიურ სკოლას — **მერაბ მამარდაშვილის, ნიკო ჭავჭავაძის თუ გურამ თევზაძის** (ცნობილი სოროსელის, სააკაშვილის მმართველობისას ილიაუნის რექტორის **გიგი თევზაძის მამის**) მეთაურობით:

***„ბუნებრივია, ეს არ მოსწონდათ. ერთხელაც მორიგი ცილისმწამებლური კამპანია ატყდა. საკავშირო პარტიის ცეკაში ერთი ამბავი იყო, მოსკოვი კომისიას კომისიაზე აგზავნიდა. საქართველოშიც გამოჩნდა ხალხი, ვინც ამ ყველაფერში მარქსიზმის საფუძვლების ხელყოფას ხედავდა და მოსკოვს „სიგნალებს“ უგზავნიდა“*** *(იქვე, გვ. 61).*

**შევარდნაძე** კიდევ ერთი მაგალითი მოჰყავს, როგორ „ლიბერალურ ოაზისად“ გადააქცია საბჭოთა საქართველო:

*„მხოლოდ ერთ ფაქტს დავიმოწმებ“ ქართული პროზის კლასიკოსის, დიდი ქართული რომანის „დათა თუთაშხიას“ ავტორის ინტერვიუდან:*

***„1972 წლის მაისის დასაწყისში მანქანიდან ნაბეჭდი და ვეებერთელა ტომეულად აკინძული „დათა თუთაშხია“ „ცისკარში“ ჯანსუღ ჩარკვიანთან, ანუ ჟურნალის მთავარ რედაქტორთან მივიტანე, მაგიდაზე დავუდე და ვუთხარი: ჯანსუღ, ძმაო, არა მგონია, ჩვენს დროში ამის დაბეჭდვა გაბედოთ. ამის გამოქვეყნება, ვფიქრობ, თხუთმეტიოცი წლის შემდეგ მოხერხდება, მაგრამ, გთხოვ, წაიკითხო და აზრი მითხრა. ვღელავ, ერთ კვირაში მოვალ... თოთხმეტი თუ თხუთმეტი მაისი იყო, მივედი. ვკითხე, წაიკითხემეთქი? ყველამ წავიკითხეთ და მეექვსე ნომრიდან ბეჭდვას ვიწყებთო“*** *(იქვე, გვ. 61).*

შევარდნაძე იქვე, **სერგო ფარაჯანოვის** სკანდალურ ისტორიასაც ჰყვება:

***„ერთხელ, მოსკოვში ყოფნისას უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვლადიმერ შჩერბიცკიმ გამაფრთხილა, უკრაინაში ვინმე ფარაჯანოვი იხდის სასჯელს და შეიძლება, ვადაზე ადრე გაათავისუფლონო. ისიც დაამატა, რომ ფარაჯანოვი განსაკუთრებულ „აღრიცხვაზეა“ საკავშირო ორგანოებში და ცალკეული უკრაინელი მოდისიდენტო შემოქმედები მასთან გარკვეულ ურთიერთობაში არიანო. ლაპარაკი იყო სერგო ფარაჯანოვზე, შემდგომში მსოფლიოში აღიარებულ დიდ ხელოვანზე...***

*ჩემი მეგობრებისგან ვიცოდი, ვინ იყო* ***ფარაჯანოვი...*** *ვენდობოდი იმ ადამიანებს და მართალია, მაშინ პირადად მას არ ვიცნობდი, მაგრამ მიმაჩნდა, რომ იგი უნდა დაბრუნებულიყო საქართველოში და აქ გაეგრძელებინა შემოქმედებითი მოღვაწეობა.*

***საქართველოს უშიშროების სამსახური კატეგორიული წინააღმდეგი იყო მისი დაბრუნებისა. ვიცოდი, რომ ისინი მოსკოვშიც ელაპარაკნენ მაღალი თანამდებობის პირებს, მაგრამ იქ უპასუხეს, რომ არსებობს სიტყვიერი შეთანხმება შჩერბიცკისა და შევარდნაძეს შორის ფარაჯანოვის თბილისში დაბრუნების თაობაზე“*** *(იქვე, გვ. 64).*

მოკლედ, **ფარაჯანოვი** მართლაც დაბრუნდა თბილისში და პირადად შევარდნაძის მითითებით კინოსტუდიაში დაასაქმეს!

თუმცა, როდესაც 1980 წელს მოსკოვში ცნობილი რუსი ბარდი **ვლადიმერ ვისოცკი** გულით გარდაიცვალა, ფარაჯანოვმა, როგორც ვისოცკის უახლოესმა მეგობარმა, ეს ხელისუფლებას დააბრალა, **ვისოცკი** მოკლესო:

***„ეს უკვე ღია გამოწვევა იყო. პასუხმაც არ დააყოვნა. ფარაჯანოვი პროვოკაციას წამოეგო და უკვე არა მოსკოვში, არამედ თბილისში დააპატიმრეს. მაშინ საქმეში ვერ ჩავერიე. იურიდიულად ყველაფერი ზუსტად იყო გათვლილი...***

***ერთადერთი გზა სერგო ფარაჯანოვის ციხიდან დახსნისა საქართველოს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მიერ მისი შეწყალება იყო. ჩემი თხოვნით, სერგო ფარაჯანოვის საკითხი შეწყალების კომისიაზე განიხილეს და რეჟისორი, გამონაკლისის სახით, ვადაზე ადრე გაათავისუფლეს“*** *(იქვე, გვ. 65).*

**შევარდნაძე** იმასაც ჰყვება, რომ **ფარაჯანოვს** ერთხელ სახლშიც ესტუმრა — ოღონდ, წინასწარ გააფრთხილა უშიშროების კომიტეტის მაშინდელი თავმჯდომარე **ალექსი ინაური,** რადგან კარგად იცოდა, რომ ფარაჯანოვი სპეცსამსახურების მუდმივ კონტროლზე იყო და, რა თქმა უნდა, მის სახლსაც 24 საათის განმავლობაში უთვალთვალებდნენ:

***„ფარაჯანოვთან ახლო ურთიერთობა არ მქონია. სულ ერთხელ ვარ მასთან სახლში ნამყოფი, თბილისის ძველ უბანში, მთაწმინდაზე, კოტე მესხის ქუჩაზე. ამ სახლს ამჟამად მემორიალური დაფა აქვს და, ადრე თუ გვიან, მუზეუმიც გაიხსნება. შეიძლება ახლა ძნელი დასაჯერებელი იყოს, მაგრამ მაშინ საქართველოს უშიშროების მინისტრი ინაური წინასწარ გავაფრთხილე, რომ ფარაჯანოვთან სახლში ვაპირებდი მისვლას.***

***მერე მასთან ერთი-ორჯერ კინოსტუდიაშიც ვიყავი. ეგ იყო და ეგ...***

***მენანება ის ყოველი წუთი და წამი, სერგო ფარაჯანოვმა დიდი ხელოვანის ცხოვრებით რომ ვერ იცხოვრა. ამაში კი, გარემოებათა გარდა, თვით ადამიანები იყვნენ დამნაშავე. ეს, ერთდროულად, იმ დროის და მისი პირადი ტრაგედია გახლდათ...“*** *(იქვე, გვ. 66).*

მოკლედ, შევარდნაძე ამ ყველაფერს იმიტომ ჰყვება, რომ დაამტკიცოს, როგორ ედგა გვერდში კულტურას, ხელოვნებას, მწერლობას, კინოს...

რა თქმა უნდა, არც უამისობაა — მისი პირველკაცობისას საქართველოში მართლაც ბევრი რამ ისეთი ხდებოდა, რაც დანარჩენ საბჭოთა რესპუბლიკებში და თვით მოსკოვსა თუ ლენინგრადშიც წარმოუდგენელი იყო!

მაგრამ, აქ არის ერთი **„მაგრამ“** — თან, ძალიან დიდი:

საბჭოთა საქართველოში ეს **„ლიბერალიზმის ოაზისი“** პერსონალურად შევარდნაძის გმირობით და თავგანწირვით არ გაშენებულა — ერთი მარტივი მიზეზის გამო:

**მაშინ, კრემლში რომ არ სდომოდათ, ვერც ფარაჯანოვი გადაიღებდა კინოს თბილისში, ვერც „დათა თუთაშხია“ დაიბეჭდებოდა და ვერც თენგიზ აბულაძის „მონანიებას“ გადაიღებდნენ.**

უბრალოდ, ეს იყო საბჭოთა კავშირის იდეოლოგიური ბრძოლა დასავლეთთან, რომელიც საბჭოეთს „ხალხების დიდ საპყრობილეს“ უწოდებდა! ჰოდა, სწორედ ამის საპასუხოდ იყო გაკეთებული საბჭოთა კავშირის ეს „ქართული ვიტრინა“ — პატარა ფანჯარა, სადაც გამოფენილი იყო „ლიბერალური ნაკეთობები“ — აი, ჩვენც გვაქვსო...

და საქართველოც იმიტომ იყო საამისოდ შერჩეული. ჯერ ერთი, ქართველებს შესაბამისი ნიჭიც ჰქონდათ და, მეორეც, ეს იყო ერთგვარი „თავისუფლების ილუზია“ თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხისთვის — მთლად, „ხალხთა საპყრობილეში“ რომ არ ეგრძნოთ თავი!

**ჰოდა, შევარდნაძე აი, ამ „საჩვენებელი გამოფენის“ დირექტორი იყო — და, აშკარად, წარმატებულიც!**

***გიორგი გიგაური***

***გაგრძელება იქნება***

## კვირგვინოსნები



**გურამ მაჭარაშვილი**
*„ხალხის ძალის“ ერთ-ერთი ლიდერი*

დღეების დათვლას, კარგი იქნებოდა, **ხაზარაძეს ის თანხა და ქონება დაეთვალა, რომელიც საზოგადოებას უნდა დაუბრუნოს. ტელევიზიით თქვა — ბიძინა ივანიშვილს საქართველოში დაახლოებით 289 დღე დარჩაო.** შე დალოცვილო, ბანკირი კაცი ხარ და „დაახლოებით“ როგორ უნდა თქვა?

„პირველი არხი“



**ლევან იოსელიანი**
*საქართველოს სახალხო დამცველი*

როგორც კი სახალხო დამცველი გავხდი, **სააკაშვილი მაშინვე მოვინახულე.** სააკაშვილმაც იცის, რომ სურვილის შემთხვევაში **დამატებითაც ექნება სახალხო დამცველის ნახვის საშუალება.**

„კვირის პალიტრა“



**მიხეილ სააკაშვილი**
*პატიმარი*

**ქართველმა ხალხმა პატიმრობიდან ახლავე უნდა დამიხსნას!**

„ტაბულა“



**თამარ ჩერგოლეიშვილი**
*„ევროპული საქართველოს“ წევრი*

**ვერ ერთიანდებიან** მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ **პირველობას ვერ იყოფენ.**

„საქართველოს რესპუბლიკა“



**გიგა ბოკერია**
*„ევროპული საქართველოს“ თავმჯდომარე*

**სტალინისა და მისი იმპერიის განდიდება,** ცალსახა ბოროტებად არშეფასება ჩვენი მტრის, **პუტინის რუსეთის პროპაგანდის განუყოფელი ნაწილია.**

„ახალი თაობა“

**_სააკაშვილისა და ნაცსექტის მიერ ქვეყანაში ჩატარებული ნგრევის მეტასტაზები სად არ შეგვახსენებს თავს. მაგალითად, გარყვნილმა ნაცფიურერმა თბილისში მარჯანიშვილის №9-ში მდებარე სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდია „რაკურსის“ სამსართულიანი შენობა მიწასთან მხოლოდ იმიტომ გაასწორა, რომ ცნობილმა კინოდოკუმენტალისტებმა დავით და ბექა ცინცაძეებმა სააკაშვილის მიერ მარჯანიშვილზე უხარისხოდ ჩატარებულ სარემონტო სამუშაოებს ფილმი „გიბსოკარდონი“ უძღვნეს. უსამართლოდ დაჩაგრული ქართველი კინორეჟისორები იმედოვნებენ, რომ 2024 წლის 7 თებერვალს ჩანიშნული სასამართლო პროცესი სამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებს და დაზარალებულები 13 წლის შემდეგ მაინც მოახერხებენ იმ ქონების დაბრუნებას, რომელიც მათ სააკაშვილმა ერთ ღამეში დაუნგრია!_**



# დავით ცინცაძე:

# მას შემდეგ, რაც „წითელი ჯვარი“ კორუფციაში ვამხილეთ და ფილმი „გიბსოკარდონი“ გადავიღეთ, სააკაშვილმა „პირველ არხზე“ გადაცემაც დაგვიხურა და სტუდიის შენობაც დაგვინგრია!

**დავით ცინცაძე**, _კინორეჟისორი:_ — მამაჩემი **ლევან ცინცაძე** ცნობილი კინოდოკუმენტალისტი იყო, რომელმაც, თავის გუნდთან ერთად, საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების **სტუდია „მემატიანე“** შემოუნახა. აქ მამაჩემი, ფაქტობრივად, ერთადერთ კრიტიკულ და დისიდენტურ გადაცემას აკეთებდა — **„ადამიანი და კანონი“.** საქართველოში **ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილი** რომ ჩამოვიდა, მამაჩემი მაშინ უკვე „მემატიანის“ ბაზაზე შექმნილ სტუდია **„რაკურსს“** ხელმძღვანელობდა, რომელიც ჩვენია. „რაკურსის“ გარდა გენერალს გადასაღებად სხვა არავინ მიაკარეს. მე-20 საუკუნის 70-იან წლებში ამერიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე თბილისში რომ ჩამოვიდა, მოითხოვა, რომ მისი ვიზიტი მხოლოდ სტუდია „მემატიანეს“ გადაეღო. თუკი რამ კინოარქივი გვაქვს, სუყველაფერი სწორედ „მემატიანის“ და მისი გაგრძელება „რაკურსის“ გადაღებულია. ჩვენ გვაქვს აფხაზეთისა და თბილისის ომის უნიკალური კადრები და ყველა იმ უბედურების ამსახველი ვიდეომასალა, რაც უკანასკნელ ათწლეულებში თავს დაგვატყდა. საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, რაკი კინოფილმებს ვეღარ იღებდნენ, გადაწყდა, კინემატოგრაფისტებისთვის გამოეყოთ კომერციულად მომგებიანი ფართები, სადაც შენობის გაქირავების გზით მიღებული შემოსავლებით კინოს გადაღებაც შესაძლებელი იქნებოდა. ასე დაყვეს დიდი კინოსტუდია ხუთ პატარა კინოსტუდიად. ერთს ხელმძღვანელობდა **ელდარ შენგელაია,** მეორეს — **ლანა ღოღობერიძე,** მესამეს — **მერაბ კოკოჩაშვილი,** მეოთხეს — **გიორგი შენგელაია,** ხოლო მეხუთეს — მამაჩემი **ლევან ცინცაძე.** ეს უკანასკნელი სამეცნიერო-პოპულარული ფილმების ერთადერთი სტუდია იყო კავკასიაში.

**— სად მდებარეობდა სტუდია „რაკურსი“?**

— სტუდიის სამსართულიანი შენობა მდებარეობდა **მარჯანიშვილის №9-ში,** რომელიც ჩვენი სახსრებით ავაშენეთ და ყველაფერი კანონიერად გვქონდა გაფორმებული. სააკაშვილი და ნაცები მოვიდნენ თუ არა, დაგვიწყეს ასეთი საუბრები — **„ასეთ მაგარ ადგილზე რატომ ხართ?“** მოკლედ, გვიჩხიკინებდნენ... მაშინ ჩვენ საქართველოს ტელევიზიის „პირველ არხზე“ გვქონდა გადაცემა — **„თბილისის დროით“.** გადაცემისთვის გადავიღეთ დოკუმენტური ფილმი „წითელი ჯვრის“ შესახებ, საც დავასაბუთეთ, რომ წლების განმავლობაში ამ ორგანიზაციას საქართველოში ხალხისთვის გადასაცემი დაახლოებით 300 მილიონი დოლარი შეჭმული ჰქონდა. საქმე ეხებოდა უდიდეს კორუფციულ სკანდალს. მოკლედ, სანამ ჩვენს მიერ მომზადებული დოკუმენტური ფილმი „პირველ არხზე“ გავიდოდა, მანამდე მოხდა ე.წ. „ვარდების რევოლუცია“ და „წითელ ჯვარში“ არსებული კორუფციის შესახებ ჩვენს მიერ გადაღებული ფილმი ტელევიზიით არ გაუშვეს. სამაგიეროდ, იმავე „პირველ არხზე“ ჩვენი ფილმის ნაცვლად გამოვიდა სააკაშვილი და განაცხადა — **მადლობა „წითელ ჯვარს“, რომელიც დაგვეხმარაო!** მოკლედ, აქო და ადიდა „წითელი ჯვარი“...

**— ფული მიუციათ გადატრიალების მოსაწყობად და სააკაშვილი „წითელ ჯვარს“ შეაქებდა აბა, რას იზამდა?**

— დიახ, **აღმოჩნდა, რომ „წითელი ჯვარი“, თურმე, საქართველოში სახელმწიფო გადატრიალებას აფინანსებდა!** მოკლედ, მას შემდეგ, რაც „წითელი ჯვარი“ კორუფციაში ვამხილეთ და ფილმი „გიბსოკარდონი“ გადავიღეთ, სააკაშვილმა „პირველ არხზე“ გადაცემაც დაგვიხურა და სტუდია „რაკურსის“ შენობაც დაგვინგრია!

# ბექა ცინცაძე:

# მადლობა თეა წულუკიანს, რომ სიმართლე თქვა!



**ბექა ცინცაძე**, _კინორეჟისორი_: — სააკაშვილისა და მისი ხროვისთვის ეტყობა, ბოლო წვეთი იყო ჩვენს მიერ გადაღებული დოკუმენტური ფილმი „გიბსოკარდონი“, რომელშიც მარჯანიშვილზე სააკაშვილისა და უგულავას მიერ უხარისხოდ და მართლაცდა გიბსოკარდონით ჩატარებული სარემონტო სამუშაოები ვამხილეთ. ეს ფილმი დავდეთ „იუთუბზე“ და შემდეგ აჩვენა „მეცხრე არხმაც“. 2010 წელს დილის 5 საათზე დაგვირეკეს და გვითხრეს — მარჯანიშვილზე „რაკურსის“ შენობას ანგრევენო! მივვარდით 6 საათზე და რას ვხედავთ, მოყვანილი ჰყავთ მძიმე ტექნიკა, პოლიციას ალყა აქვს შემორტყმული შენობისთვის და ანგრევენ. ძლივს გამოვიტანეთ არქივი, ფირები და ავეჯი... მიწასთან გაასწორეს ყველაფერი. რამაზ ჩხიკვაძის ბოლო ფილმის მასალა ძლივს გადავარჩინეთ... არადა, ეგეთი როლი რამაზს მგონი არც უთამაშია. მეორე დღეს მოვიდა სააკაშვილი, შედგა ნანგრევებზე და ცინიკურად განაცხადა — აქ თბილისურ ინტელიგენციას შენობები ჰქონდა და თითქოს მიწა გამოეცალათ ფეხებიდანო!

**— შენობის დანგრევა არ გააპროტესტეთ?**

— ცხადია, არ გავჩერდით, დავიწყეთ მოძრაობა და დაგვიბარეს მერიაში, სადაც კომპენსაციაზე დაგვიწყეს ლაპარაკი, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ყველაფერი ტყუილი აღმოჩნდა. **უგულავას მერიის ქონების მართვის სამსახურის უფროსი თავის კაბინეტში დაგვემუქრა — გაჩერდით, თორემ საცხოვრებელ სახლსაც დაგინგრევთ და იქიდანაც გამოგყრითო!** მართლაც, მოგვადგნენ შინ, ეტყობა, შესაშინებლად — აქ მიშამ უნდა გაიაროს და უსაფრთხოებას ვამოწმებთო! ამასობაში დადგა 2012 წლის 1 ოქტომბერი და ნაცებმა არჩევნები წააგეს...



**— დღეს თქვენი კუთვნილი შენობის ადგილას რა დგას?**

— სამსართულიანი შენობა დგას... თბილისის განვითარების ფონდის მაშინდელმა ხელმძღვანელმა **გიორგი საგანაძემ** ამ სამსართულიანი შენობის გასაღები გადმოგვცა და ქვეყნიდან გაიქცა, თანაც დღემდე მიმალვაშია... ახლა სიტუაცია ასეთია — ამ შენობის გასაღები ჩვენ გვაქვს და იქაურობას, ფაქტობრივად, ვფლობთ, მაგრამ რადგან იურიდიულად არ გვეკუთვნის, ამის გამო ვერც ფილმებს ვიღებთ, ვერც ვაქირავებთ და ვერც კომერციულ საქმიანობას ვეწევით!

**— სამართალი აქამდე რატომ ვერ აღადგინეთ?**

— **იმიტომ, რომ, ვინც შენობა დაგვინგრია, ის ხალხი ისევ თანამდებობებზეა!** მერიის ქონების მართვის სამსახურის უფროსი მოხსნეს, თორემ მისი მოადგილე ისევ იქ არის... სასამართლოშიც მთელი ამ ხნის განმავლობაში ნაცები იჯდნენ... დღესდღეობით სასამართლო ასე თუ ისე გაიწმინდა და იმედი გვაქვს, რომ 7 თებერვალს მოსამართლე **გოჩა დიდავა** სამართლიან გადაწყვეტილებას გამოიტანს!

**— როგორც ვიცი, ამ შენობასთან დაკავშირებით კულტურის მინისტრმა თეა წულუკიანმაც გააკეთა კომენტარი და თქვა, რომ თქვენ ნამდვილად დაზარალებულები ხართ!**

— **მადლობა ქალბატონ თეა წულუკიანს, რომ სიმართლე თქვა!** საერთოდ, ნაცების დროს კულტურის სამინისტრო აფინანსებდა მხოლოდ იმ მცირერიცხოვან კასტას, რომელიც მიშას უკმევდა გუნდრუკს. დღეს კულტურის სამინისტროში სულ სხვა სიტუაციაა, კლანური ურთიერთობები მოისპო და სიტუაცია გახსნილია...

_ესაუბრა_
_**დიტო ჩუბინიძე**_

## კვირგვინოსნები

**თამარ ჩარქვიანი**
_ოპოზიციონერი პარლამენტარი_



1-პროცენტიანმა **მამუკა ხაზარაძემ** ძალიან კარგად იცის, რომ **მას არავინ მოუშვებს სათავეში.**

„ახალი თაობა“

**ვახტანგ ძაბირაძე**
_ექსპერტი_



**„ლელო“** ან ძალიან ჩქარობს, ან იგვიანებს. არ ვიცი, ვინ, რას და როგორ განსაზღვრავს პარტიაში, მაგრამ **არ იქნებოდა ურიგო, რომ ხაზარაძე გადასულიყო უკანა პლანზე და ლიდერობა სხვისთვის დაეთმო.**

„კვირის პალიტრა“

**გია ცაგარეიშვილი**
_პარლამენტარი_



**„ლელოში“** ადამიანებს **მხოლოდ დოლარის ნიშანი კრავს,** პარტიაში საერთოდ არ ჩანს **არავითარი იდეური ერთობა.**

„რეზონანსი“

**გია კორკოტაშვილი**
_სამოქალაქო აქტივისტი_



**გავკადნიერდები და საპატრიარქოს მისამართით ერთი კითხვა მინდა დავსვა:** ამდენი ჩირქისგან გამოძერწილი მართლმადიდებლობის მტერი რომ აყეფდა გინდა მოქალაქეებიდან, გინდა თეოლოგებიდან და გინდა კაბოსნებიდან, **ნუთუ საკადრისი პასუხის გაცემა არ შეიძლება? თუ მართლმადიდებლობა მარტო თმენა და ლოცვის მიშვერაა?**

„ალია“

**ზაალ ანჯაფარიძე**
_ანალიტიკოსი_



მე, როგორც მართლმადიდებელი მრევლი, **არ მივესალმები, რომ სტალინის გამოსახულებიანი ხატი ეკლესიაში იყოს დასვენებული.**

„ახალი თაობა“



# მიხეილ ცაგარელი:
# პლანეტა ვენერა მამაკაცის ჰოროსკოპში

*— მამაკაცის პირად ჰოროსკოპში პლანეტა ვენერას რომელი ზოდიაქოს ნიშანში განლაგებისას იხიბლება იგი მშვიდი, პრაქტიკული, რეალისტი ქალბატონებით და რა შემთხვევაში ორმაგდება მისი გულის მოგების შანსი? როგორი მამაკაცის გაცნობა და დაახლოებაა ძალიან ადვილი, მაგრამ ურთიერთობის დიდხანს შენარჩუნება მეტად ძნელი? ვის ძალუძს ამის გადალახვა ან ვინ უნდა მოერიდოს მას? როდის არის მამაკაცი სასიყვარულო პარტნიორის მიმართ მეტად ლოიალური და დემოკრატიული ანდა იხიბლება მზრუნველი, მგრძნობიარე და გაძლიერებული დედობრივი გრძნობის მქონე ქალბატონებით? რატომ მოსწონს თავად რაინდ-მონადირე მამაკაცს ქალბატონები, რომლებიც მეფური მანერებით, პატივმოყვარეობით გამოირჩევიან და ძნელი მოსანადირებელნი არიან? რა შემთხვევაში არ გამოირჩევა მამაკაცი სასიყვარულო თავგადასავლებით, არ რეაგირებს საყოველთაოდ აღიარებულ ლამაზმანზე და იხიბლება ღრმა ადამიანური თვისებებით დაჯილდოებული ქალბატონებით? ვინ აფასებს ყველაზე მეტად ქალურობას, რას ვერ იტანს, ვისთვის არის ქალი ჰარმონიისა და სილამაზის წყარო ანდა რა არის საჭირო ამგვარი მამაკაცის გულის მოსანადირებლად? — ამ საკითხებზე ასტროლოგი* ***მიხეილ ცაგარელი*** *გვესაუბრება.*

— განვაგრძოთ საუბარი იმის შესახებ, თუ გულის სწორის არჩევისას, რა ზეგავლენას ახდენს მამაკაცის პირად ჰოროსკოპში პლანეტა ვენერას განლაგება ამა თუ იმ ზოდიაქოში და ამასთან დაკავშირებით, რა და რა რჩევები უნდა გაითვალისწინონ როგორც მამაკაცებმა, ისე ქალბატონებმა.

— **2. პირად ჰოროსკოპში კუროს ზოდიაქოში განლაგებული პლანეტა ვენერას შემთხვევაში, მამაკაცს ხიბლავს ტიპური მიწის სტიქიის მახასიათებლების მქონე ქალბატონები, ანუ მშვიდი, პრაქტიკული, რეალისტი, რომელნიც არასოდეს არ აჰყვებიან პანიკას და არ აწყობენ ისტერიკას.** ამგვარი მამაკაცის გულის მოგების შანსი ორმაგდება, თუ ქალბატონი არის კარგი მეოჯახე და მზარეული. არსებობს გამოთქმა: „გზა კაცის გულისკენ კუჭზე გაივლისო“ და ეს სწორედ ის შემთხვევაა.

**3. პირად ჰოროსკოპში ტყუპის ზოდიაქოს ნიშანში პლანეტა ვენერას განლაგებისას მამაკაცი სასიყვარულო პარტნიორის არჩევისას უფრო ლოიალური და დემოკრატიულია. მისთვის მთავარია, არსებობდეს ის საერთო თემები, რომლებზეც ისაუბრებენ. ამ მამაკაცის გაცნობა ძალიან ადვილია, მაგრამ ურთიერთობის დიდხანს შენარჩუნება ძალზე ძნელია. ამ შემთხვევაში ყველაფერი გაუადვილდებათ იმ ქალბატონებს, რომლებსაც საპირისპირო სქესთან ურთიერთობის გამოცდილება გააჩნიათ და მამაკაცის ფსიქოლოგიას კარგად იცნობენ.** ამგვარ მამაკაცს კი უნდა მოერიდოს ეჭვიანი და მესაკუთრე ქალი, რამეთუ ურთიერთობის აწყობა შეუძლებელი იქნება, რადგან მომაბეზრებელი კითხვები, ჩაძიება და პრეტენზიები მამაკაცში მხოლოდ ანტიპათიას გამოიწვევს.

**4. კირჩხიბის ზოდიაქოში პლანეტა ვენერას განლაგებისას ამგვარ მამაკაცს ხიბლავს მგრძნობიარე, მზრუნველი, ემოციური ქალბატონები, რომლებსაც დედობრივი ინსტინქტი** (მათ შორის, სასიყვარულო პარტნიორის მიმართაც) **ძლიერ აქვთ განვითარებული.** ამგვარი მამაკაციც მაქსიმალურად დააფასებს საყვარელი ადამიანის მზრუნველობას, სინაზეს, მოფერებასა და სიყვარულს. ქალბატონი კი, თავის მხრივ, უნდა ეცადოს, გაუგოს თავის მამაკაცს, დროულად მოეფეროს, თავზე ხელი გადაუსვას და შეაქოს.

**5. პირად ჰოროსკოპში ლომის ზოდიაქოს ნიშანში პლანეტა ვენერას განლაგების შემთხვევაში ამ მამაკაცის სასურველი ქალბატონი უნდა გამოირჩეოდეს მეფური მანერებით, დარბაისლობით, დახვეწილი გარეგნობითა და პატივმოყვარეობით.** ყოველდღიურ ყოფაში კი საკმარისია, კარგად გამოიყურებოდეს და, რაც მთავარია, იოლად მოსახიბლი, დასაყოლიებელი და მოსანადირებელი არ იყოს, რამეთუ შინაგანად ამგვარი მამაკაცი თავად არის რაინდი-მონადირე, რომელიც მეტად აფასებს იმას, რაც დიდი ძალისხმევით აქვს მოპოვებული.

**6. პირად ჰოროსკოპში ქალწულის ზოდიაქოს ნიშანში პლანეტა ვენერას განლაგებისას ეს მამაკაცი ხშირი სასიყვარულო თავგადასავლებით, რომანებითა და ლაველასის თვისებებით არ გამოირჩევა, ამიტომაც ქალბატონთა კეთილგანწყობისა და სიმპათიის მოპოვება ზოგ შემთხვევაში უჭირს, ზოგ შემთხვევაში კი მომაბეზრებელი ეჩვენება.** ამავე დროს იგი საყოველთაოდ აღიარებულ ლამაზმანებზეც არ რეაგირებს, რადგან ღრმა ადამიანურ თვისებებს უფრო მეტად აფასებს, ამიტომ ამგვარ მამაკაცთან პირადი ურთიერთობის ჩამოსაყალიბებლად უმჯობესია, ინიციატივა ქალბატონმა თავის თავზე აიღოს.

**7. პირად ჰოროსკოპში სასწორის ზოდიაქოში პლანეტა ვენერას განლაგებისას ვენერა საკუთარ სახლშია, ამიტომ ამგვარი მამაკაცი საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებში, უპირველეს ყოვლისა, ქალურობას აფასებს.** ერთი შეხედვით ეს ბანალურია, თუმცა, ჩვენს დროში ჭეშმარიტად ნაზი, ქალური ქალბატონი, რომელიც დაუფარავად თავის სისუსტეებს წარმოაჩენს, ძალიან ცოტაა. ასეთი მამაკაცის გულის მოსაგებად კი მას უნდა აგრძნობინოს, რომ ის ძლიერია. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება, საკუთარი პერსონით დააინტერესოთ და უფრო ახლო სამიჯნურო ურთიერთობა დაიწყოთ. გარდა ამისა, ამგვარი მამაკაცი უხეშობასა და ძალმომრეობას ვერ იტანს, რამეთუ მისთვის ქალი სილამაზისა და ჰარმონიის წყაროა და არა პრობლემების მომტანი.

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## 22–28 იანვრის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
ხელი შეეწყობა ახალი გეგმების დასახვას, თუმცა, საქმის დაწყება ჯერ არ ღირს. კარგი იქნება, თუ ცოდნას გაიღრმავებთ და მეტ გამოცდილებას მიიღებთ. ოჯახს მეტი დრო დაუთმეთ, მზრუნველობისა და სიყვარულის გამოვლენა ოჯახის წევრებთან თუ შეყვარებულთან გაუგებრობას გააქარწყლებს. ამავდროულად, ტრავმული პერიოდია, ამიტომ განსაკუთრებული სიფრთხილე გმართებთ გზებზე გადაადგილებისას.

**კურო** (21.04-20.05)
პირადი თუ საქმიანი ურთიერთობებისთვის რთული პერიოდია. ეცადეთ, არსებული მდგომარეობა შეინარჩუნოთ. თქვენი მოუცლელობა შესაძლოა, ოჯახის წევრების ან შეყვარებულის განწყობაზეც აისახოს. გადაადგილებები, კონტაქტები და მოგზაურობა დამღლელი იქნება და შესაძლოა, თქვენს განწყობასა და ჯანმრთელობაზე უარყოფითად აისახოს.

**ტყუპი** (21.05-22.06)
თქვენი მგრძნობელობა და ინტერესი მიმდინარე მოვლენებისადმი გაიზრდება. პირადი თუ საქმიანი ურთიერთობებისას სიფრთხილე გამოიჩინეთ. შესაძლოა, აუცილებელი გახდეს ადრე დაწყებული პროექტის გაგრძელება და დასრულება. მხოლოდ ის აკეთეთ, რაც მარტივად გამოგივათ. ნუ იმოქმედებთ ძალისმიერად და ნურავის შეეწინააღმდეგებით. ინტუიციას მეტად მოუსმინეთ. მოგზაურობისას კი მაქსიმალური სიფრთხილე და დაკვირვება გამოავლინეთ.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
ემოციები აკონტროლეთ და ინტრიგებსა და სარისკო ქმედებას მოერიდეთ. ახალს ნურაფერს დაიწყებთ და ნურც მნიშვნელოვანს ნურაფერს დაგეგმავთ. უთანხმოება საქმიან და სასიყვარულო პარტნიორთან ჯანმრთელობას ავნებს. შესაძლოა, განმარტოება და მომავალზე ფიქრი მოისურვოთ. საჭიროებისას ჯობს, ახლო მეგობრებს მიმართოთ, რათა გული გადაუშალოთ და შინაგანი პრობლემებისგან გათავისუფლდეთ. მოგზაურობა კი გადადეთ.

**ლომი** (23.07-23.08)
თავს მხნედ იგრძნობთ, ამიტომ ენერგია დაწყებული საქმის დასრულებას მოახმარეთ. ახლის დაწყება კი ჯერ არ არის სასურველი. ეცადეთ, ყაირათი გამოიჩინოთ და ბიუჯეტს გაუფრთხილდეთ. მიმდინარე მოვლენებმა შესაძლოა, სამომავლო გეგმებში ცვლილება გამოიწვიოს. ურთიერთობისას თქვენი ცოდნა-ინტელექტის დემონსტრირება არ გაგიჭირდებათ. პირადი ცხოვრებაც დადებითად წარიმართება.

**ქალწული** (24.08-23.09)
საქმიანი ურთიერთობები ჩვეულებრივზე მეტ მნიშვნელობას შეიძენს, რადგან შესაძლოა, საკუთარი პოზიციის დაცვა მოგიწიოთ. ეცადეთ, ხმაურიან საზოგადოებაში ნაკლები დრო გაატაროთ. გადაადგილებები და კავშირებიც შეამცირეთ. დიდია მოტყუებისა და ინტრიგის ალბათობა. ოჯახში ურთიერთობაც საკმაოდ გართულდება და არ იქნება გამორიცხული სერიოზული კონფლიქტი. ნერვიული დაძაბულობა კი ჯანმრთელობაზე უარყოფითად აისახება.

## 22–28 იანვრის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
ოპტიმისტური განწყობა შემოქმედებისკენ გიბიძგებთ. გეგმები წინასწარ დაისახეთ და მოძრაობისას სიფრთხილე გამოიჩინეთ, რათა უსიამოვნებანი აირიდოთ. უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საქმეში ასევე სიფრთხილეა საჭირო. თქვენს ცხოვრებაში მეუღლე ან მშობლები დიდ როლს შეასრულებენ. ურთიერთობა და ახალი ინფორმაცია წარმატებას გიქადით. კარგი განწყობა კი სასიამოვნო, სასიყვარულო ურთიერთობის საწინდარი იქნება.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
ეს კვირა მშვიდად გაატარეთ, რათა მიმდინარე მოვლენებმა ჯანმრთელობაზე ცუდად არ იმოქმედოს. მიღებულ ინფორმაციას შემოწმების გარეშე ნუ გამოიყენებთ. ნუ განაწყენდებით, რაც მეტ მოთმინებას გამოიჩენთ, მით უფრო სწრაფად გაიუმჯობესებთ ყოფას. მარტოობას მოერიდეთ და ეცადეთ, ლამაზ გარემოში მეტი დრო გაატაროთ. მოგზაურობისგან თავი შეიკავეთ და გზებზე სიფრთხილე გამოიჩინეთ.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
საქმის მიმართ თავდაჯერებული იქნებით, თუმცა, სხვათა რჩევებსაც უსმინეთ, რათა შეცდომები არ დაუშვათ, რომელთა გამოსწორებას დიდი დრო დასჭირდება. ეცადეთ, კრიტიკა მშვიდად მიიღოთ და თქვენზე ასაკით უფროსებს არ ეკამათოთ. ყოველდღიურობას კი სასიყვარულო და პარტნიორული ურთიერთობები გაგილამაზებთ. მოგზაურობა და ბევრ ადამიანთან ურთიერთობა არ არის რეკომენდებული.

**თხის რქა** (22.12-19.01)
ენერგიის ნაკლებობის გამო თავს არაკომფორტულად იგრძნობთ. დაუგეგმავი შეხვედრა-კონტაქტები თქვენს ცხოვრებას ქაოტურს გახდის, ამიტომ უმჯობესია, ეს კვირა ოჯახის წევრებთან და უახლოეს ადამიანებთან გაატაროთ და დატკბეთ მათთან ურთიერთობით. განსაკუთრებით ბავშვები გაგახალისებენ. მოგზაურობა სასურველ შედეგს ვერ მოიტანს, ხოლო უცხოელებთან ურთიერთობა გაგაბრაზებთ კიდეც. ახალმა გატაცებამ, შესაძლოა, საქმეებში შეფერხება გამოიწვიოს.

**მერწყული** (20.01-18.02)
გონებამახვილობითა და მხიარული განწყობით ეცადეთ, თქვენი ნიჭისა და შესაძლებლობების დემონსტრირება მოახდინოთ და მეტი სასიამოვნო ემოცია მიიღოთ. ამ პერიოდში ადვილად გათავისუფლდებით ფსიქოლოგიური პრობლემებისგან და ყველაფერს უმტკივნეულოდ შეცვლით, რაც წინსვლას ხელს უშლიდა. ურთიერთობები თვალსაწიერს გაგიფართოვებთ და თავდაჯერებას გაგიძლიერებთ. კარგი დროა მოგზაურობისთვის.

**თევზები** (19.02-20.03)
გარისკვისგან თავი შეიკავეთ და ეცადეთ, ცდუნებებს არ აჰყვეთ. დიდი შენაძენისგან ასევე თავი შეიკავეთ. კავშირების სიმცირემ, არსებულმა გარემოებებმა და ცხოვრებისეულმა ცვლილებებმა შესაძლოა, მოწყენილობა გამოიწვიოს, რის გამოც თავს სუსტად იგრძნობთ. კარგი იქნება, თუ საკუთარ ჯანმრთელობას უყურადღებოდ არ დატოვებთ და კვების მხრივ ზომიერებას გამოიჩენთ. ახლო მანძილზე მოგზაურობისას მეტი ყურადღება გამოავლინეთ, რათა გაუგებარ სიტუაციაში არ აღმოჩნდეთ.



## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია
## 24, 25, 27 და 28 იანვარი

**25 იანვარი – სავსემთვარეობა**
**10 თებერვალი – ახალმთვარეობა**



# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 22 იანვარი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 07.22 საათზე, ჩადის 17.03 საათზე. **მთვარე** ტყუპის ზოდიაქოშია. ამოდის 13.38 საათზე, ჩადის 23 იანვარს 04.59 საათზე (მთვარის მე-12 დღე იწყება 13.44 საათზე. მე-2 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს რასაც შეიტყობთ, ყურადღებით გააანალიზეთ. დღეს დაშვებული შეცდომა ბუმერანგივით უკან დაგიბრუნდებათ. იმატებს ინტრიგის, დაცინვის, ჭორაობის ალბათობა. არ არის სასურველი ზედმეტი ლაპარაკი, ქორწინება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, უჰაერო სივრცეში ყოფნა, ძილის წინ ინფორმაციით დატვირთვა. კარგია კონტაქტები, მოლაპარაკებების წარმოება, ინფორმაციის გაცვლა, საკომუნიკაციო აპარატურის შეძენა, საბანკო ოპერაციები, რეკლამა, კონფერენციები, მშენებლობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, ბრონქები, მხრები, ხელები. **ქვები:** ტოპაზი, ნეფრიტი, ამაზონიტი, ჰიაცინტი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 23 იანვარი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 07.22 საათზე, ჩადის 17.04 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (01.50) კირჩხიბის ზოდიაქოში, ამოდის 14.31 საათზე, ჩადის 24 იანვარს 05.59 საათზე (მთვარის მე-13 დღე იწყება 14.35 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 00.00 საათიდან 01.15 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს დაწყებული საქმე კარგად დასრულდება. კარგი დღეა სწავლისთვის, კონტაქტებისთვის, საჭირო რჩევის გასათვალისწინებლად, კულინარიული საქმიანობისთვის, საოჯახო-სანათესაო ურთიერთობებისთვის, ბავშვის ჩასახვისთვის, ტრადიციებში ჩასაღრმავებლად. არ არის სასურველი ქორწინება, ბინის შეცვლა, სესხის აღება-გაცემა, კამათი, ემოციურობის გამოვლენა. საბუთები ხელმოწერამდე კარგად შეამოწმეთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია კუჭი, მკერდი, ნაღვლის ბუშტი, ღვიძლი. **ქვები:** ზურმუხტი, რაუხტოპაზი, აქატი, ოპალი, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 24 იანვარი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 07.21 საათზე, ჩადის 17.05 საათზე. **მთვარე** კირჩხიბის ზოდიაქოშია. ამოდის 15.32 საათზე, ჩადის 25 იანვარს 06.50 საათზე (მთვარის მე-14 დღე იწყება 15.43 საათზე. მე-2 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს რთულ სიტუაციაში შემოქმედებითობა გამოავლინეთ. კარგი დღეა სველი წესით დალაგებისთვის, კულინარიული საქმიანობისთვის, ფოტოგრაფირებისთვის, სანათესაო-საოჯახო კონტაქტებისთვის, ტრადიციებში ჩასაღრმავებლად, სასამართლო პროცესებისთვის, შემოქმედებისთვის. შესაძლებელია ურთიერთობის გაუმჯობესება ანდა აღდგენა, ვაჭრობა, ბავშვის ჩასახვა, არ არის სასურველი ქორწინება, სესხის აღება-გაცემა, ბინის შეცვლა. მაღალია ფინანსური შეცდომების ალბათობა. ხელმოწერამდე საბუთები კარგად შეამოწმეთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია კუჭი, მკერდი, ნაღვლის ბუშტი, ღვიძლი. **ქვები:** ზურმუხტი, რაუხტოპაზი, აქატი, ოპალი, ამეთვისტო, მარგალიტი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის.

## 25 იანვარი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 07.20 საათზე, ჩადის 17.07 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (11.30) ლომის ზოდიაქოში. ამოდის 16.36 საათზე, ჩადის 26 იანვარს 07.31 საათზე (მთვარის მე-15 დღე იწყება 17.01 საათზე, **სავსემთვარეობაა, პიკი** — 21.55 საათზე. ამ დროს იწყება მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 02.59 საათიდან 11.38 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** მძიმე ენერგიების დღეა, რაც განაპირობებს აგრესია-დეპრესიას, ტრავმებს, ავარიებს, კონფლიქტებს, ცდუნებებს, შეცდომებს, ზღვარგადასულ ამბიციურობასა და პრეტენზიულობას, ეგოიზმს და სხვა ნეგატიურ მოვლენებს. ემოციები აკონტროლეთ. სიმშვიდე დაიცავით. მოერიდეთ გადაღლას, ნერვიულობას. არ არის სასურველი ფინანსური გარიგება, ხელშეკრულების დადება, ქორწინება და ნიშნობა, ადგილსამყოფლის შეცვლა. კარგი დღეა საბავშვო ზეიმებისთვის, მეგობრული კონტაქტებისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, შემოქმედებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, სერდოლიკი, გიშერი, ქარვა, სარდონიქსი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 26 იანვარი, პარასკევი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 07.19 საათზე, ჩადის 17.08 საათზე. **მთვარე** ლომის ზოდიაქოშია. ამოდის 17.41 საათზე, ჩადის 27 იანვარს 08.04 საათზე (მთვარის მე-16 დღე იწყება 18.22 საათზე. მე-3 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს ურთიერთგაგებას ხელს შეუწყობს საერთო მიზნები და საქმე. ეცადეთ, პროვოკაციებს არ აჰყვეთ. აზარტი და რისკისკენ ლტოლვა იმატებს. კონტაქტები უფრო დინამიკური ხდება. კარგი დღეა საჩუქრების, აქსესუარის, ძვირფასეულობის, პარფიუმერია-კოსმეტიკის შესაძენად, ხელმძღვანელობასთან ურთიერთობისთვის, იურიდიული საქმეებისთვის, მეგობრული კონტაქტებისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, ახალი სამსახურის დასაწყებად. არ არის სასურველი ქორწინება, ხელშეკრულების დადება, ფინანსური ოპერაციები, ბინის შეცვალა, პრეტენზიის გამოხატვა, ფიზიკურ-ემოციური გადაღლა, სიმძიმეების აწევა, ნერვიულობა. გულს გაუფრთხილდით. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, სერდოლიკი, მთის ბროლი, სარდონიქსი, ქარვა. **პოზიტიური დღეა** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის.

## 27 იანვარი, შაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 07.18 საათზე, ჩადის 17.09 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (23.00) ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 18.46 საათზე, ჩადის 28 იანვარს 08.30 საათზე (მთვარის მე-17 დღე იწყება 19.41 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 01.20 საათიდან 23.12 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს პლანეტა **ურანი** დირექტიული ხდება, რაც ხელს შეუწყობს სიახლეებს, განვითარებას, ახალ საქმეს და პროგრამას, ახალი მეგობრული წრის ჩამოყალიბებას ან გაუმჯობესებას, რეფორმატორობას, ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, დემოკრატიულობას. დღეს კანონმორჩილება გმართებთ. წესებს ნუ დაარღვევთ. მაღალია დაჯარიმების ალბათობა. არ არის სასურველი ფიზიკურ-ემოციური გადაღლა, ნერვიულობა, ფინანსური გარიგება, ხელშეკრულების დადება, სოლარიუმში ვიზიტი. კარგი დღეა კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, ძვირფასი ნივთის, საჩუქრების შესაძენად, იურიდიული საქმეებისთვის, ახალი სამსახურის დასაწყებად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, სარდონიქსი, ქარვა, სერდოლიკი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 28 იანვარი, კვირა

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 07.18 საათზე, ჩადის 17.10 საათზე. **მთვარე** ქალწულის ზოდიაქოშია. ამოდის 19.48 საათზე, ჩადის 29 იანვარს 08.53 საათზე (მთვარის მე-18 დღე იწყება 20.58 საათზე. მე-3 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს ყურადღება გმართებთ! მაღალია თვითმოტყუებისა და მოტყუების ალბათობა. კარგი დღეა საქმიანი მიმოწერისთვის, დალაგება-დასუფთავებისთვის, აუდიტისთვის, სწავლისთვის, ვაჭრობისთვის, ავეჯის გადაადგილებისა და განახლებისთვის, ლოიალობისა და მოთმინების გამოსავლენად. მოერიდეთ პირდაპირობასა და კონფლიქტს. არ არის სასურველი ქორწინება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, სარისკო ქმედება, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება, ემოციურობის გამოვლენა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა. **ქვები:** ყვითელი და მწვანე იასპი, მალაქიტი, აქატი, ონიქსი, ოპალი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** მშვილდოსნისთვის.

# საეკლესიო კალენდარი



27 იანვარი – ხსენება წმიდისა დედისა ჩვენისა და მოციქულთა სწორისა ქალწულისა ნინოსი

✝ **22 იანვარი. ორშაბათი.** მოწამისა პოლიევქტე მხედრისა, მელიტინელისა; პეტრე სებასტიელი ეპისკოპოსისა; ღირსისა ევსტრატი სასწაულმოქმედისა; ფილიპე მოსკოველი მიტროპოლიტისა; ღირსთა ბასილი სასწაულმოქმედისა და გრიგოლისა.

✝ **23 იანვარი. სამშაბათი.** **გრიგოლ ნოსელი ეპისკოპოსისა, ბასილი დიდის ძმისა;** ღირსისა დომენტიანესი, მელიტინელი ეპისკოპოსისა; ღირსისა მარკიანე ხუცისა და იკონომოსისა; ნეტარისა თეოსებია დედათდიაკონისა, ბასილი დიდის დისა; თეოფანე დაყუდებულისა, ვიშენსკელისა; ღირსისა ამონისა; ღირსისა ანტიპა ათონელისა.

✝ **24 იანვარი. ოთხშაბათი.** **ღირსისა თეოდოსი დიდისა, ზოგადცხოვრებულთა თავისა;** ღირსისა ვიტალისა; წმიდისა მაირისა; ღირსისა თეოდოსისა, ტრაპეზუნდის მიტროპოლიტისა; ჰიგინოს რომის ეპისკოპოსისა; კრება წმიდათა ანგელოზთა დომნინოვში; მოწამისა ნიკიფორე კრეტელისა.

✝ **25 იანვარი. ხუთშაბათი.** მოწამისა ტატიანასი და მისთანა რომში წამებულთა; მოწამისა მერტი მხედრისა; მოწამისა პეტრესი, პალესტინის სამარიის ავლონაში; ღირსისა ევპრაქსია ტაბენისელისა, უფროსისა, ეგვიპტეში მოღვაწისა; ღირსისა ელია მეუდაბნოისა, მეგვიპტელისა, სასწაულთმოქმედისა; მღვდელმოწამისა ტიგრი ხუცისა და მოწამისა ევტროპი წიგნისმკითხველისა; 8-თა მოწამეთა ნიკეელთა; **დღესასწაული ხატთა ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისათა: „რძით მასაზრდოებელი“ და „აკათისტო“;** მოწამისა ფილოთეოზ ანტიოქიელისა; წმიდისა ეილიანოს რომაელისა, ბრიტანეთში მოღვაწისა; წმიდისა ბენედიქტესი, ანგლოსაქსისა.

✝ **26 იანვარი. პარასკევი.** **წარგზავნა ნათლისღების დღესასწაულისა.** მოწამეთა ერმილესი და სტრატონიკესი; ღირსისა იაკობისა, ნისიბინელი ეპისკოპოსისა; მოწამისა ათანასესი; მოწამეთა პახომისა და პაპირინესი; ღირსისა მაქსიმე კავსოკალიბელისა, ათონელისა; ჰილარისა, პიქტაივიელი ეპისკოპოსისა; რემიგიუსისა, რემანის ეპისკოპოსისა; კენტიგერნუსისა, გლაზგოს ეპისკოპოსისა.

✝ **27 იანვარი. შაბათი.** **წმიდისა დედისა ჩვენისა და მოციქულთა სწორისა ქალწულისა ნინოსი, ქართველთა განმანათლებელისა;** ღირსთა მამათა, სინასა და რაითს სარკინოზთაგან მოწყვეტილთა: ესაიასი, საბასი, მოსესი და მოწაფისა მისისა მოსესი, იერემიასი, პავლესი, ადამისა, სერგისა, დომნესი, პროკლესი, იპატისა, ისააკისა, მაკარისა, მარკოზისა, ბენიამინისა, ევსევისა, ელიასი და სხვათა მათთანა; ღირსისა იოსებ რაითელი ანალიტინისა; ღირსისა თეოდულესი, ნილოს ბრძენის ძისა.

✝ **28 იანვარი. კვირა.** **ღირსთა ამბა პავლე განშორებულისა, თებელისა და იოანე გლახაკისა;** წმიდათა სალომე უჯარმელისა და პეროჟავრა სივნიელისა; ღირსმოწამისა პანსოფი ალექსანდრიელისა; ღირსთა პროხორე პშინელისა და გაბრიელ ლესნოველისა; გერასიმე პალადასისა, ალექსანდრიელი პატრიარქისა, კრეტელისა; 6-თა ღირსთა მამათა, მეუდაბნოეთა; ღირსისა ალექსანდრე მღვიძარესი; წმიდისა იტა ირლანდიელისა.











## მადლობა მკურნალ ლამარა თოდუას!

მას ათასობით გამოჯანმრთელებული პაციენტი ემადლიერება. ის კურნავს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას (სწრაფად, თანაც ლაქებისა და ნაოჭების გარეშე), თმის ბუდობრივ ცვენას, დატილიანებას, დისბაქტერიოზს, მოგაშორებთ კანზე გაჩენილ ლაქებსა და ნაწიბურებს, მწერების ნაკბენს (პირველივე წასმაზე ქავილიც ქრება და სიწითლეც), მოგბირჩენთ ნაწოლებს, დაჩირქებულ ჭრილობებს, ბუასილს, სოკოვან დაავადებებს, ფრჩხილების გასქელებას, დახეთქილ ქუსლებს, მოგაშორებთ არასასიამოვნო სუნსა და ოფლიანობას ფეხებიდან, სპეციალური ნილბებით გაგისწორებთ ნაოჭებს და გაგიქრობთ ჩირქოვან გამონაყარს სახის კანზე. მისი წამლების მეშვეობით ღვიძლი, ნაღველი და მთლიანად ორგანიზმი იწმინდება ტოქსინებისა და შლაკებისგან.

ტელეფონები: 599-16-10-82, 593-99-62-52, 230-62-52


### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. მარსალა; 6. კოლიო; 12. მჩატე; 13. მხედარი; 14. ტოსკანა; 15. რონდო; 16. დრამა; 17. ნაირობი; 18. ისაკაძე; 19. ტაშტი; 20. იმედი; 21. მთავარი; 24. ამიმია; 28. ტუფლი; 29. ვალიზი; 32. დრონტი; 33. სტარტი; 34. ჩიორა; 36. დომრა; 37. მაფია; 40. შინაბერა; 41. ლონდრე; 42. ქამა; 44. ტანკა; 45. გალომანია; 49. მწარე; 50. რურუა; 51. ხეობა; 52. განდაგანა; 53. რაისი; 55. ვანგა; 56. სიდი; 58. ნიაგარა; 59. ოსლო; 61. გინესი; 62. ტიტანი; 63. რინიტი; 64. დარი.

შვეულად: 1. მეტრიკა; 2. რუსთავი; 3. ანანასი; 4. ამადეი; 5. კარამელი; 6. კერატიტი; 7. ლანდშაფტი; 8. ომონიმი; 9. ბერიკა; 10. მადონა; 11. ლიმიტი; 22. ვიოლა; 23. რიტმი; 25. მატრიცა; 26. მურტალო; 27. ავიცენა; 30. ლადა; 31. ზუმბა; 32. და; 34. ჩალა; 35. როდმანი; 37. მეტეხი; 38. ფანტომი; 39. ალაზანი; 42. ქარავანი; 43. მერინოსი; 45. გოგენი; 46. ლანთანი; 47. მრავალი; 48. ნიადაგი; 49. მარაო; 54. სკოტი; 56. სეტი; 57. დონი; 60. სკა.

**ტორიჩელინილოსიონიქსილოლიტაბულატოლიფარიანა**
**ფარაონილიმონიავატარიფიგაროტერონიიაგარაკი**

| იტალიელი ფიზიკოსი და მათემატიკოსი | მდინარე აფრიკაში | მინერალი, აქატის ნაირსახეობა | ნაბოკოვის რომანი | ბარდი ... ოკუჯავა | მოხარშული ტექნიკური ზეთი | ბარბა-დოსელი მომღერალი |
|---|---|---|---|---|---|---|

| ნადირის თათი | იტალიელი მოქანდაკე | პარფიუმერიული სითხე | ორგანული ნაერთი, გამხსნელი | გამრავლების ცხრილი | გადა-სახური მასალა | ძველი საომარი იარაღი | ... მანიანი |
|---|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 1. ერთგვარი სადესერტო ღვინო; 6. თაფლით და ნიგვზით შეზავებული ხორბლის საჭმელი; 12. ძძიმეს ანტონიმი; 13. ჭადრაკის ფიგურა; 14. იტალიის ოლქი; 15. განსაკუთრებულად მომრგვალებული ხელნაწერი ასოები; 16. ლიტერატურული ნაწარმოების სახეობა; 17. კენიის დედაქალაქი; 18. ქართველი მევილიონე ქალი; 19. ლითონის მრგვალი ჭურჭელი; 20. ერთ-ერთი ქართული ტელეარხი; 21. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი; 24. მიმიკის მოშლა; 28. უყელო ფეხსაცმელი (რუს. იტალიურიდან); 29. დაბეჭდილი დიპლომატიური საფოსტო ტომარა; 32. მტრედების რაზმის ფრინველი; 33. შეჯიბრის დაწყების მომენტი; 34. პატარა ჩიტი; 36. რუსული ხალხური სიმებიანი საკრავი; 37. სიცილიური დამნაშავე ორგანიზაცია; 40. გაუთხოვრად დარჩენილი ქალი; 41. ფილმი ბერიკაშვილის მონაწილეობით; 42. სოკოს სახეობა; 44. იაპონური პოეზიის ჟანრი; 45. გადაჭარბებული სიყვარული ყოველივე ფრანგულისა; 49. წიწაკის გემო; 50. ქართველი ექსმოჭიდავე; 51. ადგილი წყალგამყოფ მთებს შუა; 52. ერთ-ერთი ქართული ცეკვა; 53. აშშ-ის ექსსახელმწიფო მდივანი; 55. ბულგარელი ნათელმხილველი; 56. პ. კორნელის დრამა; 58. მდინარე და ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში; 59. ნორვეგიის დედაქალაქი; 61. რეკორდების წიგნი; 62. ქიმიური ელემენტი, ლითონი; 63. სურდო; 64. კარგი ამინდი.

შვეულად: 1. დაბადების მოწმობა; 2. მეტალურგების ქალაქი; 3. ტროპიკული ხილი; 4. კომპოზიტორი ვოლფგანგ... მოცარტი; 5. ერთგვარი მაგარი კანფეტი; 6. თვალის რქოვანა გარსის ანთება; 7. რაიმე ადგილის საერთო ხედი; 8. სიტყვა, რომელიც ბგერითი შემადგენლობით ემთხვევა სხვა სიტყვას, ხოლო მნიშვნელობით განსხვავდება; 9. ბერიკაობის მონაწილე; 10. ამერიკელი მომღერალი ქალი; 11. ზღვრული ნორმა; 22. ვიოლინოს წინაპარი; 23. თანაბარზომიერი პერიოდული მონაცვლეობა რაიმე ელემენტებისა; 25. ფილმი კიანუ რივზის მონაწილეობით; 26. კუკარაჩას მკვლელი; 27. აბუ ალი იბნ სინა, ანუ? 30. რუსული ავტომობილი; 31. ქართველი მომღერალი მამაკაცი; 32. დედმამიშვილი; 34. ჭაობის მაღალი ბალახი; 35. ამერიკელი კალათბურთელი; 37. ოტელი ... პალასი; 38. უცნაური, ფანტასტიკური მოვლენა, მოჩვენება; 39. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში; 42. აქლემების მწკრივი; 43. ნაზბეწვიანი ცხვრის ჯიში; 45. ფრანგი ფერმწერი; 46. ქიმიური ელემენტი, თეთრი ლითონი; 47. ბევრი; 48. დედამიწის ქერქის ზედა შრე; 49. ხელით სანიავებელი; 54. ამერიკელი კინორეჟისორი რიდლი ...; 56. პარტია ჩოგბურთის თამაშში; 57. მდინარე რუსეთში; 60. საფუტკრე.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| ძველი ეგვიპტის მეფეების ტიტული | ციტრუსი | კამერონის ფილმი | სევილიელი დალაქი | მსახიობი შარლზ ... | ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში | და-სტუ-რი |
|---|---|---|---|---|---|---|

| ცხვრის ჯოგი | NBA-ს კალათ-ბურთელი | მსახიობი ჯემალ ... | ნიხრი | სიკვდილით დასჯა დახრჩობით ესპანეთში | პატრონდა-კარგული სამუარი | ზაფხულობით დასასვენებელი ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

ასავალ დასავალი

2024 წლის 22 — 28 იანვარი №5 (1523)

გამოდის ორშაბათობით

მეღიაჰოხჰოხაცია "ასავალ-ღასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-ღასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:**

**mail@asavali.com**

„ასავალ-დასავალის" ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**

ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**

გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის" სტამბაში.**

2 009882 637296

